



ԱՐՄ



ՀՅՈՒՂԱԳԱՎԱՐԱԾՈ ՀՅԱՆԵՐԴՈ № 5 (70)  
ՊԵՏԱԿԱՆ ՊԵՏԱԿԱՆ ՊԵՏԱԿԱՆ ՊԵՏԱԿԱՆ ՊԵՏԱԿԱՆ  
2024



ՀՅԱՆԵՐԴ ՀՅԱՆԵՐԴ 100

# ოლე

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
სულხან საპა  
ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი  
ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

## მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა  
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი  
სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა  
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge) — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“  
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

 საქათვალოს  
კულტურის, სპორტის  
და ახალგაზრდობის  
სამინისტრო

შურნალის ეს წომარი გამოდის  
საქათვალოს კულტურის, სპორტის  
და ახალგაზრდობის სამინისტროსა  
და „მემორალური საქათვალოს“  
ხელმისაწვდომი



შემოქმედებითი  
საქართველო  
CREATIVE GEORGIA



№5,(70), 2024

ოქტომბერი



გამოლის საქთხოვი



„ოლეს“ ლიტერატურული ჟურნალი



## შიდაარსი

ანა კალანდაძე – 100

2. ლია ნადირაშვილი. მე და ატმის რტო

### პოეტის ერთი ლექსი

4. ფარნა რაინა. წამებულს, – ერის  
სიყვარულის გვირგვინი გშვენის!..

### ძრისფიანული პოეზია

6. ედუარდ უგულავა. ლექსები

### მხატვრული ლიტერატურა

13. მარიამ კოზმაშვილი. ლექსები

25. გივი ჩილვილავა. შემოდგომა

ბარბარესათვის. მოთხრობა

29. ნინო არსანაშვილი. ლექსები

34. თიმათინ თელაველი. ლექსები

38. გიორგი შარვაშიძე. უკანასკნელი

ცრემლი. მოთხრობა

### დრამატურგია

40. ვანო ჩხიტვავა. ბლეფი. პიესა

### პავავებისთვის საკითხავი

60. ცეცე ძაბუკაშვილი. ლექსები

### თარგმანი

64. მიხეილ ელიზაროვი. ბერიკაცი

კონდრატევი

### კრიტიკა-კუპლიცისტიკა

66. თამარ ავდალიანი. სინანულის  
სათნოების გამოვლენის ერთი თავისებურება  
ქართულ აგიოგრაფიაში

71. ნანა რეულიშვილი. აპოლიტიკური  
რომანტიზმი

74. ანანია ბროველი. ცხენის „მოპარვა-  
ჩუქების“ ოპერაცია და იმპერიული ძალების  
მარცხი

დაბეჭდით გამომცემლობა „მერიდიანი“

გარეკანის პირველ გვერდზე ანა კალანდაძის პოსტერი.  
მხატვარი სოფიო ჭელიძე

1



ოლე, №5, 2024





### მე და ატაის რტო

11 წლის ვიყავი, როცა მამამ სახლში ერთი წიგნი მოიტანა. წიგნი კი ვუწოდე, მაგრამ რვეულისხელა გამოცემა იყო. მეუცხოვა ავტორი – ანა კალანდაძე. მანამდე მისი ლექსები არ წამეკითხა. ყდა მუქი მწვანე ტონის იყო, ზედ – ხასხასა მწვანე ფერით გამოსახული რტო. ავიღე და ალალბედზე გადავშალე. შემომანათა სათაურმა „პანაწინა რტო ვარ“. ყდაზედაც ეს ეწერა. ლექსის პირველი ეფექტი ძალიან ემოციური იყო! ტირილი მინდოდა, მაგრამ მეჩვენებოდა, მე თუ ვიტირებდი, რტოს ქარი აჯობებდა... ანას შემოქმედებაში უამრავი ლექსია გაერთიანებული, ალბათ, უფრო მნიშ-

ვნელოვანი, ვიდრე – დასახელებული ლირიკული ნიმუში (ზოგადად, ძალიან მიყვარს ანა კალანდაძის პოეზია!), მაგრამ დღემდე არ ვიცი, რა განაპირობებს ჩემს აღტაცებულ და მოკრძალებულ დამოკიდებულებას ანა კალანდაძის ლექსისადმი „პანაწინა რტო ვარ“. პოეტი არც რომანტიკოსია და არც სიმბოლისტი, თუმცა ამ ლექსში თვალში საცემია ბუნების (პანაწინა რტოს, ქარისაც, მზისაც) ასეთი მაღალი ხარისხის პერსონიფიცირება. წლების განმავლობაში რამდენჯერაც ვკითხულობდი (სიმბოლურად ვუწოდებ კითხვას, თორემ დაზეპირებული მაქვს, რა ხანია) ლექსს, იმდენჯერ



განსხვავებულ ემოციებს მიტოვებდა; მისი კითხვა-გააზრებით მოგვრილი ხიბლი კი უცვლელი იყო!

ჯერ იყო და ვტიროდი პანაწინა რტოს დაუცველობასა და უსუსურობაზე: „დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი: პატარა ვარ, მოფერება მინდა!“ ბავშვურ ოცნებებში დიდხანს ვეძებდი, რომ დავხმარებოდი და გულში ჩამეკრა. წლების შემდეგ ქარსაც გავუგე. ქარი ხომ ქარია და მან დანდობა არ იცის: „ქარი მარხევს და ყვავილებს მაცლის, ყვავილს მომწყვეტს, გაიტაცებს მინდვრად...“ ამ პერიოდში უკვე გაღლაკტიონსაც ვეკითხულობდი და ამ ტაეპების წაკითხვისას მახსენდებოდა: „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის, ფოთლები მიქრიან ქარდაქარ...“ და მეჩვენებოდა, რომ ანას ატმის რტოც უკვე ხედ იქცა და ქარიც თავის მოვალეობას ასრულებს: აყვავებული ხის ვარდისფერი ყვავილების ფურცლებს ჰაერში ფანტავს.

კიდევ გავიდა წლები და ამ მინიატურულმა ლექსმა თავისი იდუმალი მისია გამანდო. ქარი, ანუ წუთისოფელი, პრობლემებს გვიქმნის, მაგრამ ამ პრობლემების მოგვარებით ვიზრდებით, ვყალიბდებით,

ვძლიერდებით... ქარისა და მებალისადმი მავედრებელი („დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი:“ „მებალეო, ნუ დამტოვებ მარტო...“) რტოც ასეთ ბრძოლაში იზრდება და ძლიერდება, რადგან მზე, ყველაფრის საწყისი და საარსებო ძალა სამყაროში, არ მიატოვებს და ქარის სათელად არ გაიმეტებს მას: „მეფერება მზე ალერსის მთხოვარს, ვარდისფერად ცამან ჩამომთოვა... მე მიგალობს, როდი მიმატოვა, თოხიტარა, პანაწინა რტო ვარ...“

ჩემთვის ეს ლექსი დევიზად იქცა (გთხოვთ, არ შემომედავოთ! ვიცი, რომ ანა კალანდაძეს ამაზე უკეთესი ლექსებიც აქვს დაწერილი. მე, უბრალოდ, ამ ლექსისადმი ჩემს დამოკიდებულებაზე ვცადე საუბარი)! ასე რომ, 11 წლისა მეც „თოხიტარა, პანაწინა რტო“ ვიყავი, მასთან ერთად გავიზარდე და გავძლიერდი, ახლა უკვე შვილიშვილებით დამტკბარი, და დღესაც კი საოცარი ემოციებითა და სიყვარულით ვსაუბრობ ამ ლექსზე, რომელმაც ტირილიც მასწავლა და სიბრალულიც, ანალიზიც და ბრძოლაც.

## ლია ნადირა შვილი





ნამებყლის, —  
ერის ჟიყვარყლის  
გვირგვინი  
გშვენის!..

ილია, — ნიშნავს:  
ლირსებას და...  
სიცოცხლეს —  
ერის...  
ილია, — ნიშნავს:  
ჯვარცმულს,  
წმინდანს,  
ნამუსს და  
სინდისს!..  
შენით —  
აკვანშიც,  
უკვდავება მომავლის  
მღერის...  
ჯიშიც,  
ჯილაგიც —  
კვლავ,  
დაეითის,  
თამარის  
სვით დის!..

ძნელია, ეგზომ,  
დრო, როდესაც:  
გვრისხავს და...  
ქუფრობს,  
ომში ვართ, ხშირად,  
და... ნაომარ





ჭრილობებს –  
ვიხვევთ...  
უფრო, ძნელი და...  
სავალალო  
ის არის, –  
უფრო,  
შიგნიდან ტყდება,  
როცა –  
ჩვენი ერთობის  
ციხე...

ყინული, დღემდე,  
შინაშუღლის,  
ვეღარ-რით  
შელხვა,  
გარეშე მტერიც  
მახეს გვიგებს, –  
ლიმილის ჩენით...  
ვითარ წყალობა, –  
ზენაარის  
და... მხსნელი  
შენ ხარ:  
მისანი,  
მამა,  
მეგზური და...  
მოძღვარი, –  
ჩვენი...

შენ მფარველობდი  
ამ სამოთხეს:  
ვაზიანს,  
ტყიანს,  
შენ იყავ, მისთვის, –  
გამფანტველი –  
ნისლის და  
ლრუბლის...  
მზესაქართველოს  
როცა –  
გულში ესროლეს  
ტყვია,  
შენ აეფარე –  
ნმინდანი და...  
ლმერთკაცი, –  
შუბლით...

ნათელს დაიფენს  
შეზე –  
სიტყვის სათქმელად,  
ენაც,  
ლვთიური არის:  
თავდადება,  
ამაგი –  
შენი...  
შენი სიბრძნეა:  
ჩვენი ყოფნის –  
შვებაც და...  
ლხენაც,  
ნამებულს, –  
ერის სიყვარულის  
გვირგვინი გშვენის!..



## ედუარდ უგულავა

6



¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶

ო, ფეხოფალის თვალებს ლვოლურ სინაზის  
შვინის ფერი - დაწენილებს ლიაფ...  
სხვის მინაზე, წრდვით სავსე შირაზში  
გულისხმევლელ ნაფლეთებად ყრია  
ქეთევინი, - ასე ულვოლე ნამუქრი,  
სურვილს რწმენით რომ უბზარვს ირჩნა...  
საქართველოს სიმღერე და ნამუქი!..  
ფეხოფალი - ორთაც სოლელის შინა!..

ე. უგულავა

¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶  
¶

## ქეთევან დედოფალი

მზე შირაზის ისე მნარედ ანათებს  
ლამის ახებს გამშრალ ქვიშას ლოყას...  
ისმის — „მოჰყავთ“ და სისხლისფერ ჯალათებს  
იბერიის დედოფალი მოჰყავთ.  
რწმენა მისი სხვა სიმტკიცის ფასია...  
მზერა მისი სხვა სიმშეიდის არის...  
ყელაზიდულს თეთრი კაბა აცვია  
(ლამაზია დედა დედოფალი).  
არა, შაპი მასთან ვერ მორიგდება,  
ის ურჩობას არ პატიობს მის მტერს:  
ან მაჰმადი — პატივი და დიდება,  
ან წამება — ესე იგი ქრისტე!..  
თუმც დედოფალს, ხალიჩაზე ამაყად  
ქვეწარმავლის სინებივრით მწოლი,  
ვერ უბზარავს რწმენის მაღალ ალაყაფს  
ვერც ირანი, ვერც „ირანის ლომი“;  
და ხმა მისი, მტერიც ხვდება უგულო,  
რა სიმტკიცეს და სიყვარულს იტევს:  
— მხოლოდ ქრისტე! მხოლოდ ქრისტე, უგნურნო!  
ჯვარცმული და წამებული ქრისტე!  
და საჩუმე, თითქოს მშრალი თითებით  
უფერულ თმას მგლოვიარედ იძლის...  
ცხელ ჰაერში ფარფატებენ ჩიტები,  
უცნაური ფერისა და ჯიშის.  
ღმერთო ჩემო თავზე როგორ უბრალოდ  
ახურავენ ადულებულ მიტრას...  
იწვის ხორცი და შენ უწყი, უფალო,  
ამ შემზარავ ტკივილს როგორ იტანს...  
ლამის იქცეს ფერფლად ფრესკის სადარი,  
სექტემბრის მზეს ოფლი დასდის სიმწრის...  
დედოფალი, სანახევროდ დამდნარი,  
ანთებული სანთელივით იწვის.  
მერამდენედ, ღმერთო, უკვე რამდენჯერ,  
თავზარდამცემ ტკივილების დამომენს,  
ფლეთენ, კვეთენ, მკერდს გაზებით აგლეჯენ



და სისხლშივე აგრილებენ შანთებს.  
ეკარგება სხეულს ფერი სინედლის  
და სიცოცხლე ჭრილობიდან უონავს.  
უკვე ცერზე დგება ხალხი მიღეთის,  
რომ უცქიროს სურათს გაუგონარს.  
— მხოლოდ ქრისტე! — მოძრაობენ ტუჩები.  
(რწმენა მისი ვერ ითქმება ამბად)  
და ნაკვერჩლებს ამოვსებულს ლურსმნებით  
აფარებენ ცეცხლმოდებულ საბნად.  
ოჳ, ეს ტანჯვა ათვერ სიკვდილს ეყოფა  
და ჯალათი, წამითაც არ შემკრთალს,  
ყელში სწვდა და ხელით ახრჩობს დედოფალს,  
კერაც ცოცხალს, წამებისგან ვერ მკვდარს.  
და სულს, სხეულს მტრედივით რომ შორდება...  
ცის სილურჯე რომ ირჩია ბინად,  
ფრთებით მიაქვს საქართველოს გოდება  
და წამებულ შვილიშვილთა გმინვა...  
ჯალათი კი, ღვარულ ოფლში გაბანილს  
სისხლით იზელს ამობურცულ კუნთებს,  
მერე ერთხანს ეჭვით დასცერს და ბარით  
მიცვალებულს შუბლს ყვირილით უმტვრევს...  
ხოლო ხალხი — დაფანტულს და ფერაშლილს  
ჰგავს მგლებისგან დაფეთებულ ფარას.  
ბრბო ირევა და საშინელ ჯგლეთაში  
თავდახრილი ქართველები დგანან...

ო, დედოფლის თვალებს ღვთიურ სინაზის  
შვენის ფერი — დარჩენილებს ღიად...  
სხვის მინაზე, ცოდვით სავსე შირაზში  
გულისნამსვლელ ნაფლეთებად ყრია  
ქეთევანი, — ასე უღვთოდ ნამუსრი,  
სურვილს რწმენით რომ უბზარავს ირანს...  
საქართველოს სიმტკიცე და ნამუსი!...  
დედოფალი — ორთავ სოფელს შინა!..



## ედუარდ უგულავა

### მოქავვა

დღე — შაბათი...  
მთები — დილისნისლიანი...  
გალავანთან მეძებრები ჰყეფენ...  
სასახლიდან გამობრძანდა მირიანი...  
სპა გაყუჩდა... თაყვანი სცა მეფეს.  
ცხენს მოევლო,  
მზის პირველ სხივს დააკვირდა,  
მერე წასვლა მუხრანისკენ ბრძანა  
(სანადიროდ მიდის მეფე და სარკმლიდან  
იმზირება დედოფალი ნანა).  
სურს გახედოს თხოთის მთიდან უფლისციხეს,  
დატკეცეს ცქერით ასპისა და კასპის.  
მკლავზე, ალბათ, საშევარდნო ტყავს დაიხვევს  
და მარევი ააყვირებს საყვირს.  
თუმც სიმშვიდე არ ეტყობა, მგონი, დიდად,





ნადირობაც თითქოს უჩანს არად...  
 ფიქრობს მეფე, ისევ ფიქრობს და ფიქრისგან  
 აეხადოს ლამის თავის ქალა.  
 ვერ ივიწყებს, ახსენდება ის დღე უცებ,  
 ის ზღვა ხალხი და სიუხვე ფერთა...  
 ნაჭრებით და  
 ყვავილებით რთავდნენ ქუჩებს,  
 არმაზობას ზემობდა მცხეთა.  
 მაგრამ, უცებ  
 ეს რა მოხდა?! რა ლვთის რისხვა?!  
 მძლავრი ქარი სალოცავებს მისწვდა,  
 გაჩნდა სეტყვა, ლვთაებები ჩამომისხვრა,  
 ხმამ ნერევისამ შეძრა ცა და მიწა.  
 დრო გავიდა...  
 ფიქრი ფიქრს და დღე დღეს ცვლიდა,  
 თუმცა იგი დღემდე მაინც ვერ ხსნის, –  
 თუ რა ძალამ დაამსხვრია არმაზი და  
 ლვთაებები – ოქროსა და ვერცხლის;  
 და იმ ქალწულს...  
 ვერ ივიწყებს ვერც იმ ქალწულს...  
 სხვა ქვეყნიდან რჩმენით მოსულს ნინოს,  
 თითქოს ეძებს  
 კვართს უფლისას აქ დამარხულს,  
 კვართის პოვნას ის მცხეთაში ცდილობს.  
 სასაუბროდ მაყვლოვანში ვის არ იწვევს  
 და თითქოსდა ფლობს ლვთაებრივ უნარს.  
 ქადაგებს და ღმერთს უწოდებს ჯვარცმულ ქრისტეს  
 და სწეულებს ჯვრის შეტებით კურნავს.  
 ან ეს ჯვარი, უწვეულო ნინოს ჯვარი,  
 რა ძალა?! რა ბეჭედი აზის?!  
 თმით შეკრული ვაზის ორი ლერწი არი,  
 ორად-ორი ლერწი არი ვაზის...  
 დიახ, მეფე  
 ქრისტეს რჯულთან მწყრალად არი,  
 მაგრამ მანაც ხომ იხილა თავად,  
 აი, თუნდაც, როცა ნანა დედოფალი  
 უკურნებელ სენით გახდა ავად;  
 თუმც მეურნალნი  
 ილვრებოდნენ სიმწრის ოფლად,  
 სანუგეშოს ვერ ამბობდნენ ვერას.  
 (როგორია?! შენ სიყვარულს, შენ დედოფალს  
 უეჭველი სიკვდილი რომ ზვერავს)...  
 მაგრამ ნანას იმედიან თხოვნით შემდეგ,  
 კდემით საცხე და პავშურად მორცხვი,  
 ლოცვად დადგა ნინო და სენს უკურნებელს  
 დედოფალი გამოსტაცა ლოცვით.  
 და თქვა ნანამ  
 (ცეცხლში ნაწრთობ ფოლადს ჰგავდა,  
 სიტყვა მისი ძლიერი და სანდო) –  
 „არ არსებობს სხვა უფალი ქრისტეს გარდა,  
 რომელსაც რომ ეს ქალწული ამბობს!“





.....

ფიქრებისაგან გამოერკვა მირიანი,  
აი, ხედავს, მთა იწყება თხოთის.  
მზე ანათებს, ცა ლივლივებს ლილიანი  
და რაშები მიინევენ ოთხით.  
მაგრამ მეფეს,  
ნადირობის ჟინით გართულს,  
ეშმა ისე შეეპარა გულში,  
ქრისტიანთა გაგონება უკვე არ სურს,  
და სიბრაზე ნერვებს მნარედ უშლის, –  
ძალა მათი, მგონი, ისე დიდი არი,  
იქნებ, უკვე შენყალებაც არ ლირს.  
დაისაჯოს უნდა ყველა ქრისტიანი, –  
თქვა გულში და რა მოსწია აღვირს...  
მზე დაბნელდა...  
დაბნელდა და მხედრებს უკვირს,  
რა სიშავეც გადაეკრა ცის ფერს,  
მერე ირგვლივ გაიშალა ფერი ჯუპრის,  
თვალთან თითს რომ ვერ მიიტან ისე...  
აი, რაში, შიშით აღვირგანაშვები,  
ეხეთქვება... სხვებს აყენებს ზიანს...  
დაფრთხა ხალხი, აირია და რაშები  
ჭიხვინებენ, ტორით მიწას თხრიან.  
ხოლო მეფე (შიში როდი შეჰფერს მეფეს)  
სთხოვს შენევნას არმაზსა და ზადენს,  
თუმცა უკუნს  
ვერც ეს თხოვნა შუქს რომ ვერ ფენს,  
მკლავით იწმენდს ოფლს სიმწრისაგან ნადენს.  
– მე არ ვიცი, –  
ამბობს იგი, – ვის მადლს ვენდო,  
ვისი ძალა ავითარო ფარად.  
თუ არსებობ, დამეხმარე ნინოს ღმერთო,  
რომ მხოლოდ შენ გემსახურო მარად!  
და გაბრწყინდა  
მზე და ჰიო, საოცრებავ,  
ბნელს სხივებით ამოშანთა ხახა.  
უცებ მეფე, რა აღსრულდა უფლის ნება,  
დაქვეითდა, მიწა მუხლით გახნა...  
განეშორა ყოველგვარი მძიმე ვნება,  
სიხარულის ცრემლები სდის მეფეს.  
ხელებს იწვდის... აღმოსავლეთს ესალმება...  
ლოცვას ამბობს უფლის სადიდებელს.  
სულში ისე გაეშალა რწმენის კვირტი,  
ქრისტეს გარდა აღარ ახსოვს არვინ,  
– ჭეშმარიტად, შენ ხარ ღმერთი, ჭეშმარიტი!  
ძეო ღვთისავ!.. შენ გმორჩილებ!.. ამინ!..





## უარყოფა

„მიუგო მას იესომ: ჭეშმარიტად გეუბნები:  
ამაღამ, ვიდრე მამალი მეორედ იყივლებს,  
სამჯერ უარმყოფ მე“ [მარკ. 14,30];

გაჭრიალდა მძიმე კარი გალავნის,  
ის, რაც მოხდა, ჯერ ბუნდოვნად გახსოვს.  
დახრილ თვალებს არ უსწორებ არავის,  
ფრთხილად ჯდები ცეცხლის შორიახლოს.  
ვერ გრძნობ, პეტრევ, ფეხქვეშ მინის სიმყარეს,  
ჩუმად ზვერავ მღვდელმთავართა ეზოს.  
ალბათ, მალე მოძღვარს გამოიყვანენ,  
ნახვა მისი იქნებ კიდევ შეძლო.  
იქვე ახლოს ხორხოცებენ კაცები,  
ცეცხლს უშვერენ ტანს ნახევრად შიშველს.  
– შენ იესოს მონაფე ხარ, არ ვცდები! –  
ამბობს ქალი და თითს შენკვენ იშვერს.  
– არა! არა! ეს არ არის მართალი! –  
შიში ბზარავს შენს უმწეო ხავილს.  
სადღაც ბნელში უკვე ყივის მამალი,  
ეს პირველი ყივილია მამლის...  
ფეხზე დგები, არ გსურს მასთან კამათი,  
ძლივს გადიხარ შიდა ეზოს გარეთ.  
იცდი, ერთი უმძიმესი საათი  
და ხელს ვიღაც უცებ მკლავზე გავლებს.  
გსურს ნახვიდე, მაგრამ ვერსად მიდიხარ,  
ხროვასავით გარს გეხვევა ხალხი,  
– მე შენ გიცნობ! – ჩაგსისინებს ცივი ხმა, –  
თავად ვნახე, შენ იესოს ახლდა!  
ხელების კვრით დაგილურჯეს სხეული,  
მშიერ მზერით დაგიჭამეს სახე.  
გაჰყვირიან... – კილო გალილეური  
შენს სიცრუეს ხომ ისედაც ამხელს.  
ბრბო იოლად არც შენ არ შეგეშვება,  
ახლა შენს ხმას მხოლოდ შიში ახმობს,  
– ჩემი სახე, ალბათ, სხვაში გეშლებათ,  
მე იესოს არც კი ვიცნობ, ხალხო!  
არა! გულში არასოდეს დათბება,  
უკვე ღმერთი უარყავი ორგზის  
და გულ-ლვიძლში გიტრიალებს შანთებად  
შიშის სამთითს შავი ანგელოზი.  
სამოსს გაფლეთს რამდენიმე მოლაყბე,  
ხელს გურავენ და ენარცხები მიწას.  
კვლავ გაჰყვირი, – არ ვარ მისი მოწაფე,  
მას საერთოდ არც კი ვიცნობ, ვფიცავ!..  
და ძარღვებში დგას სიცივე სამარის,  
ეპრძეის სული აუტანელ ტკივილს...  
სადღაც ბნელში შეყუული მამალი  
ფრთებს ისწორებს და მეორედ ყივის.  
კვლავ ივსება ეზო ჯარისკაცებით,  
მოჰყავთ ხელ-ფეხდაჯაჭვული ქრისტე  
და მოძღვარი, დაღლილი და ნაცემი,  
უცებ შედგა და თვალებში გიცქერს.  
ლვთიურ მზერას თვალს უსწორებ წვალებით,  
ჯერ არაფერს შეუშლიხარ ასე,  
გიცქერს უფლის დიდ, ლურჯი თვალები,  
სევდითა და მწეხარებით საგსე.  
დაგდის ცრემლი სირცხვილისგან უმართავს,



ინყებს სული ცოცხალ გვამში როკვას...  
შენ უფალი უკვე სამჯერ უარყავ,  
გული შენი უკვე სამჯერ მოკვდა.  
მაგრამ, ალბათ, მძიმე არის ძალიან,  
გოლგოთის გზა გაიაზროს კაცმა,  
სადაც ჯვარიც უფლის ასატანია,  
რომ იმ ჯვარზე მერე თავად აცვან.  
რომ კურნებად სულიერი კეთრისა –  
კაცის ცოდვებს დაელვაროს სისხლად,  
რომ შემუსროს ბჭენი ჯოჯოხეთისა  
და განიხვნას კარნი სამოთხისა!



## ლაზარე გამოველ გარე

გლოვობენ მართა და მარიამ,  
შეძრულ სულს წამლობენ ლოცვით.  
ლაზარე ოთხი დღის მკვდარია,  
ხრწნას ინყებს სისხლი და ხორცი.  
შემუსრავს სიჩუმე სამარის  
სიცოცხლეს, საჩუქრად მოძლვნილს.  
ღმერთმანი, საშველი არ არის,  
რას შეცვლის სტუმრობა მოძლვრის?!  
მარიამს რა დარჩა ნუგეშად,  
დამხობილს იესოს ფერხთით?!  
მკლავები გაშალა უეცრად,  
ბავშვივით ატირდა ღმერბი...  
წინასწარ იტკივებს იარებს  
და ნათლად ჩაესმის ეგებ,  
ბრძო როგორ ღელავს და ღრიალებს:  
„ჯვირს აცუ, ჯვარს აცუ, ეგე!“  
– ოჟ, თურმე რა ძლიერ უყვარდა, –  
ჩურჩულებს იქ მყოფთა რიგი  
და მტირალ მარიამს უფალმა  
ჰრქვა: „სადა დასდევით იგი?“  
ანიშნებს, ბრმის თვალის ამხელი,  
გასწიონ ქვაბიდან ლოდი.  
გროვდება სეირის მნახველი,  
საფლავთან ზღვა ხალხი მოდის.  
ბნელში წევს სიკვდილი ვერანი  
არცა რა აშინებს პირშავს.  
ჰაერში ირევა მკბენარი,  
მზე ხურს და ადულებს ქვიშას.  
და თითქოს სურნელმა საკმევლის  
გაალლო ჰაერი მდარე,  
მოძლვრის ხმა გაისმის გარკვევით:  
„ლაზარე, გამოვედ გარე!“  
და სახემ შეიგრძნო ნიავი...  
და ყურმა შეიცნო ბგერა...  
მკვდრის სისხლმა დაიწყო შრიალი,  
მკვდრის გულმა დაიწყო ძერა.  
ნანახმა გონება დაბინდა,  
სხვა შიში ეწვია მნახველს...  
ლაზარე გამოდის ქვაბიდან,  
გამოდის და თვალებს ახელს.  
ინვება ეჭვების ფითილი,





გრილდება უდაბნოს თექა.  
მას ძალუძს სიკვდილთან ჭიდილი,  
ვინც თავად სიცოცხლე შექმნა!  
ხარობენ იმედის კვირტები  
და ქვეყნის ოთხივე მხარე,  
ყოველდღე იღვიძებს სიტყვებით: –  
„ლაზარე, გამოვედ გარე!“

## იმ ფლეურში

იმ დღეებში კალამს დადებს ალმწერელი უამთა...  
დაიწყება ულმობელი დევნა ქრისტიანთა.  
იხმობს შავი ანგელოზი თავის ერთგულ მხლებლებს,  
ჯადოთი და შელოცვებით მკვდართა დამძახებლებს.  
ჯოხს აქცევენ ქვენარმავლად, წყლად აქცევენ ლვინოს,  
რომ ასეთმა სასწაულმა ბევრი შეაცდინოს.  
სხვა სიმაფრინით მიიზიდას დუჟმორეულ ნადირს  
ყველა, ვისაც საკმეველის სურნელება ასდის.  
იმ დღეებში გული მოყვასს უფრო შეიძულებს,  
ვაი, მაშინ ორსულებს და ვაი, მეძუძურებს.  
იმედს დაფლეთს გაჭირვება, ხორცს დაალპობს ჭირი,  
ბევრი სული გაქვავდება, უფალს შესაწირი.  
რა ამაო შეიქმნება სიმწრით თითის კვნეტა,  
ვაი, მაშინ ცოდვილთა და მცირედ მორწმუნეთა...  
კერპების წინ მოიყრიან განყალებულ მუხლებს,  
ვისაც შიში და შიმშილის გრძნობა შეაწყებს.  
არ იქნება მოსვენება, არ იქნება ძილი,  
ცაზე მთვარე იტრიალებს, სისხლით გაულენთილი.  
ადამის ძე პეშვით შეჭამს უნაყოფო მიწას  
და სამშვინველს უმხურვალეს კვნესით გამოიწვავს,  
რადგან შვებას ვერ იპოვის, დანატრული ძილის  
და კუპრისფერ ყიამეთში ფეხშიშველა ივლის.  
სახეს ხელით დაიფარავს, ცივი ქარით ნაცემს,  
სული – გვამში, ხოლო გვამი ბნელში იბარბაცებს.  
შავი წყალი დასდინდება ქვებზე დამსკდარ ქუსლებს,  
ხორცი ცოცხლად ამჟავდება, მატლი იფუსფუსებს.  
ბრბო ლასლასით შეგროვდება სასაფლაოს კართან,  
„თქვენ ამოდით და ჩვენ ჩაგალთ!“ – ჩასძახებენ მკვდართა...  
და თუ მაინც გათენდება როგორმე და ძნელად,  
მზე არას გზით არ ამოვა ძაძჩაუცმელად.  
სმენას დაფლეთს მგლის ყმული და ყრანტალი ყორნის,  
მხეცი სტომაქს ვერ წამონევს, ლეშით ამოყორილს;  
და როს ქანცი გაეცლება ერთა შორის ომებს,  
ბოროტი რომ საბოლოო ყინით გაილომებს, –  
ალსრულდება! (უფლის სიტყვას არ სჭირდება დავა,  
ცა და მიწა გადავა და იგი არ გადავა)  
და სხვა შიში ჩაუდგება თვალში ევას ნაგრამს,  
როცა ზეცის შავ კაბადონს ელვა გადაგრაგნავს,  
დაიმსხვრევა ხმაურისგან ნიუბრები ყურის,  
რადგან მიწას საყვირების ზარი გადაუვლის.  
ჩამოცვივა ვარსკვლავები თავზარდამცემ ხმებად  
და ყოველი სულიერი მიწას განერთხმება.  
ვინც იყოს და როგორც იყოს, ქვეყნის ოთხივ კიდეს –  
რასაც თესდეს, უსათუოდ, იმას მოიმკიდეს...  
წამში ბოლო მოელება უსასრულო ლოდინს  
და მიხვდება ძე კაცისა, რომ უფალი მოდის!



## პოეზია

### მარიამ კოზანიშვილი

ს ი ს მ ე ნ დ ი მ ა ს ზ ე ...

იწ, რა არის ცუცლაზე როცლო,  
მარიამი? —  
ფეხშინიწები სიუფარულის და  
ზექში სასულეულის  
დამსახურება.  
შეძლებდე, ნეტა!

მ. კოზანიშვილი

13



ს ი ს მ ე ნ დ ი მ ა ს ზ ე ...

\* \* \*

რაც თავი მახსოვს, საცხოვრისს ვიცვლით,  
სულ ვარემონტებთ... ვგეგმავთ... ვალაგებთ...  
ველარ დაცხურე სევდის დავთარი...  
ხმალი ქარქაში ველარ ჩავაგე...  
მოვდევ აღმართებს, ქვისა და ეკლის...  
ვერ იქნა, ველარ გავიაპრილე...  
რით მივადგები, ჯვრით თუ გვირგვინით?  
ამქვეყნიური ყოფის ნაპირებს?

### ორი შემოდგომა

ეს „ბიჭი“ ჩემს ფანჯრებთან აღამებდა...  
მოდიოდა და იდგა მოლოდინადქცეული,  
თვალებში ნატვრაჩაგუბებული...  
დამინახავდა და გაიბადრებოდა,  
მზედ ამონთებოდა,  
ილიმებოდა...  
ეს „ბიჭი“ სკოლიდან დაბრუნებულს,  
ჩრდილივით მომყვებოდა,  
სახლამდე მაცილებდა,  
ვითომ „სულერთა“- ს გამომეტყველებით...  
ვითომ შემთხვევით...  
ვითომ „გზა მაინც იქით მაქვსო“...  
წვალობდა და მასევდიანებდა  
თავისი სიჯიუტით...  
ეს „ბიჭი“ სავალდებულო სამხედრო  
სამსახურს იხდიდა,  
მე რომ გავთხოვდი...  
მითხრეს, იტირაო...  
ამ „ბიჭმა“ ორი ომი გამოიარა,  
სამშობლოს დასაცავად  
სიცოცხლეს სწირავდა...  
ოცნება კი ვერ აისრულა,  
დღესაც გასხვისებულ,  
დანაწევრებულ,  
პარტიებად დაძლილსა და  
აძლილ ქვეყანას სტირის...  
როგორ დაბერებულა!

დღემდე ქარის მოტანილ ამბებს  
ვისმენდი მასზე...  
დღემდე ვერსად გადავეყარეთ ერთმანეთს...  
ის ფარატინა გოგო ვახსოვდი...  
ის კაფანდარა ბიჭი მახსოვდა...  
ვდგავართ ერთმანეთის პირისპირ,  
ორი შემოდგომა,  
ორი, დროით ნაგვემი ადამიანი...  
მე — სხვისი ცოლი,  
ის ქმარი — სხვისი...  
ვდგავართ და ერთმანეთის თვალებში,  
ჩვენს უერთმანეთოდ გაფრენილ  
ცხოვრებას ვკითხულობთ...  
მის მზერაში ისევ კაფობს მიმქრალი  
გრძნობის ნაპერნკალი...  
მე ისევ სევდა მღრღნის,  
შემორჩენილი უხერხულობის და  
„რა ჩემი ბრალიას“ სევდა...

\* \* \*

დღემდე რა არ გადამხდა...  
გაცვდა თმენის ქამარიც...  
ბავშვობიდან ეს გული  
რამდენ ტკივილს ინახავს...  
მტერიც მყავს და მოკეთეც,  
მეგობარიც და მაინც,  
ზოგჯერ ისე მარტო ვარ,  
მზე მიჯდება ინახად.

### არ გეტყვი

არ გეტყვი, მიყვარხარ...  
არ გეტყვი, დაბრუნდი...  
არ ვგავარ სხვა ქალებს.  
სხვა სული ჩამპერეს,  
სხვა გული ჩამიდგეს,  
სხვა ხისგან გამთალეს.

ოლქ, №5, 2024





ქარს ფიფქად გავყები...  
 ცეცხლივით ჩავქრები...  
 არასდროს ვიტირებ.  
 სულს ტრფობის ნაპერწკალს  
 ჩავუქრობ, წავაკვეთ,  
 ვით ლამპას – ფითილებს.  
 კოშკიდან ჩამოვშლი  
 დალალთა ჩქერალებს,  
 ავანთებ ღიმილებს...  
 სხვა მოვა ლამეთა  
 ფერადი სიზმრიდან,  
 მომიტანს ბილილებს....  
 არ გეტყვი – მაკლიხარ,  
 არ გეტყვი – მჭირდები...  
 არ ვგევარ სხვა ქალებს...  
 გადავშლი ძვირფასო,  
 ქარებით გადავშლი  
 კართან შენს ნაკვალევს.

\* \* \*

ბევრს გავუშალე გული, წიგნივით,  
 ბევრთან დავლვარე სული, წვიმებად,  
 მაგრამ ყრმობითვე გამწყრალმა ბედმა,  
 შემორიგება აღარ იჩება...  
 ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს მისდევს,  
 მუნჯი თევზივით მივდევ დინებას...  
 ნაბიჯს მიმოკლებს სევდის სიმძიმე,  
 სიბერის შიში მეპოტინება...  
 და ვნატრობ ძალას, ლვთისგან ბოძებულს,  
 რაც განმარიდებს დარდის ქვაბურებს,  
 რაც ამამლერებს გრძელი გზის ბოლოს  
 და სიცოცხლისკენ შემომაბრუნებს.

\* \* \*

აპა, შეგიწვი ერბოკვერცხი, ხელისგულებით,  
 აპა, დაგიდე მადლი, ქვაზე და გავიარე...  
 შენ, უმადური, ძველებურად მედიდგულები,  
 თითო სამსჭვალით მიღიავებ მტკივნ იარებს.  
 აპა, მზის მადლით მოგიქარებ გზა და საგალი,  
 აპა, წვიმებსაც ავუკრძალე შენი შეხება...  
 არ ილანდება უკუნიდან, გამოსავალი  
 და ფრთები, ჩემი, დამსხვრეული ყრია ფეხებთან...  
 შენ არ იფიქრო, სიამაყის გქონდეს უფლება,  
 უმადურობა სენია და მკვლელი, სინდისის...  
 დროა, ვიპოვნო სასურველი თავისუფლება,  
 ვინც არ ნებდება, უფლის კართან მადლით მიდის ის.  
 ნუ დაიმძიმებ სულს უსაგნო ნიბლის რულითა,  
 სიხარბის ცოდვას ნუ დაიდებ მტანჯველ  
 მანძილად...  
 აპა, შეირგე საზრდო, ჩემი ხელისგულიდან...  
 მხარს ნუ აუქცევ იმ ლოდს, სადაც შენთვის  
 განძია.

\* \* \*

ამ კუნაპეტი ღამის კალთიდან  
 ხომ შეიძლება, შენი ხმა ამყვეს?  
 დაემჩნეს ცხელი ნათითურები,  
 მაგ ყელისაკენ გადახროლ ამ ყელ?  
 ხომ შეიძლება, რიურაჟის შრიალს  
 თან ახლდეს შენი ნაბიჯის ექო?  
 თავად მზე დადგეს თითისწვერებზე  
 და სიხარულად ამოჟყვეს ბექობს?  
 ხომ შეიძლება, ახდეს მირაჟი,  
 სულს შერჩენილი ლალი სიზმრიდან?  
 ერთად გავუყვეთ ჩვენს წილ გზა-სავალს,  
 ერთი აზრით და ერთი მიზნითა?..  
 მაგრამ იქამდე, მაგრამ მანამდე,  
 მეხვევა, მახრიბის, შიშები – ღამის  
 და უინიანი ბავშვის ურცხვობით,  
 შენი სახელი ვიკივლო ღამის.

\* \* \*

თქვენ მოიყვანეთ წვიმა, მაესტრო?..  
 ეს ელვის ჯოხიც თქვენი იქნება...  
 არ მოველოდი თქვენგან ასეთ ტონს,  
 შემანყვეტინეთ ცუდ დროს ფიქრები.  
 ახლა ვლამბავდი ოცნების კაბას,  
 ვქარგავდი რნების მტკიცე ძაფებით...  
 რად შემაშფოთეთ?.. სად არის აბა,  
 თქვენი ზრდილობა, ეგზომ ნაქები?  
 ვერ ვიმორჩილებ ძაფს, ცრემლში დამბალს,  
 ეს ცა ტირის თუ ჩემი თვალები?..  
 ვა, რა იქნა მზისური კაბა,  
 ამოქარგული, წვით და ვაებით ?..  
 ეს თქვენ მიგიძლვით ბრალი, ბატონო,  
 თქვენ ამიწენეთ სული ამ დილით...  
 ახლა რა პირით უნდა დამტოვოთ,  
 წვიმის კაბით და წვიმის მანდილით?..  
 ო, წაიყვანეთ მაესტრო, წვიმა,  
 მე ალარ მინდა დარჩენა მასთან...  
 შორს, რწმენის დიად მწვერვალზე მივალ  
 და სიჯიუტე მიმყვება ქართა!

## გილოზვო ყველას!

### საფერისცვალებო

უფალო, ფერი უცვალე ჩემს სულს,  
 უფალო, მომეც ნიჭი სიკეთის,  
 მასნავლე, „მას სურს“ და არა „მე მსურს“,  
 დამიმეგობრე, ვისაც ვიკვეთდი...  
 უფალო, ნათლის სხივად გარდამქმენ,  
 გული მზესავით ენთოს, იწვოდეს...  
 სულ ვიფუსფუსო, როგორც არაენემ,  
 სითბოს ვთესავდე, სწორედ მზისოდენს...  
 უფალო, მასაც უცვალე ფერი,  
 ვის სულშიც ბოლმის ფუთფუთებს მახრა,



მას, ვინც ტკივილებს ლექსებად მღერის,  
ვისაც მეგობრად ცრემლები ახლავს...  
ფერისცვალების ფარავდეს მადლი,  
ამერს და იმერს, ნაცნობს და უცნობს,  
მატარე ცისკენ ბალახის სანდლით,  
იქამდე, სადაც ბრმა სული სულს სცნობს.

\* \* \*

გადავსხვაფერდით...  
შევიცვალეთ...  
დავშორდით ერთურთს...  
დავრჩით სახლებში,  
ალარ ვალებთ  
სტუმრისთვის კარებს...  
ქარს ალარ მივდევთ  
სატანტალოდ,  
დავკეცეთ ფრთები,  
და სულერთია,  
იწვიმებს,  
თუ გამოიდარებს...  
ვატარებთ ნილებს,  
ახლა უკვე  
ცხადად, აშკარად...  
ვმალავთ სახეებს  
და თვალებშიც  
სევდის ბინდია...  
ხიდჩატეხილებს  
არ გვაერთებს  
შუქი – სიკეთის  
და დღეს ჩვენ შორის  
პანდემის  
შავი ხიდია...  
დავთითოკაცდით,  
გავემიჯნეთ  
ლხინსა და სიცილს,  
ზამთართან ერთად  
ზაფრავს გულებს  
დრო და მანძილი...  
უამია შიშის,  
დისტანციის,  
შორიშორს ყოფნის  
და ლამეებიც  
დაზაფრულებს  
ალარ გვაძინებს...  
გადავსხვაფერდით...  
შევეჩვიეთ  
და შევეგუეთ...  
შეგვლალა სახლში  
ამ უჯიშო სენის  
ზეობამ...  
გამოვისხამდი  
დალლილ სულზე  
ახლა ქარის ფრთებს  
და ჩავამსხვრევდი  
ქარაფებში  
ამ უმწეობას.



## მარიამ კოზეანიშვილი

15



\* \* \*

კმარა ილუზიები, მოტყუება – თავის,  
გეყო განურჩევლობა, თეთრისა და შავის.  
არ ყოფილა სამყარო ვარდისფერი მხოლოდ,  
ბედნიერი არ არის ყველა ზღაპრის ბოლო.  
მოთმინება ისწავლე. კმარა გვემა სულის...  
ძალით მაინც ვერასდროს შეისრულებ სურვილს...  
ნასასვლელი წავა და მოსასვლელი მოვა...  
დღეებს – დაუბრუნებელს, არ სჭირდება გლოვა.

## ოკახი

ჩიტმა ბუდეში ჩაფინა ჩალა,  
ბუდე აფუვდა, ვით ბებოს ბლითი,  
მერე ცხოვრება მოსწყინდა ცალად  
და მოიყანა მეორე ჩიტი.  
იშივჟივეს და იფაციფუცეს,  
მყუდრო ბუდეში დადეს კვერცხები,  
ერთად უმზერდნენ ქვეყანას, უვრცესს,  
ოჯახს სტუმრობდნენ ლალი მერცხლები...  
ერთ დღეს ბუდიდან, როგორც ზმანება,  
გადმოფრატუნდა ბარტყი, ლიფლოფა,  
მარმაშის ქარგვას თავი ანება  
და გადაიქცა მზერად ობობა...  
ბარტყს ბარტყი მოჰყვა,  
ამზევდა ჩალა,  
დღეებს ყლაპავდა დროის მორევი,  
არცერთი ჩიტი არ იყო ცალად,  
არც ვინმე იყო მათი მომრევი.

\* \* \*

ჰა, ცხოვრების ნახევარი გაილია...  
დრო დიდგულობს, ბოროტი და უმეცარი...  
მოდი, სანამ შემოდგომის მზისფერ დღეებს  
საბელივით გამოიბამს კუდზე, ქარი.

ოლქ. №5, 2024



მოდი, სანამ გულს გამოხრავს სევდის მახრა,  
ძილის ღმერთი უშენდლეო სიზმრებს მაჩვევს...  
მოდი, სანამ შემოდგომის ფერად ნოხზე  
დეკემბერი დაიბერტყავს რძისფერ ლანჩებს.

\* \* \*

გადავიღალე...  
ყველაფერმა დაკარგა აზრი...  
მოლალურს ვგავარ,  
ახლა დღეებს სევდით ვუგალობ...  
ვიღაც ლილინით,  
პოეზის მიჰყვება გამზირს,  
მე თავს ვაფარებ  
ცრემლიანი ლექსის ბუნგალოს.

16



\* \* \*

მომენატრა აკაციის მწვანე ტევრი,  
მტვრიან გზაზე მოსეირნე მზე და  
ჩვენი ეზოს ყურძენივით ვარდისფერი  
სარაფანის უკმარობის სევდა.  
მომენატრა დედაჩემის ჩუმი მზერა,  
მისი ხელით გამომცხვარი პური...  
სათამაშოდ გადმოსული, მამისფერა  
კნაჭა გოგოს მადა – უცნაური.  
მომენატრა ჩემი ცელქი გაზაფხული,  
ატმის ხეზე გაპაპთული კვირტი,  
ის ბავშვური აღტაცება, არნახული,  
შავი ბიჭის უცოდველი ფლირტი.  
უფსკრულია ყრმობის დღეთა სილადემდის,  
თეთრ ღამეთა უსამანო სევდა...  
არასოდეს, აღარაფერს ვინაღვლებდი,  
ოღონდ წუთით დამანახა დედა.

## ქვილებს

მინდა გავუმკლავდე დარდებს,  
მინდა არ დამჯაბნის სევდამ.  
თავს ცივ სასთუმალზე დავდებ,  
თვალებს დავხუჭავ და ეხედავ...  
როგორ გაფრენილან წლები –  
ყრმობის, ძიების და შრომის,  
ერთი დღე-ღამელა წვება  
ანმყოს და სიბერეს შორის.  
როგორ შემომაცვდა თურმე  
ცისფერი ქობები – რწმენის,  
ჩემს დღეებს, ზოზინა ურმებს,  
კოკებით დაპქონდათ ცრემლი...  
ვიცმევდი ყვავილთა ქოშებს,  
მივდევდი ბილიკებს, ნაცადს,  
ვაგებდი იმედის კოშებს,  
დრო კი... დრო მიქცევდა ნაცრად.  
ვერ „შევწვდი“ საკუთარ ჭერს და



ვერც მცუდრო აგიგეთ ბუდე.  
სიყვარულს გინთებდით მზედა,  
სიკეთეს გავლებდით ზლუდედ.  
ვერ ვპოვე ურიცხვი განძი,  
ვერც თქვენ დაგიტოვებთ მზითვად.  
თქვენც შრომით გაივლით მანძილს,  
მოგინევთ დარდების ზიდვა...  
მტანჯავს სამომავლო შიში,  
ველარ ვუმელავდები სევდას...  
დედა დაგენაცვლოთ ჭირში,  
თქვენი საწუხარიც – დედას!

\* \* \*

თვალშეუდგამი სიმაღლით მნუსხავ,  
თმენას ხუნდებად ვადებ ამ მელავებს...  
მზის სხივებს ვატან სურვილთა ნუსხას  
და სულს სხეულში ველარ ვაკავებ.  
მზერა სულ შენკენ მომირბის ცაო,  
გიცქერ და გოჯა-გოჯა ვმაღლდები...  
რამდენჯერ უნდა გარდავიცვალო,  
სანამ თბილ გულში ჩაგისახლდები?

## ადრე თუ გვიან

ადრე თუ გვიან სულ ყველა მიდის...  
ადრე თუ გვიან ვპეზრდებით ყველას...  
ადრე თუ გვიან, ადრე თუ გვიან,  
ყველაფერს დროის შამპნარი თელავს.

ადრე თუ გვიან ვკარგავთ ბაგშვობას,  
ვივინცებთ ყრმობის სუნსა და გემოს,  
უფლებას ვაძლევთ დარდსა და ტკივილს –  
ჩვენი სული და სხეული გვემოს.

მივყვებით დღეთა უწყვეტ ქარავანს,  
ბედისგან ჩვენთვის განკუთვნილ დრომდის...  
ვტოვებთ ყველას და ყველაფერს, რადგან,  
ადრე თუ გვიან არყოფნა მოდის.

\* \* \*

წუხელ ღამემ კარდაკარ  
გიშრის ჩოხით იარა  
და ფანჯრებთან ვარსკვლავთა  
ზარი აანკრიალა.  
ფერად სიზმრის ხურჯინებს  
ბალიშებთან ტოვებდა...  
გასაძლებად – დარდების,  
ყოფის სიმარტივედა...  
ნარსულსა და მომავალს,  
დილა მიჯნად დაუდო,  
მზის ღიმილით გაათბო

გზა – რთული და გზა – უნდო.  
მერე ჩოხის კალთების  
მედიდური ფარფარით,  
საკუთარ თავს მოუყვა,  
სასიზმრეთის ზღაპარი.

\* \* \*

უხვად მივაგე მისაგები,  
მზითა და თაფლით...  
ჩემს გზას ირჩევდა ყველა  
ცრუ და შარახვეტია...  
მე რომ ჩემებად მივიჩნევდი,  
იმ გრძელ სიაში  
სხვისი მეტია.

### დარჩენი ქარად

ამომეზარდა უშენობა,  
ვით ბეჭზე კუზი....  
მოვსდევ შარაგზას –  
ჩემზე მეტად  
ეულს და მარტოს...  
ჭადრის ფოთლებში  
გაბლანდულ მზეს  
ერხევა ფრთები  
და შუქ-ჩრდილები  
ჩემს ტერფებთან  
ცეკვავენ ჩარლსტონს.  
დრო დროს გადაჰყვა...  
წერილების  
წავიდა ხანა...  
გულუბრყვილობა  
დაიკემსა  
გულმა იარად...  
სიცოცხლე – ჩვენი,  
იყო დედა,  
მარადიული...  
და სიხარულზე  
მეტი –  
სევდა იმშობიარა...  
მომენატრე და  
მივატოვე  
სიჩუმე – კოშკის.  
მოვსდევ შარაგზას,  
ჩემზე უფრო  
ეულს და მარტოს...  
შენი სუნთქვაა,  
რომ ათრთოლებს  
ფოთლებში  
მზეს და  
ანცი ჩრდილები  
ჩემს ტერფებთან  
ცეკვავენ ჩარლსტონს...

და მელიმება  
ჩემს ტკივილზე...  
კვლავ ვრჩები  
ცალად...  
ქარი იყავი...  
ქარი ხარ და  
დარჩები  
ქარად.

### გამოწანა

ნეტა ვინ უნდა მებრალებოდეს  
უფრო მეტად,  
შენ, თუ საკუთარი თავი, დედაჩემო? –  
ცრუ წუთისოფლას დარანებს შერჩენილი,  
სევდის ლაპირინთებში  
გზაკვალაბნეული,  
მარად სიკეთისკენ მაცქერალი  
და მაინც შეცდომების  
ცოდვებმთესველი?..  
ვის ხელდრს ვტიროდე ნეტავ,  
დედაჩემო? –  
შენს 52 წელს ვერგაცდენილს და  
უსასრულობის ნისლიდან მაცქერალს,  
თუ დაულეველ პრობლემებთან ველარ მებრძოლ  
ჩემ საწყალთავისას?  
დავიღალეო... შენ ველარ იტყვი...  
მე კი ... თითებიც ალარ მყოფნის,  
დარდის სახელების ჩამოსათვლელად...  
ვზივარ და ვზუზუნებ...  
ვზივარ და ვწვიმვარ...  
იქნებ წამიყვანდე შენთან, დედაჩემო?

### ხომ იჯი

ხომ იცი, ეს დროც გაჰყვება ქარებს...  
ეს სიკაშეც ჩაქრება, ფერთა...  
ხომ იცი, გარდა სიყვარულისა,  
სულ არაფერი შეგრჩება ხელთა?..  
ხომ იცი, უნდა იყო მებრძოლი,  
მჭედელი, შენი ბედის და ხვალის...  
თან ფაიფურის სამშვენისივით,  
ციმციმ დაგქონდეს სახელი ქალის?..  
ხომ იცი, როცა მზე მიდის სადღაც  
და მთვარე ცაზე დაეძებს მიჯნურს,  
ან როცა ქარი, გათვალულივთ,  
შენს კართან მღერის არიებს, გიურს,  
უნდა დამალო საბნისქვეშ თეთრი  
და ასაფრენად აშლილი ფრთები  
და გულია გულში დაიმახსოვრო,  
ძილის კალთაში თუ როგორ თბები.  
ხომ იცი, როცა ქუჩაში გასულს,  
დაგიზოგავენ სითბოს და ღიმილს,  
უნდა აივსო სული სიკეთით





## ფელის მონოლოგი

(ვუძლვნი დედებს, რომელთა შვილებიც ნებით,  
თუ უნებლიერ დამნაშავეებად იქცნენ.)

დღეს შვილმა მომკლა...  
ზეზეულად...  
ანაზდეულად...  
განაჩენი გამომიტანა  
ყველა კოცნისთვის,  
სიყვარულისა და სინაზისათვის,  
ყოველი უძილო დამისთვის,  
ჩუმად ნამლერი „იავნანისთვის“,  
გადაყვლებილ მუხლისთავებზე  
და იდაყვებზე სულის ბერვისთვის...  
მე შვილმა მომკლა...  
იმ ხელებით,  
მკერდში ხვითოსავით რომ ვიხუტებდი,  
მტკივან თავზე წამლად  
რომ ვიდებდი,  
იმ უთბილესი ხელებით  
ადამიანი გაიმეტა...  
ქვა ვარ...  
უსიცოცხლო და სისხლგამომშრალი...  
მზერაჩამქრალი ვზივარ და ვფიქრობ,  
როდის იქცა მხეცად ბიჭი,  
მე რომ გავზარდე?..  
იქნებ მაშინ,  
ჩიტი რომ მოკლა და არ დაგსაჯე?..  
ან იქნებ მაშინ,  
მეზობლის კატა ბანარმობმული  
რომ ათრია ქვიან აღმართზე?..  
მხოლოდ მსუბუქად წავუთაქე,  
თავცოცხლადმკვდარმა...  
როდის ჩასახლდა მის სულში მონსტრი?  
ზღაპრებს, რომლებსაც ვუკითხავდი,  
ბოლო მუდამ კეთილი ჰქონდა...  
საკუთარი ნებით ვცვლიდი  
ყველა ზღაპრის დასასრულს,  
რომ არ ტკენოდა,  
რომ არ შეშინებოდა,  
რომ სიძულვილი არ ესწავლა მის პანია გულს.  
მე შვილმა მომკლა...  
სწორედ იმ დანით,  
თავის ტოლს რომ დაარტყა გულში,  
განაჩენი გამომიტანა...

ძირს მოფარფატე ნისლად მაქცია...  
ვზივარ და ვფიქრობ:  
ვინ შევიპრალო ყველაზე მეტად? –  
სხვისი შვილი, ჩემი პირმშოს ხელით მოკლული?  
მისი უბედური დედა?  
ჩემი მხეცადეცეული შვილი,  
თუ საკუთარი თავი, დედადვერვარგებული?..  
გაეჩიმდე?  
დავდებულდე?  
დავბრმავდე?..  
თუ სამართლიანი განაჩენი  
თავად მივუზლო?..  
ალბათ სულ ბოლო...  
ცოცხლადმკვდარო,  
ჩემბერავთავო,  
რადგან დაუსჯელი დამნაშავეებას,  
უფალსმინდობილი პატიმრის დედობა „მიჯობს“.  
მე შვილმა მომკლა.

## სიზმრიდან აყოლილი

გადმოყარა და გადმოაჩხრიალა სულის კაკლები,  
სულ ბროლ-ბროლები,  
ქათქათალებნებიანი...  
გადმოყარა და სათითაოდ დატეხა ყველას  
თვალინ,  
ყველას დასანახად,  
ყველას გასაგონად...  
დაინყო ბავშვობის ყველაზე სათუთი დღეებიდან,  
პირველი სიყვარულიდან,  
პირველი კოცნიდან,  
პირველი იმედგაცრუებიდან,  
უძილო დამეტების  
ფერადი ზმანებებიდან...  
დაინყო და ალარ გაჩერდა,  
სანამ ბოლო კაკალიც არ დაამსხვრია.  
დაბერტყა და დაცალა სულის ქისა,  
სულგანაბული, მზერადეცეული  
ქალების ფერხთით.  
მძიმედ წამოდგა,  
კაპის კალთა სანთლისფერი ხელით ჩამოიბერტყა,  
გრძნობადაცლილი ქალის იერით,  
საკუთარი ტკივილის გაცამტვერებით  
ვალმოხდილმა  
თავი დაუკრა მსმენელთ,  
წავიდა და დაუტოვა სათრევ-საქილიკოდ,  
საჩურჩულოდ და საქირქილოდ,  
წლობით წაგროვები,  
მარცვალ-მარცვალ აკინძული,  
სულის ქურაში გამომწვარი სევდა,  
სიყვარულის დანაცრული მზე და  
გულდაგულ წამალავი გრძნობის წაჭუჭები.





\* \* \*

არის დღეები,  
მოგიძულებს სამყარო თითქოს,  
ერთად მოგცელავს  
ყველა წყნა, ყველა ტკივილი,  
გულში ჩაიხვევ,  
რაც ხმამალლა არაფრით ითქმის  
და მზად ხარ,  
ეარაფს მიამსხვრიო სული კივილით.  
არის დღეები,  
რჩები თავთან სრულიად მარტო,  
ჩამქრალ სახეზე  
„სულერთიას“ იფარებ ნიღბად...  
შენს გზა-სავალზე  
ეშმა ღმექით გადადის სალტოს,  
შენ კი მალულად  
ყველრი გამჩენს სვესა და იღბალს.  
არის დღეები,  
სამწესარიოდ, არც ისე ცოტა...  
მიწას აკვდები  
უდღეური, სუსტი მღილივით...  
ალაგებ სახლ-კარს,  
ანარნარებ ბალსა და ბოსტანს  
და გონისნამდებ  
სევდას მალავ ყალბი ღიმილით.

## მერე რა

მერე რა, თუ წავიდა  
წლები, სიყმაწვილისა...  
მერე რა, თუ ალარ გსურს  
ნახვა „იმ ყმაწვილისა“...  
მერე რა, თუ ცხოვრება  
წამის ტოლი ყოფილა...  
თუ მზეს ვერ გაიყოლებ  
საგზლად – წუთისოფლიდან...  
რა ვუყოთ, თუ წალველი  
სულში შემოპარულა...  
თუ ნატვრისთვალს ქუჩაში  
ალარ ეძებ მალულად...  
მერე რა, თუ მეგობრებს  
ავიწყდები ხანდახან,  
სადაც ყოფნა გიყვარდა,  
ძველებურად ალარ ხარ...  
დრო გაფრინდა, ქარს გაჟყვა,  
ახლა შვილებს სჭირდები...  
აუხდენელ ოცნებებს  
წულარ მოექიდები.

\* \* \*

ყველას საკუთარი სამყარო აქვს  
და თვალსაწიერი, საკუთარი...  
ზოგის მცირეა და საბრალოა,

ზოგის ვრცელია და სანუკვარი.  
ყველას საკუთარი სიმართლე აქვს...  
ყველას – საკუთარი სამართალი...  
ზოგი ქარია და ქარაშოტი,  
ზოგი პულტითაა სამართავი.  
ყველას საკუთარი დემონი ჰყავს...  
ყველას – საკუთარი ანგელოზი...  
გულში მზეჩაქარგულს ცა ედახის...  
მიწა – ცოდვილ სულზე ლამერისილს...  
ყველას საკუთარი გზაწვრილი აქვს,  
ყველას საკუთარი გზატკეცილი...  
ზოგი გაყინული მიდის ლმერთთან,  
ზოგი – სიყვარულით ატკრეცილი.

\* \* \*

თუ არ გამანდობ შენს საწუხარს,

როგორ გიშველო?..

როგორ გინამლო, რწმენა თუ არ  
გექნება ჩემი?..

თუ რამეს გეტყვი, სიყვარულით,

მხოლოდ და მხოლოდ,

წესი არ არის ჩემი რჩევა,  
არც განაჩენი.

მიწას ნუ ჩასცექრ, ცის უცქირე  
უსაზღვროებას...

ცით ამოიგსე თვალები და  
ისე იარე...

სიყვარულია ერთადერთი  
სალბუნი, სულის...

სული მძიმეა... სხვა სულს თუ

არ შეაზიარე.

მზე, მზე გიყვარდეს, მზე გიყვარდეს, –  
სამყაროს დედა,

მზე აღვივებს და მზე აცოცხლებს  
გაყინულ ბელტებს...

სულ მცირე სითბო... სხვას მე შენგან  
არაფერს ვითხოვ...

რომ არ დამკარგო, ეს სიკეთე  
გამოიმეტე.

\* \* \*

გაზაფხულის ჟამია

და მზე, როგორც მაესტრო,

აუღურტულებს ჩემს გულში  
სიყვარულის მართვეს...

მიმოზების ქუჩაზე,

ვუსმენ ქარის ბარიტონს...  
ჩამოივლი მღიმარი

და სიმშვიდეს მართმევ.

\* \* \*

კიტრად გამობმია ვინმე, ცარგვალს?  
ვინმე გაქცევია ბედის ავ მაცილებს?..  
შენ მე სიცოცხლეში რატომ მკარგავ?  
სიკვდილი ისეც ხომ დაგვაცილებს?





\* \* \*

შენდობას ვითხოვ და მზერას ვხრი...  
 მრცხვენია უფალო, ოდენ...  
 ათასჯერ მოგმართე ვედრებით  
 და მერე ათასჯერ ვცოდე...  
 მცივა და წუგეშად შენ გექებ...  
 ავდარს შერჩენილი ხე ვარ...  
 მასწავლე გზა, შენი სავანის,  
 შენს თავგზაარეულ მხევალს.

\* \* \*

თავსხმაა... ფანჯრიდან გავყურებ ჰორიზონტს...  
 ეს წვიმა დღეს უკვე არაფერს მაგონებს.  
 ჩავკეცე წარსული უსახურ სკივრებში...  
 მივანდე დღეების ჭრელ-ჭრულა ვაგონებს.  
 როგორ წვიმის... მუსიკად ჩამესმის ხმა – წვიმის...  
 არ ვგლოვობ ყოფილს და არ ვიყვლევ მომავალს...  
 ჩავკეცე უსახურ სკივრებში ტკივილი,  
 მივანდე ცხოვრების წარმავალ თბომავალს.

## სულ მახსოვეს

უშენო ყოფას  
 სევდის პურს ვუცხობ...  
 თუმც ფიქრიდანაც  
 უნდა გრიყავდე...  
 შენ ვერასოდეს  
 გახდები უცხო,  
 რადგან სულ მახსოვს,  
 როგორ მიყვარდი.

6.08.24



\* \* \*

აი, ჩემი აპრილიც  
 მობაკუნდა თხასავით,  
 ალარ მიმეჩქარება  
 ახლა უკვე არსაით.  
 აპრიალებს ნიავი  
 მზის ოქროსფერ ნაწნავებს,  
 მალე ეს მზე ჩემს მიწას  
 მორთავს, გადაამწვანებს.  
 მერე ზეცა ფერთა სკივრს  
 გამოატანს ჰელიოსს,  
 რომ ყვავილთა სურნელი  
 ლხენად შემომესიოს.  
 რომ სიანცე ბავშვური,  
 წუთით მაინც დაბრუნდეს,  
 იასამისი სურნელით  
 სასთუმალი გაბრუვდეს!..  
 დაბაკუნობს აპრილი  
 გზებზე, თოთო ფეხებით,  
 ვინუსხები კვირტებთან  
 უნაზესი შეხებით...  
 სევდა ქარმა წალო,  
 ალარ მახსოვს რა მწყინდა...  
 გულმა გამოიდარა,  
 მზესთან ერთად გაბრწყინდა!

\* \* \*

მორჩია...  
 დამთავრდა...  
 ამ იარებს ვერ გავამთელებ...  
 ჰა, გადაივსო მოთმინების  
 ფართე ფიალა...  
 დავუშვებ ცისკენ სავედრებლად  
 აწვართულ ხელებს  
 და ჩავინვები, სულში მბუუტავ  
 სანთლებიანად...  
 აჲა, დასრულდა...  
 ვაბბო, მაგრამ ვაგრძელებ ისევ...  
 არ მეგულება ვინმე,  
 დარდის სრულად გამგები...  
 მემილიონედ ჩავცლი სულში  
 ტკივილის ქისებს  
 და ფენიქსივით, ფერფლის მთიდან  
 ისევ ავდგები.

\* \* \*

ჰა, გამოუჩნდა ცარიელი ფსკერი კიდობანს,  
 ალარც ფქვილი მაქვს, აღარც ქატო, შეშლილო  
 ქარო...  
 დიდი ხანია, ვერ ვუსწორებ მათხოვარს მზერას,  
 არცრის პატრონმა სხვას რა ვარგო, რით  
 დავეხმარო?...  
 გამოახუნა დრომ ფერადი დღეების სკივრი,  
 თვალსაწიერზე მხოლოდ ზეცის ლურჯი ფერია...  
 ყველა ტკივილი გაჩენიდან, ამ უამობამდე,

ხორბლისფერ თმაში ვერცხლის ძაფად შემომერია.

ჰა, ჩაიურა იმედები, ვით სკიდან თაფლი...

წვეთიც არ დამრჩა, სახვალიო გზად რომ

გაწვრილდეს...

გულს ვდებ ბილიკთან, ჩიორების ამონაკენკი  
გულგასენილებს საგზლად მაინც გაუნანილდეს.

\* \* \*

ციდან მზე იღვრება მირონივით,  
ველზე გვირილების ქორნილია...  
მივალ სიყვარულად აღერილი,  
გზა-გზა ღიმილები მომწვიმიან.  
ისე უსამველოდ მომენატრე,  
სადმე არა გნახო, ზღაპარია...  
მხრებზე რომ მეხვევა საალერსოდ,  
ზეცის ლილისფერი ფაფარია.  
თითქოს ფრთები მომცეს მზენვიებმა,  
მიწას არ ვეხები ნაბიჯებით...  
გნახავ, ჩაკეტილ გულს გადაგიხსნი  
და შიგ სამუდამოდ დაგირჩები!..

\* \* \*

ვცრი დღეთა ამაო ვნებების საფანელს...  
დარდებად მოზელილს, ვალაგებ გუნდებად...  
ქრებიან ყველაზე ლამაზი წუთებიც,  
ყველაზე სათუთი გრძნობებიც ხუნდება.  
ვაცოცხლებ კადრებად წარსულის სურათებს...  
ვკითხულობ: ამ ქვეყნად რა არის მარადი?..  
გიხსენებ და ვწუხვარ, რამეთუ მხდალი ვარ,  
მზესავით გიზგიზა სიყვარულს ვმალავდი...  
არადა, ყველაფერს ჟამი აქვს თავისი,  
გულს, ერთხელ დაფერფლილს,  
ვერ აქცევ ავლავ ცეცხლად...  
ჩემს გზაზე იმდენჯერ განვიმდა, ძვირფასო,  
ბავშვური სიანცის კვალიც კი ჩარეცხა...  
და ფქავდა წისქვილი – დროისა, სიყალბეს...  
ბრუნავდა სიცრუის მსახვრალი დოლაბი...  
ნაცრად და მტვრად იქცა ოცნების სასახლე...  
ვერაფერს, რაც მსურდა, თავი ვერ მოვაბი.  
ახლა კი ჩვენ შორის დგას დრო და მანძილი...  
აქეთ მე, სადლაც – შენ, ვხრავთ ხსოვნის  
ხმიადებს...  
წაიღეს ქარებმა ჩვენი მზეგულები  
და გასამრავლებლად ჩიორებს მიანდეს.

## ფეფაჩემი

უბრალო ქალი იყო დედაჩემი.  
თვალებში იდუმალ სევდაჩასახლებული.  
მისი ნატიფი სახე მზეს ირეკლავდა თითქოს,  
ზაფხულის ხვატმიც თეთრად ფითქინებდა.  
სუსტ, ლამაზ სხეულზე ჩითის კაბას სადედოფლო აბრეშუმივით იმშვენებდა.  
უბრალო ქალი იყო დედაჩემი.  
უთბილესი გულით ქვეყნის სამყოფ მზეს ატარებდა.  
ისე ტკბილად ლილინებდა,  
ყველა დარდსა და საზრუნავს გაგიოოლებდა.  
ალიონზე დგებოდა და შუალამემდე შრომობდა მუხლჩაუხრელად.  
უბრალო ქალი იყო, ჩემი კაფანდარა...  
ოთხი შვილიდან ერთის დამკარგველი,  
ტკივილის უმძიმესი ტკირთის უსიტყვოდ მზიდველი...  
დარიბული ქოხიდან, ლამაზ სახლამდე, უამრავმისამართგამოცვლილი...  
კოპჩია, სუფთა, ფუტკარივით დაუზარელი...  
„ერბოს აკრეფ მისი მიწურიდან“-ო,  
ამბობდნენ მასზე.  
უბრალო ქალი იყო დედაჩემი,  
უბრალოდ კეთილი და კეთილშობილი...  
სნეულთა დამხმარე,  
მშიერთა დამპურებელი,  
მეზობელ-ნათესავთა სული და გული...  
და როდესაც, ჯერ ისევ ახალგაზრდა,  
სულ 52 წლის,  
ცხოვრების უსამართლობით დაფლეთილგულნალატევი,  
„უეცრად“ გარდაიცვალა, –  
ჩემი უბრალო, ჩიტივით მსუბუქი დედა,  
მასავით უბრალო ქალებმა  
გაასვენეს უკანასკნელ გზა-სავალზე...  
უბრალო ქალი იყო ჩემი კაფანდარა.





## ნეტავ კი

დარდის სკა მიდგას სულში, საყვარელო...  
 დღე და ღამ ფუსფუსებენ ფიქრის ფუტკრები...  
 დილიდან – ღამემდე დაფრინავენ კიდით-კიდემდე,  
 იქ – ნაცნობიო...  
 მეგობარიო...  
 ნათესავიო...  
 ყველას თავისი სათავცემო აქვს,  
 ყველას საკუთარი გზის სიმძიმე...  
 მოფრინდება დედა ფუტკარი,  
 ზუზუნ-ბზუილით ჩააწვეთებს სევდის „ნექტარს“, სევდისფერ სკაში,  
 მოჰყებიან მუშა ფუტკრები,  
 აავსებენ და დალუქავენ დარდის ფიქებს, საზეიმო გახსნამდე...  
 მანამდე, ვიდრე თავად დავიწყებდე ზუზუნსა და ბზუილს...  
 დარდის სკა მიდგას გულშიც, საყვარელო...  
 ისე გაბევრდა,  
 ისე გაფუვდა,  
 ისე თუხთუხებს,  
 სადაცაა გადმოხეთქავს თმენის ნაპირებს...  
 რა მოვუხერხო ?  
 სად წავიღო ?  
 სად გადავმალო ?..  
 ვის რად უნდა სამსალაგარეული ნობათი,  
 ფიქრის ფუტკრების შენაგროვები ?  
 ისევ მე უნდა გამოვიზოგო,  
 ისევ მე უნდა ვკვებო ზამთრის თეთრი და გრძელი ღამეები,  
 სათითაოდ გახსნილი ფიქების სიმწრით და სიმძაფრით...  
 ნეტავ კი ვინმეს ტკივილს ვამსუბუქებდე...

## გარემო მარტონბიჭან

საიდან მოდის ფესვი სევდისა... სად აქვს საწყისი ან დასასრული?..  
 სად, ან როდისლა იპოვნის შვებას, გული – ტკივილით გადაბასრული?..  
 მთელი სიცოცხლე სიხარულს ეძებ, მწუხარედ გასცექრ მაღალ  
 მწვერვალებს...  
 ძმასავით გედგა იმედი, ვიდრე  
 დრონი სურვილებს  
 გადალენავდნენ. შორს იტაცებდა ქარი ოცნებებს,  
 როგორც მეკობრე ლამაზ მექავებს და გიტოვებდა  
 სულში იარებს, კაცუნებისგან გასაქელავებს.  
 მიუყვებოდი ეკლიან აღმართს, გულს გიხანჯლავდა  
 კაცთა სიმდაბლე. ერიდებოდი ძვირფას მარმაშებს,  
 ეგუებოდი სევდის პირბადეს... ემალებოდი ერთფეროვნებას,  
 განგებ ეძებდი თითქოს ხიფათებს.  
 ისევ და ისევ ტოვებდნენ წლები, ჭუჭყიან ლაქებს სულის ხიფთანზე.  
 უნანილებდი დარბულ ლუქმას ყოველ მათხოვარს,  
 ჩამოვლილ კართან. არ გაძინებდა სხვისი წუხილი, სანაცვლოდ  
 გესლის გირტყამდნენ მათრასს. ცრემლს იბრუნებდი გულის გულში  
 და ერიდებოდი ნაბიჯებს ნაძრას... ევედრებოდი ღმერთს  
 შემწეობას, შენც არ გეტვირთა დალატი რათა... თავს იწონებდა  
 ბრძო უხამსობით, წნორის ღერივით მთრთოლვარე ქალთან...  
 გინანილებდნენ დები საწუხარს და შემწეობას გთხოვდნენ  
 თვითონ სუსტა. შენც გიგემია შხამი სიცრუის, შენც დაგკარგვია  
 შენი მისოუსტ!...  
 საიდან მოდის ფესვი სევდისა... როდემდე უნდა  
 წუხდე სიმძიმლს... როდემდე უნდა ეპრძიდე აწმყოს, ვით  
 ულიმლამო, მტანჯველ ძილ-ღვიძილს... რად გეურჩება ბედნიერება,



რატომ გაგირბის ურა კვიცივით?..

მთვარეულივით დახვალ და გიკვირს:

რა ცოდვებისთვის ისჯები ასე?.. ხომ შენი წილი ეკალი კაფე, ხომ დადე  
მადლი მგზავრისთვის ქვაზე?.. ულიმილო და ფრთებდაშვებული, სარკესთან  
ითვლი ნაოჭთა ხაზებს. მიუსაფარმა სტუმრის სურვილი ავგაროზივით  
დაჰკეიდე კარზე...

გაქვს ყველაფერი და არაფერი... უცხოა შენთვის მყუდრო კომფორტი...

მადლობა უფალს, თუმც დაიღალე, არ დაეცი და არ გაბოროტდი...

ბაგმეურობა და გულუბრყოლობა დედისგან მზითვად მოგდეს ბოლომდის...

მოუთმენლობის და მოთმინების სასტიკ როდინში ნაყავ მოლოდინს...

კვლავ ძველებურად გიკვირს ყოველი. სევდის სათავეს ჯიუტად ეძებ.

ამ ძიებაში გასულან წლები და ჩაუვლია სიხარულს გვერდზე...

დამშვიდდი, ნუღარ წუხხარ ნარსულზე, ნურც გაურკვეველ, შორეულ ბედზე...

უნდა გაგრძელდეს სიცოცხლე ისევ. უნდა ამაღლდეს იმედი მზემდე!..

ბრწყინვალე დარი მოჰყვება ღრუბლებს, გადარეული ავდრების შემდეგ!

23



## ზარათი ფეფას

ვის არ მივწერე ბარათი დღემდე ვემუსაიფე ქარებს და ნისლებს.

ვემუსაიფე უცნობს და ნაცნობს, მთათა მწვერვალებს, შრიალა ისლებს.

შენ კი, რატომდაც, როგორც გეჟუთვნის, ვერ მოგეფერე ძვირფასო, ისე.

დამეთანხმები ალბათ — ყრმობიდან

მარტოსულობის პინდს ლექსად ვისევ

და მაინც სულის მტირალა ხარო დღემდე იმედით ვერ ამოვივსე.

შენ რომ გიყვარდი, დედაო — ჩემო,

ვერ ძემიყვარა ისე, ვერავინ...

არ დამიზავდა ფარჩის საკერად, ბედი — დღეების ურჩი მკერავი.

გამოვიარე წელი — რამდენი, მაინც ვერავის შევხვდი შენნაირს...

ნეტავი ვისგან გამომყვა ნიჭი — ქათა მკრეფავის, ლექსთა მწერალის....

გულის კუნჭულიც ალარ შემომრჩა

ტკივილებისგან დაუსერავი.

მითხარი, ვისგან ვიტვირთე ნიჭი — სევდის, წუხილის, წვის და ძიების?..

მითხარი, ცრემლით როცა ვიძინებ, რად მესიზმრება ლურჯი იები?..

მითხარ, ყოველთვის რად ვფიქრობ მთებზე....

ვის დავეკარგე, ან ვინ დავკარგე?..

რად მიგროვებდი სულის თაროზე წარსულის ხატებს —

როგორც წაქარგებს?..

მელაპარაკე, ძვირფასო, ზოგჯერ,

„სიზმარში მაინც მელაპარაკე“.

მე ძილ-ლვიძილის მიჯნაზე გნახე: მზით განათებულ დუმილის ველზე...

მოშრიალებდი ნისლისფერ კაბით და თეთრი მტრედით —

გამოწვდილ ხელზე...

მერე მთელი დღე ვფიქრობდი შენზე...

ვფიქრობდი შენზე... ვფიქრობდი შენზე...

და ვისენებდი ნალვლიან თვალებს, პატარა ხელებს,

ნაბიჯებს — დაღლილს.

მშფოთგარე დღეებს, ზამთრის ლამეებს, შენს მთრთოლვარე ჩრდილს,

ჩემს თავთან დახრილს....

მოგონებათა მღელვარე ტალღას დრო — ულმობელი კვლავ გულზე მახლის

და მენატრება შენი ლიმილი და სუნი — ჩემენი პატარა სახლის

და მენატრება შენი ლოდნი ჩემს გზას მშფოთგარედ რომ გაჰყურებდი.

ირიბ ბილიკთან ვარდის ლალანი, ჩიტისთვალები და სამყურები...

შენი თითების ბადაგს ვინახავ მოგონებათა ჭრელი ხურჯინით...

ხან განძეულად ვულაგებ შვილებს, გავნაპირდები ხანაც მუნჯივით...

მოვდივარ, ფიქრის მოვდენი არვეს და შემოდგომის მოვთელავ ჭილობს...

შენ რომ დამტოვე, იმ წუთებიდან სულ ალარავინ მეძახის „შვილოს“...

თუმცა ცხოვრება — ავი და მკაცრი,

დროდადრო თითქოს არბილებს კილოს,

ოლქ. №5, 2024





შერჩენილი მაქვს სევდა ყრმობისა, როგორც დამჭკნარი ია, ღილეილოს.... დღეს სულერთია, შემთხვევითობამ გინდა მიმღეროს, გინდა მიკივლოს. დღეს ბევრი რამე არის სულერთი ის, რაც პირადად მე შემეხება. ბავშვობიდანვე გამომყვა ბედად — ცდა, დაყოვნება და შეფერხება.... ბევრი რამ გახდა სულერთი, გარდა ბედნიერების — ჩემი ოჯახის... და შენი ხმისა, მაგ სიშორიდან გამამხნევებლად როცა მომძახის... შენსავით მიყვარს ფუსტუს სახლში, ჩემი მყუდრო და მშვიდი ოთახი სხვის სრა-სასახლეს, შენსავით — დედა, მეც მირჩევია ჩემი ქოხმახი.... მიყვარს შენსავით, ჩუმი ღილინი. მაშინაც, როცა გული მიკვდება... სხვამ შეიძლება დამცინოს, ამას — შენსავით განა ვინმე მიხვდება?.. ვინ შეიძლება მღეროდეს, თუკი, უკან მოჰკივის ცხოვრება — ავი.... თუკი ბერდება, მაგრამ ვერაფრით ვერ დაამყარა იღბალთან ზავი.

თუ შვილებისთვის რასაც აგროვებს, აგროვებს ცრემლით, ეშმაკთან დავით. დაბადებიდან დასასრულამდე თუ არ ჰქონია სიმშვიდე წამით.

მშვილთვარე ეჭვი აწყვეტდა ნერვებს დღისით თუ დამით,...დღისით თუ დამით.

გზით განათებულ ბილებზე გეძებ. გეძებ მინდორში, ნისლის ზეფირში.

ხანდახან ჩუმად მითხარი რამე... გარწმუნებ, ფიქრში ხელს არ შემიშლი.

ხანდახან, როცა თვალდახუჭული შევენივთები დუმილის სფეროს,

იქნებ მოხვიდე... მომხვიონ ხელი, გადამარწიო და მომეფერო,...

იქნებ მასწავლონ რამე — ისეთი, ჩემი წუხილი რომ არ მებევროს.

იქნებ მეც დავდგა უპოვართათვის სამფეხა სკამზე პური და ღვინო.

როგორც არ უნდა მტკიოდეს გული, სულ გავიღიმო, სულ ვიღილინო....

ჩემი შვილების ხსოვნის კიდობანს არ შევრჩე, როგორც შავთეთრი კინო,...

რომ მაღლიერი მყავდეს მოკეთე,

რომ მტერი ჩემზე არ გავაცინო!..

გახსოვს? — გულჩვილი ვიყავი მუდამ. ვტიროდი ჩიტის და მთვარის გამო.

ისე მაკრთობდა ჩრდილები — ღამის ვცდილობ, ქუჩაში არ დავიღამო.

თუმცა მეძახის სივრცე, შეშლილი, — ნუ ზიხარ სახლში!.. წამოდი!.. წამო!..

ვერ გავაცივე ნაცარი — კერის და ვნანობ, დედა, ბევრ რამეს ვნანობ....

ვნანობ შეცდომებს, შენთან ჩადენილს. ჩემს უსამართლო საქმეს თუ სიტყვას,... ვნანობ ჩვენს შორის

განთენილ დუმილს, ზღუდედ აღმართულ არყოფნის ტიხარს. ნეტავ ვიცოდე, ნისლში ნანაობ... .

თუ ღრუბლის თვითოკ ჰამაკში ზიხარ?.. თუ დაგავინყდა ყოფნის აბსურდი... ქოსი მინის?.. სიმართლე მითხარ.

ხანდახან მაინც თუ გვაყურადებ? — ზოგჯერ დიდებსაც სჭირდებათ ზრუნვა....

ანგელოზების მღერას შეჩვეულ სმენას თუ სწვდება შვილების ურვა?..

ვფიქრობ, გიგონებ და მენატრები, გულს მტევანივით უხეშად ვწურავ და დღეთა ტივით ნელა, სულ ნელა, შენს ნაკვალევზე ჩუმად მოვცურავ.



მხატვარი  
ოთარ იმერლიშვილი



## გივი ჩილვიცაძე

— ძალიან დაგვიწყება გული, რომ არ ნამოხვიდეთ, — აქეთ-იქეთ ამომიფენი უშვერიტესი ქარლიშვილერი და ხვენია დამინიჭეს.

შემოფენის ნიაფი უფრინაშებთ გრძელ თექმის, თვალიერი ურისმამართ, ლაპბაზუ ილიმერიან... ლიმერთო, რომელი მთაგვრობა ან ნახატი შეუფრება მათ, ან ამ ვაჟურქ, მთა ძმის, გამზე რომ გამდგრანა და მორიცებით მეტადიური? — შემოწმვა ჩემი ფიქრების. ადამიანია ამ სამყაროს მთავარი სამკული და მერე მის მიერ შექმნილი შემოქმედება...

გ. ჩილვიცაძე

25



### შემოდგომა პარტარესათვის

ადამიანის ხელით ნაკეთები ნივთის სიღა-  
მაზე თითქოს მაშინ აღვიქვი პირველად. ეს ნივთები იყო აყალო მინისგან გამოძერნილი, მიმზიდველად გამოყვანილი და ზაფხულის მზეზე გამომშრალი კეცები, დოქები, ჭურები, ჩაფები, სურები, ჯამები და ფინჯნები. მხოლოდ სრული ზომების კი არა, პატარა, მინიატურული, ბავშვის სათამაშოდ განკუთვნილი. თან ლა-  
მაზად, სრულყოფილად, სათუთად ჩამოქნილი ბავშვის უფროსები რას მოიცლიდნენ მაშინ. სად?.. სად და, ჩვენი ტყეების ნაპირზე ვიყავი, ზაფხული იყო, საძოვარზე საქონელი გვყავდა გაშვებული, მე ფერდობიდან ვაკე მინ-  
დორზე ჩამოვდიოდი, გვიმრიანი გადავჭერი და სწორედ ამ გვიმრიანში ფეხით რაღაცას წამ-  
ოვედე. არა, გვიმრებს არ წამოვდებივარ, მათ გადათელვას რა უნდოდა? რაღაც დაემალათ, ბუერის ფართო ფოთლებში გახევიათ და დაე-  
მალათ ხშირ გვიმრებში. ასეა, ჩემ ახლოს თუ რამე მნიშვნელოვანი, ლამაზი ან შთამბეჭდა-  
ვია, აუცილებლად უნდა შევნიშნო... პოდა, გავშალე ეს ბუერის ფოთლებში და რას ვხედავ  
— უმშვერიერესი ნახელავითაა სავსე, ძალიან მომენტია. ოჳ, როგორ ლამაზად გამოყვანილი იყო ყველაფერი, სწორედ რომ ჩამოქნილი — ჩაფები წვრილ-წვრილი ყელებით, კეცები თხ-  
ელ-თხელი ფარფლებით, დოქები პატარ-პატარა სახელურებით... და ყველა კოხტა და მოხდე-  
ნილი. უმეტესობა იქვე დავტოვე. რამდენიმე ავილე და წამოვილე. რა უფლებით, მაგრამ სხ-  
ვებისთვის ხომ უნდა მეჩვენებინა? იქვე ჩემს ტოლ მეზობელ ბავშვებს მივუტანე. მოენინათ მათაც, გაუკვირდათ, ნეტავ ვისი გაკეთებული-  
აო. უფროსებაც წახეს, ისინი მეტად აღირთო-  
ვანდნენ. მერე ჩვენმა გოგონებმა დაინაწილეს...

ჰო, უმეტესობა ხომ დავტოვე და ზოგჯერ იქვე შორიახლოს ვიცდიდი, მაინტერესებდა, ვისი ნახელავი იყო, ვინ მოაკითხავდა წასაღე-  
ბად. ორი დღე არავინ გამოჩენილა, ჯამ-ჭურ-  
ჭელი კი იქვე იყო. მესამე დღეს შუადღის მერე, გვიმრიანს ვიღაც მოუახლოვდა. დავაკვირდი და რას ეხედავ, ბარბარე იყო, ჩემი თანაკლასელი მეზობელი სოფლიდან. საქონელს ისინიც აქეთ აძოვებდნენ... გამიხარდა. ბარბარეს სწავლ-  
ითაც არა უშავდა, თუმცა უფრო ხატვა ეხ-  
ერხებოდა. ასეთ რამებს თუ ამზადებდა, არ ვიცოდი... მივუახლოვდი, გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, შევუქე ნახელავი და დანაკლისზეც მოვუბოდიშე, წაგვძლია სულმა-მეთქი. გაეხარ-  
და, მოწონება რომ დაიმსახურა მისმა სათამა-  
შო ჯამ-ჭურჭელმა. ჩემ მიერ აღებულებზე კი მითხრა, არა უშავს, ეს შემთხვევით გამახსენდა,  
შეიძლება აღარც წამელოო. მერე კიდევ მომცა რამდენიმე, აიღე, შენ თუ არ გინდა, შენ მეზო-  
ბელ ბავშვებს მიეციო...

ხატვაზეც ჩამოვუგდე სიტყვა. ვხატავ ხან-  
დახანო, მითხრა, მხოლოდ ეგაა, რომ საღებავე-  
ბი არა მაქს ყოველთვის, ფანქრებით ხატვა კი მომეწყინაო...

ეს ადრეულ ბავშვობაში იყო...

მერე ბარბარემ ნორჩ მხატვართა რესპუბ-  
ლიკურ კონკურსში გაიმარჯვა და მის შემდეგ უფრო აქტიურად დაიწყო ხატვა. გადაიკიდებ-  
და თავის პატარა მოლბერტს და დაეხეტებო-  
და ჩვენს მინდვრებსა თუ ტყეებში. ძირითა-  
დად პეიზაჟებს ხატავდა. ზოგ მათგანს ისეთი მიმზიდველი ფერებით ამკობდა, რომ აუცილებ-  
ლად მოგეწონებოდათ. რამდენიმე წახატი მის-  
ახსოვა, რადგან ხედავდა, რომ აქტიურად ვგულშემატეკივრობდი — ერთხელ ფუნჯები და საღებავებიც ჩამოვუტანე თბილისიდან...





### მხატვარი სოფიო ჭელიძე

\* \* \*

მათემატიკის გაკვეთილი გვიცდებოდა. გარეთ ხვავრიელად თოვდა. ჩვენ საკლასო ოთახში ვიყავით. ცალკე გოგონები ჩურჩულებდნენ და ცალკე ბიჭები ვადგენდით ნაღირობის გეგმებს... ბარბარე ფანჯარასთან ატუზულიყო და ფიფქების კორიანტელს გალიმებული უყურებდა. მერე უცებ მობრუნდა და ხმამალლა თქვა:

— ვის გინდათ, რომ მომავალი ორი გაკვეთილიც გავაცდინოთ და სკოლიდან გავიპაროთ?..

— შატალოს გვთავაზობ, ბარბარე? — შევეკითხეთ ჩვენ.

— ჰო, რაღაცით ხომ უნდა გავხალისდეთ ამ თოვლიან ზამთარში?

— კი, მაგრამ ეს თოვლი ყველგანაა, ახლა გაკვეთილები რომ დავტოვოთ, რა ხეირია? მაინც შინ უნდა დაჯდე და ფანჯრიდან უცქირო ფიფქების ცვენას, როგორც ახლა უცქერ, — ღიმილით უთხრა ნესტანმა.

— კი, მაგრამ თვით ფაქტს, რომ შატალოს მოვაწყობთ, აქვს თავის მიზანულობა. აი, ნახავთ, ამით მთელ სკოლას გამოვაცოცხლებთ. დირექტორი და მასწავლებლები გაბრაზდებიან, დაიბარებენ ჩვენს მშობლებს, მშობლებს

დაგვტუქსავენ, დაბალი კლასების მოსწავლეები დაინტერესდებიან, — ვერ გაბედავენ ჩვენი გმირობის გამეორებას, მაგრამ მოიხიბლებიან ამ საქციელით, ბუხრებთან მიმსხდარ მოხუცებს ახალი ამბავი გაუჩნდებათ სალაპარაკოდ... განაეს ცოტაა?..

— ხელოვანები მუდამ თავისუფლებისაკენ ისწრაფვიან... დიახ, ჩვენ ახლა წავალთ და შენ დახატავ კიდევ ერთ თოვლიან სურათს, რომელსაც ერქმევა „ჩვენი კლასი შატალოზე“, — ვთქვი მე.

— თუნდაც, — გაეხარდა ბარბარეს, — არ მიფიქრია მაგაზე, მაგრამ მომწონს შენგან მოწოდებული თემა, ვეცდები რამე დავხატო.

— აქედან დაგეწყო, მაშინ გაკვეთილების გაცდენას აზრი მიეცემა და გამამართლებელი საბუთიც გვექნება — მეგობრები ეხმარებიან თანაკლასელ მხატვარს შემოქმედებითი გეგმების განხორციელებაში — აი, მიზანი, რისთვისაც ღირს გაკვეთილების გაცდენა, — ახლა არჩილი გამოვიდა სიტყვით.

— გმადლობთ გულისხმიერებისათვის, მეგობრებო, არასდროს დავივინწყებ თქვენს ამაგს, — დაგვიმადლა ბარბარემ.

— ახლა კი ყველამ ჩანთები ავიღოთ, უხმაუროთ ჩავილალოთ ეზოში, ღობეზე გადავხტეთ და წავიდეთ...

— და სად წავიდეთ, არ იტყვით? — ოთოს აწყვეტინებს და კითხულობს ანა.

— თუ სად, ეგ გზაში მოვიფიქროთ, თორემ მალე გამოვა გაკვეთილი და ყველაფერი ჩაიშლება, — აგრძელებს ოთო.

— მოგვეფიქრებინა ჯერ, სად მივალთ, ეგრე როგორ შეიძლება? — წუხს ლელა.

და მაინც წინააღმდეგი არავინაა, ჩანთებისკენ მიბრუნებულა ყველა, მხოლოდ სად წავალთ, ის აინტერესებთ — გასაკვირი ერთსულოვნებაა სწორედ...

— დრო არ ითმენს, ყოფაქცევის დამრღვევნო, დროზე თუ არ გავედით სკოლიდან, ვინმე აუცილებლად დაგვადგება თავზე! — აცხადებს გელა.

— იმედი მაქვს, სადმე კარგ ადგილას წამიყვანთ და შინ არ გამიშვებთ, თორემ აუცილებლად მომაკითხავენ და ორ წუთში გამომიყანენ აქ. მერე დაინწყება დაკითხვები და ვაითუ, მოძალადებმა სრულად დამაფქვევინონ დღევანდელი შატალოს მომზადების ეპიზოდები, — შემოგვლალადა სკოლის გვერდით მცხოვრებმა ტარიელმა.

— დარდი წუ გაქვს, შენ ჩვენთან წამოსვალ და სალამოს შეზარხოშებულს მე თვითონ ჩამო-



გაცილებ ოჯახში, — დაპირდა ტარიელს რობო.

— ნუთუ ქეიფს ვაპირებთ? — დაინტერესდა თინათინი.

— სწორედ რომ ვაპირებთ, გადაეცით მამათქვენს, რომ ძელ-შავის ღვინო გამოგვიგზავნოს, — ლევანიც ქეიფის ხასიათზეა...

სკოლიდან გამოპარვის შემდეგ, შეკრების ადგილის რამდენიმე ვარიანტი განვიხილეთ და ბოლოს საკოლეჯურნეო ფერმის დარბაზში აღმოჩნდით... ფერმის გამგემ დიდსულოვნად დაგვითმო მწველავთა დასასვენებელი ოთახი. იქ კი იმიტომ მივედით, რომ ჩვენ მეგობარ მხატვარს ჭურაში დაუჯდა ჩემგან შეთავაზებული თემა — მრავალ დათოვილ ზენითან ნატურიდან უნდა გაეკეთებინა პირველი მონახაზები და მერე დაესრულებინა ნახატი, რომელზეც ჩვენი კლასი, თოვლიან-ფიფქიანი ზამთარი და შერეული მთიდან ჩამოტანილი თივის ზვინები იქნებოდა ნარმოდგენილი... დათოვილ თივის ზვინებს მხატვრის ჩანაფიქრით სიმბოლური დანიშნულება ჰქონდა — რადგან მთიანი სოფლის შეილები ვიყავით, მაგრამ ფიფქიან-ნისლიან ტილოზე მთები არ გამოჩნდებოდა, ზვინებს გარკვეული რაკურსით ისინი უნდა ჩაენაცვლებინა და თან ზვინებადაც დარჩენილიყვნენ. მხატვარმა ისიც აღნიშნა, რომ მნახველი არაფერ-ში მოტყუფდებოდა. თივა სწორედ მაღალი მთებიდან იყო ჩამოტანილი — ადამიანი კი ალპური მთების ყურებისას მასზე მოსულ ბალახს უცქერსო სწორედ და წლის ამ დროს, ზამთარში, ბალახი იქაც ხელიაო, როგორც ეს თივა... ჰო, ვიდექით თოვლიან ზვინებთან ფიფქებში გახვეული თანაკლასელები და ბარბარე გვხატავდა. იგი მოთმინებით იტანდა ჩვენს მოუთმენელ დგომას და მშვიდად ავლებდა მერთალ ხაზებს დიდ თეთრ ქაღალდზე. მისი ადგილი ჩვენს შორის დატოვებული იყო, იქ თავისი თავი უნდა ჩაეხატა. თვითონ საბძლის წინ იდგა ფარდულს შეფარებული და ჩვენგან ამის გამო წუწუნი ეს-მოდა — შენ, ხელოვანი, კარგ პირობებში ხარ და ჩვენ კი გვათოვსო...

მერე შევწით მწვადები და გავშალეთ უმეტესობის მიერ სახლებში გამოვლისას წამოღებული სანოვაგე. ფერმის მუშაკებმა, რომლებიც მეტად გახალისდნენ ჩვენი უჩვეულო სტუმრობით, ყველი, ხაჭო და ნადუღი შემოგვაშველეს, ცხელი მჭადებიც დაგვიცხვეს და ხევნის შემდეგ მორიდებით — ახალგაზრდებს ხელი არ შეგიშალოთო — შემოგვირთდნენ. ჩვენ ბევრი არც ჭამა გვინდოდა და არც სმა, უფრო უჩვეულო გარემოში ერთად ყოფნა



გვხიბლავდა. ვიხალისეთ, ვიმღერეთ და არა მარტო ფერმის მწველავ-მწყემსები, მგონი საქონელიც გავამხიარულეთ... მერე კი შინისაკენ ნამოვედით ბედნიერები...

სკოლასა და სოფელში ჩვენს ზამთრის შატალოს სწორედ ისეთი რეაქცია მოჰყვა, როგორც მისმა წამომწყებმა, ჩვენმა კლასელმა მხატვარმა ინინასწარმეტყველა: სკოლა სწორედ რომ გამოვაცოცხლეთ — დირექტორი და მასწავლებლები გაბრაზდნენ. დაიბარეს ჩვენი მშობლები, რომლებმაც თავის მხრივ ჩვენ დაგვტუქსეს. დაბალი

კლასების მოსწავლეები დაინტერესდნენ ჩვენი საქციელით, მაგრამ პედაგოგებმა ისე დაახასიათეს ეს უჩვეულო მოქმედება, რომ ასეთი რამის მოწყობა ალბათ გულშიაც არ გაუვლიათ. ფერმის მწყემს-მწველავები ხომ გავახალისეთ და სოფელსაც სალაპარაკო მიეცა...

და კიდევ, რომ არა ბარბარეს მშვენიერი ტილო „ჩვენი კლასი ზამთრის ფერმაში“ (ეს სახელწოდება მიეცა ნახატს მასწავლებელთა დასაშოშმინებლად და არა ჩემგან შეთავაზებული „ჩვენი კლასი შატალოზე“), ალბათ უფრო მეტი მოგვხვდებოდა, ანუ უარესად დავისჯებოდით...

\* \* \*

მერე გავიდა ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული და ჩვენ უკვე მეათე კლასში ვიყავით...

ერთხელ, ოქტომბრის ბოლოს, მთაში წავედი მშობლებთან და მეზობლებთან ერთად. იქ სხვა დროსაც ვიყავი ხოლმე, მხოლოდ გაზაფხულსა და ზაფხულში. ახლა კი ალპური სათიბების დაბლა ტყიანი ფერდობის წინ გაჭრილ ახოებში კარტოფილი უნდა ამოგვეღო. მე სწორედ ამ ტყიანმა ფერდობმა მომხიბლა. მის დანახვაზე უცნაური გრძნობა დამეუფლა, აღფრთოვანებული ვიყავი ასეთი სიღამაზის ხილვით. მთის ნახვა ჩემში ყოველთვის უჩვეულო განცდებს ბადებდა, ახლა კი ეს განცდები ულამაზესი ფერებითაც იყო შემკობილი. ჰო, აყვითლებული ტყები ხომ ყველგან იყო, სოფელშიც, მის ახლოსაც, სოფლიდან იმ მთამდეც შემოდგომის მშვენიერი წიფლნარები გადაშლილიყო, მაგრამ იქ წიფლის ყვითელ-ყავისფერს არყის, ნეკერჩელის, ჭნავის (იგივე ცირცელის) მწვანე-წითელი შერეოდა და ისეთი ფერთამრავლობა, ფერთაშესამება და ფერთაპარმონია დაფენილიყო მთის ფერდობზე, რომ თვალს ვერ ვაცილებდი. ისიც მიკვირდა, ეს ხალხი, ახლა კარტოფილს რომ თხრიდა და აგროვებდა, როგორ არ უცქერდა ამ ფერებს ჩემსავით დაუინებით, ჩვეულებრივად როგორ





ალიქვამდნენ? რა ბედნიერები იყვნენ, მისთვის ხშირად რომ უყურებიათ და არა პირველად ხედავდნენ ჩემსავით!.. ანი რაღა გამაძლებინებდა ამ ფერების გარეშე? ყოველ წელს ამოვიდოდი აქ, ყოველ წელს, ფოტოებსაც გადავიღებდი და... და ბარბარე გამახსენდა, ჩემი კლასელი მხატვარი გოგონა. ვფიქრობდი, რომ ეს — მთების შემოდგომა — არ ექნებოდა ნანახი და მომეძალა დაუკებელი სურვილი — აუცილებლად მეჩვენებინა მისთვის ეს სილამაზე. ამის დაუხატაობა როგორ იქნებოდა, სხვა რა უნდა დაეხატა უკეთესი, სხვაგან სად ნახავდა ასეთ მშვენიერებას?.. მეც ვაგროვებდი კარტოფილს, მალიმალ ვიყურებოდი აფერადებული ფერდობისაკენ და ოცნებებით აშლილ ფიქრებში ასეთი სტრიქონები იბადებოდა: მე მიყვარს ჩვენი ქედები, მე მიყვარს შენი თვალები, / ამ ქედებს ვეთაყვანები, შემოდგომა რომ შვენის, / სადაც არ უნდა ნავიდე, როგორს არ ვჭვრეტდე ამინდებს, / ვიცი, ყოველთვის გამიგებს მზიანი გული შენი...

რამდენჯერმე მოვილაპარაკეთ თანაკლასელებთან ერთად, მაგრამ ხან რამ შეგვიშალა ხელი და ხან რამ, ვერ მოვახერხეთ იმ შემოდგომას მთაში ასვლა ბარბარესთან ერთად... მერე, მერე სკოლაც დავამთავრეთ და ყველანი სხვადასხვა მხარეს ნავედით...

\* \* \*

მრავალი წლის შემდეგ რაიონის ცენტრში, ავტოსადგურზე მოულოდნელად შევხვდი ბარბარეს. ძალიან გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა, ვისაუბრეთ...

— ვერ დაგიხატე შემოდგომის მთები, დათო, — გაიხსენა ჩემგან ბოლოს შეთავაზებული თემა.

— ჰო, უცნაური სურვილით ვიყავი შეპყრობილი, იმ მთის ფერდობზე აფერადებული ტყეების სურათი მინდოდა მეხილა, მაგრამ ჩვეულებრივი კი არა, ისეთი, შენი ხელი რომ შეიტანდა გარკვეულ ცვლილებებს, რომელზეც ჩვენი იმდროინდელი ფიქრები, სევდა თუ აღტაცება იქნებოდა შერეული...

— ჰო, ვიცი, კარგი იქნებოდა, მაგრამ... რა უცნაურია ცხოვრება!.. ისე გადავუხვიე დასახული მიზნიდან, რომ არც დავთიქრებულვარ წესიერად... გათხოვებას შვილები მოჰყვა, ათასი საქმე გაჩნდა, ვიღას ეცალა ან სწავლის გასაგრძელებლად ან ხატვისთვის?.. აღარც ამიღია ფუნჯი ხელში... უნდა მაპატიო... შენ კარგი მეგობარი იყავი, განსაკუთრებული... რა კარგი იყო ბავშვობა!.. შენი წიგნები შევიძინე, ვკითხულობ და თბილი სევდით ვივსები... ბოდიში, უნდა

წავიდე, ჩემი შვილები მელოდებიან, გეხვეწები, წამოდი ჩვენთან, გვესტუმრე, ძალიან გაგვეხარდება ყველას... გთხოვ...

— არა, ბარბარე, არ მცალია, სხვა დროს იყოს, კარგი? ნახვამდის, გესტუმრები მერე აუცილებლად...

— ეჱ, კარგი, ძალიან გამეხარდებოდა... ნახვამდის, ნახვამდის...

ნავიდა ბარბარე, მე კი დავუბრუნდი ჩემს ფიქრებს. ოქტომბერი ინურება ახლაც... ვიცი, ჩემი შორეული, მიტოვებული და მონატრებული მთის ფერდობები აბრდლვიალებული იქნება შემოდგომის ფერებით... მაგრამ მისი დამხატავი, — ისე რომ მშობლიურად იგრძნოს იგი, ჩვენი იმდროინდელი გრძნობებით შეამკოს და დროის წარმავლობას შეაჯიბროს, — არავინაა ჩემს ნაცნობ-მეგობრებში... ბარბარესთვის ის შემოდგომა იყო მხოლოდ ხელსაყრელი, ახლა სადღა სცალია მთისთვის, თან აღარც ხატავს და აღარც მხატვრობა აინტერესებს... ჰო, ის შემოდგომა... ის შემოდგომა რომ გამოვეყენებინა, ბარბარე მთაში აგვეყვანა და იმ სილამაზით მოგვეხიბლა, ვინ იცის, იქნებ მხატვარიც გადაგვერჩინა მასში...

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ მანქანა გაჩერდა ჩემ ახლოს. შევიზნე, ნინ ბარბარე იჯდა. საჭესთან მჯდომი ახალგაზრდა ვაჟი და უკან მსხლომი ორი ტანაშოლტილი ქალიშვილი გადმოვიდნენ და მომესალმენ.

— აი, ეგენი არიან ჩემი შვილები, შენზე ვუთხარი და ახლა ყველა გთხოვთ, წამოხვიდე ჩვენთან, — მომაძახა ბარბარემ მანქანიდან.

— გვესტუმრეთ, ბატონო დათო, ძალიან, ძალიან გაგვახარებთ...

— ძალიან დაგვეწყდება გული, რომ არ წამოხვიდეთ, — აქეთ-იქიდან ამომიდგნენ უმშვენიერესი ქალიშვილები და ხვეწნა დამინყეს.

შემოდგომის ნიავი უფრიალებთ გრძელ თმებს, თვალები უციმციმებთ, ლამაზად ილიმებიან... ღმერთო, რომელი მხატვრობა ან ნახატი შეედრება მათ, ან ამ ვაჟყაცს, მათ ძმას, განზერომ გამდგარა და მორიდებით მეპატიუება? — შემრცხვა ჩემი ფიქრების. ადამიანია ამ სამყაროს მთავარი სამკაული და მერე მის მიერ შექმნილი შემოქმედება... აი, ეს ახალგაზრდები უნდა ავიყვანო იმ მთებში, როგორ დაამშვენებენ იქაურობას...

მივდივარ მანქანისკენ, ამ ლამაზ ახალგაზრდებს როგორ დავწყვიტო გული?.. იქიდან ბარბარე მიღიმის გახარებული. რა ვქნა, მაჯობეს მასპინძლებმა, უარი არ გამაწყობინეს...



## ნინო არსენაშვილი

მ წ ლ ი ნ ი ლ ი ნ ი ლ ი ნ ი ლ ი

ნვითაა მრეში, ნვითაა მრუში,  
ის ხომ სულ ყველას ეალეონსება:  
თმეზზე, მხრეზზე და ჩურჩულებს ყურში;  
იმედის თოკი საფლარ გამწყდარა,  
მივექანები... ხელი გავუშვი...  
სველი სიოთი შეშრნენ ლოურდლები  
და ალურდლები ჩამიდნა სულში.

ნ. არსენაშვილი

29



### თოვლი ტირის

თოვლი ტირის, თოვლი ტირის,  
დედამინას გულისპირი  
დაუსველა ცრემლით  
და ამ ცრემლის მოსავალი,  
სწორი გზა და მართლსავალი  
გამოჩნდება მერმის.

თოვლი ტირის, თოვლი ტირის,  
ტკბილხმიანი გუდასტვირი  
შეუნახავს რაჭველს,  
არც იაფი და არც ძვირი,  
ამ ცხოვრების კადრი ფირით  
დარდთან ერთად სიხარულსაც გვაჩვევს.

თოვლი ტირის, თოვლი ტირის,  
დედამინის გულისპირი  
დაუქარგავს თოვას;  
თოვლი ტირის, უფრო ტკბილი,  
უფრო მშვიდი, უფრო ლალი,  
ვით ალდგომის ბაირალი,  
გაზაფხული მოვა.

\* \* \*

**1977 წლის 31 დეკემბრის გაზეთი  
„ახალგაზრდა კომუნისტი“, რუბრიკა  
„ირმის ნახტომი“.**

უსათუთესი ჩვილი წერგების  
უსათუთესი გრძნობები მქონდა;  
უსახელებო ფარის მწყემსები,  
უსახელებო ქარები ქროდა;  
იყო სიმშვიდე მარტის საფერი  
და ყვავილების იყო ზეობა...  
გადამიხადეს თეთრი დღეობა.  
უმისამართოს ვწერდი წერილებს,





მეგონა, ვწერდი ასე ბოლომდის.  
მერე დავხატე ფრთასუსტი წერო,  
რომელიც ძლიერ ჰგავდა მოლოდინს.

### ჰეჭრე

ცივა!  
სიცივე ძვალ-რბილში ატანს,  
კერ არ უყივლია ქათამს.

გტკივა!  
მოძღვარი ჯალათებს მიჰყავთ.  
ვიღაც უცილობლად გკითხავს....

ცივა!  
და შენც კოცონს ეფიცხები,  
მაგრამ ვაი რომ ვერ თბები.

შიში  
შემოგიჩნდა, უარყავი  
და გძულს საკუთარი თავი.

ხმაა!  
მამალი ყივის, თენდება,  
გული ალარ გამთელდება,  
რიბირაბოდ გათენდება;

ცრემლი  
ამოდინდა გულის გულით,  
იტირე, ჰეტრე, იტირე,  
ცრემლით და სიყვარულით.

\* \* \*

ამიფეთქდება ზოგჯერ იარა  
და თავის ვერა გამიგია-რა;  
შეცნობის გზებზე ბევრმა იარა,  
მაგრამ თან ვის რა წაულია-რა?!

\* \* \*

დაიკარვებენ ცაში ღრუბლები  
და ალუბლები ჩადნება სულში;  
ვერ გეუბნები, არ გეუბნები...  
წვიმაა მრეში, წვიმაა მრუში,  
ის ხომ სულ ყველას ეალერსება:  
თმებზე, მხრებზე და ჩურჩულებს ყურში;  
იმედის თოვე სადღაც გამწყდარა,  
მივექანები... ხელი გავუშვი...  
სველი სიოთი შეშრნენ ღრუბლები  
და ალუბლები ჩამიდნა სულში.





## ოშკი

2023 წლის ოქტომბერში ვიმოგზაურე  
ტაო-კლარჯეთში. ოშკის დიდებული ტაძარი  
ხარაჩოებში იყო, გარედან კი თუნუქის ღობე  
შემოევლოთ. შიგნით შესვლა ვერ შევძლით.

თუნუქი ვერ მალავს სიდიადეს,  
მადლს ვერ აკავებენ ხარჩინი;  
ნეტავ ვინ? და რატომ? ჩემო ოშკო,  
გვარგუნა ეს მწარე განაჩენი.

## ნინო არსენაშვილი

### განა

ბაგრატ მეფე ცას სიხარულს აეტანა,  
ჯვარს იწერდა ოდეს.  
ზეიმობდა ამ ჯვრისწერას მთელი ბანა,  
ცადანვდილი ქონგურები თრთოდნენ.

\* \* \*

ზღვა იყო მშვიდი, ისეთი მშვიდი,  
ჩამავალი მზე ტალღას ჰკოცნიდა  
და შეყვარებულ ამურის მშვილდი  
რატომლაც გატყდა ამ გამოცდიდან  
და მაინც სატრფოს ვერ გამოსცილდა.

და კვირის დღეთა ნაფიცი შვიდი  
ორჯერ ათვალა და დღე გადიდდა;  
ბულვარში გრძნობას ნარინჯად ვფშვნიდი  
და გადავყავდი ნაფშვენს დარდიდან.  
გენიოსია, ვინც მზე ადიდა.

იყო ნაცნობი – წრფელიც და ფლიდიც,  
იყო მიქცევა, იყო მოქცევა...  
ზღვა იყო მშვიდი, ისეთი მშვიდი  
და თაკარა მზის ცაზე მოქცევა  
რომ დამეხატა, მე ფანქარს ვთლიდი.

მზე სავსე იყო, დღე იყო დიდი,  
ზღვა იყო მშვიდი, ისეთი მშვიდი,  
ჩამავალი მზე ტალღას ჰკოცნიდა  
და შეყვარებულ ამურის მშვილდი  
რატომლაც გატყდა ამ გამოცდიდან.

\* \* \*

შინდი მწიფს.  
ქალი მწიფს.  
ღუან.  
დავიჯერო, ფერები ტყუიან?!  
სადღაცა  
ქარიშლები ღმუიან,  
მთვარის ქვეშ,





სერს მგლები ყმუიან;  
ვხედავ გზას:  
ფუნები ფუიან.  
ბზუიან,  
კრაზანები ბზუიან;  
ფუტკართან  
თუმცალა ტყუიან,  
ბზუიან,  
მაინცა ბზუიან.  
შინდი მწიფს.  
ქალი მწიფს.  
ღუიან.  
შემოდგომაა.

\* \* \*

სალამი სიკვდილს, რომელიც აძლევს  
სიცოცხლეს სალისს  
და აღტაცებას;  
სალამი სიკვდილს, რომელსაც შიშით,  
ზოგი რიდით და  
ზოგიც უბრალოდ,  
რატომლაც ყველა ეძმაკაცება.

### უზრაცლოფ მე

მე ცვალებადი ვარ,  
რადგან სამყაროს ნაწილი ვარ.  
მე ცვალებადი ვარ,  
რადგან მეოთხე პლაზმური  
მდგომარეობიდან  
მეხუთე – შეუცნობში  
გადასასვლელად ვემზადები.

მე ნუ დამეყრდნობით.  
მე არამყარი ვარ.  
დაეყრდენით მიწას,  
მიწა მყარია.

აორთქლდით იქიდან მაშინვე,  
სადაც იგრძნობთ, რომ ზედმეტი ხართ.  
თხიერებაზე რაღა გითხრათ?  
ადამიანის ამქვეყნიური არსებობა  
თხიერებით არის საკსე.

მე ცვალებადი ვარ,  
რადგან სამყაროს ნაწილი ვარ.  
მე ნუ დამეყრდნობით,  
დაეყრდენით მიწას,  
მიწა მყარია;

მე ცვალებადი ვარ,  
რადგან მეოთხე, პლაზმური  
მდგომარეობიდან  
მეხუთე – შეუცნობში  
გადასასვლელად ვემზადები.



## უძლები შვილისგან თქმული

**მცდელობა დავით  
გურამიშვილის მიბაძვისა**

არ მეყო არსობის პური,  
სახეზე ვიცხე მური,  
გავყევ მამონას.  
გულმა შეუძვა შური,  
უფალს არ ვუგდე ყური,  
ეშმა მემონა,  
ასე მეგონა.  
ნუთუ წავინყმიდე სული?!  
ტანჯვა მელოდება სრული;  
დავრჩი შორს უფლისგან კრული,  
სიკვდილის მომეახლა რული.

დღოა, ვითხოვო შენდობა,  
მე ძმობა გთხოვო, შენ – დობა  
და თუ არავინ მენდობა,  
შენ შემიფარო.  
მომცე არსობის პური,  
ცრემლით მომბანო მური;  
გულმან განაგდოს შური,  
უფალს მივუგდო ყური,  
გამომიდარო.

განვაგდე საცთური ძველი,  
გამომიწოდე ხელი,  
მტკივა სამსჭვალი, ძელი,  
გელი უფალო,  
გელი.

## თეთრი მხედარი

**ზურაბ ქავჭავაძეს**

თეთრი მხედარი თეთრი რაშით  
აფრინდა ცაში  
მამულისათვის თავშენირულ  
გმირთა დასებთან;  
რვალის სიმტკიცე მოისმოდა  
მუდამ მის ხმაში  
და შეუდრეკლად საუბრობდა  
იგი მასებთან.  
მაგრამ ერია გამყიდველიც  
იმ ხალხთა შორის,  
ჭეშმარიტ გმირთა ღვაწლს  
ვინც უცებ განაფასებდა.  
სავალალოა მოლალატის  
ხვედრი და ფასი...  
თეთრი მხედარი თეთრი რაშით  
აფრინდა ცაში  
მამულისათვის თავშენირულ  
გმირთა დასებთან.



## თინათინ თელაველი

34



მ ე ლ ა ბ რ ი ა ნ დ ი ს ა მ უ ლ ი ს გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ს ი ყ ვ ა რ ი ს

ისე, ძლიერ შეგიყვარე,  
ქრემა ფიქრი სანდეკო,  
თვალი ალარ ამარიდო,  
სევდით ალარ ამავსო...  
სიყვარულით ილიმი, და...  
სიყვარულით ლაშაზობ,  
გეტრფი განწყის მისისინს და...  
გეტრფი განწყის ამაზონს...

თ. თელაველი

### მამულის მზეო!..

აქ, მზის სხივები ათასფერია,  
რადგან, შენი მზით თვალნაფერია,  
მამულის მზეო!!! ნატვრა-ფერიავ,  
შენზე ზძვირფასი არაფერია...

### ნატვრით მოველი...

ცის თაღი ოქროს სხივმა შეთვალა  
ირგვლივ, სიცოცხლით ხაროშს ყოველი,  
მამულის სვეც, თუ, ასე – შეცვალა,  
ასეთ გაზაფხულს ნატვრით მოველი...

### გაზაფხულის სურათი

გაზაფხული ხელებს მიწვდის, აშრიალებს ლერწამ ტანს,  
სულში სითბო ჩამეღვარა, თვალწინ მიშლის ნეტარ ხანს  
ფრთაგაშლილი ჩიტუნები, ფიქრს ანდობენ მღელვარ ქარს,  
სიცოცხლე მზედ მოჰყენია ლამაზ მდეღლოს, მწვერვალ მთას...

### სიყვარულის მოვა...

უძირო სივრცე და უძირო ლაშვარდი,  
ფიქრთა ვარდისფერი თოვა,  
ფერთა საუფლოში, ლად სხივთა ნავარდით,  
მწველი სიყვარულიც მოვა...





**თინათინ  
თელაველი**

როგორ...

როცა ფიქრს აწრთობ, ამზევებ, და... სწრაფვა მიზანსრულია, როცა, სიმართლეს მსახურებ, თვლი, სწორად მიმართულია, როცა, სიყვარულს ენდობი, შვება – გულს შიგან რგულია, როცა, სიკეთეს ასხივებ, სიკეთე სიყვარულია...

ჟურნალის...

სილამაზე სხეულის და სილამაზე სულის სჯვობს, ვინამოთ რჩეულისად, მცნებად სიყვარულის, ნაჩუქარი უფლისაგან, ნეტარება გულის, განკურნება ურვისაგან, შვება სიხარულის...

35



ნაჭრობს ფრთებს ვახხამ...

ფიქრებს მილალებს სილაშვარდე სულის, – უცილოდ, ნატვრას ფრთებს ვასხამ, განცდა მწველი, სხვას, რად ვუწილო?.. მაგ თვალთა ისრებს, გულს, რომ მასობ, – ჯიქურ, უძიროდ, მინდა, ეს, გული, სიყვარულით შენს გულს ვუწვილო...

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები...

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები,  
ფიქრებს, თან, დაჟყვები კვლადაკვალ,  
ხან, ეჭვით, ხან, ტრფობით ვინთები,  
რადა მკლავ, რადა მკლავ, რადა მკლავ?..  
დროის სვლას, ამ, ფიქრით დავყვები,  
ოცნებით იმედის სხივს ვართავ,  
დანისლულ გულისთქმას არ ვყვები,  
და.. მაინც, თავს, თითქოს, ვერ ვმართავ...  
ის, ჩვენი ნატვრა და ფიქრები,  
მწველ დროს რად მისდევენ მხარდამხარ?..  
სიყვარულს გპირდები, მჭირდები,  
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?..  
ფიქრები, ფიქრები, ფიქრები,  
ფიქრებს, თან, დაჟყვები კვალდაკვალ,  
ხან, ეჭვით, ხან, ტრფობით ვინთები,  
რადა მკლავ, რადა მკლავ, რადა მკლავ?..

თუმწა...

ჭირხლი, უხვად დამთოვია, თუმცა, თმაში,  
მაინც, თან, მდევს, სიყვარული თეთრი რაშით...  
არ-რით მტოვებს, არ მასვენებს, მირევს ფიქრებს, –  
იმ, წარსულის განცდით მანთებს, ძალას იურებს...  
იწვის ფიქრი, შენი სახე, ამ ფიქრის, თან, სდევს,

ოლქ, №5, 2024





მოგონება, მივიწყებულ ტალღებს ამღვრევს:  
წვიმა, – თუმცა ნაკვალევს შლის, ქვიშა რჩება,  
გული კვნესის, გული გმინავს, უნდო ხდება...  
გახსოვს? როგორ შევხაროდით ლამაზ მთა-ხევს,  
შენი სუნთქვა სიყვარულით მწვავდა სახეს,  
გატაცებით გავძახოდით მთებს ჩვენს სახელს,  
მთებიც, რიხით გვიპრუნებდნენ ექის, თანმხლებს,  
რა ვიცოდით? დრო გვიგებდა მაცდურ მახეს,  
რომ ცხოვრება ტრფიალ გულებს – ბედს სწევს; ხან, ხევს...  
რომ ცხოვრება, ხან, ცრემლსავსე თვალებს ახელს  
და... ის ქარი ვერხვებს დღესაც განცდით არხევს...  
ვინატრებდი: მზემ შეუშროს წყვილებს ცრემლი,  
ჰქონდეთ თვალი – სიხარულის ცრემლით სველნი  
სიყვარული მზე არის და ეგზომ მწველი,  
დე... ილბალიც, იყოს მუდამ, წყვილთა მცველი.

### მხოლოდ შენთვის...

(სიმღერა)

შენმა ტრფობამ ამამღერა,  
შენმა ტრფობამ დამათრო,  
ტრფობამ გული ამიძგერა,  
გულს რა ვუყო, ანათროლს?!.  
ისე, ძლიერ შეგიყვარე,  
ქრება ფიქრი სანავსო,  
თვალი აღარ ამარიდო,  
სევდით აღარ ამავსო...  
სიყვარულით ილიმი, და...  
სიყვარულით ლამაზობ,  
გეტრფი განცდის მისისის და...  
გეტრფი განცდის ამაზონს...  
ფიქრმა გული დამისერა,  
სხივთა ელგით ალმასობს,  
თუ, ილბალმაც არ მიშველა,  
გულზე ისარს დამასობს...  
შენი ხოტბით დავილლები,  
შენი ხოტბით ვკალმასობ,  
მხოლოდ შენთვის გავირჯები,  
მხოლოდ შენთვის ვხალისობ...

### მინდა, მუდამ მახარეზდე...

(სიმღერა)

მინდა, მწველი ბაგით გკოცნო,  
მწვავდეს შენი ალები,  
მინდა ტკბიბით დაგიყოცნო,  
ეგ, ლამაზი თვალები...  
მინდა მუდამ მახარებდე,  
ვიყოთ ტრფობით მთვრალები,  
სხივთა გვირგვინს ვატარებდეთ  
ალმასებით, ლალებით...



მისამლერი:  
ალმასებით, ლალებით  
ალმასებით ლალებით...  
გულს მილალებ სიყვარულით,  
სიყვარულის ალებით,  
გულს მილალებ მზისდარული  
შენი ირმის თვალებით...  
ავარიდოთ გულს ლოდები,  
ლამაზ სვეთა ყვარებით  
ამ, გულს გიძღვნი, გელოდები  
გეტრფი, გეთაყვანები..

მისამლერი:  
გეტრფი, გეთაყვანები...  
გეტრფი, გეთაყვანები...

37



ოუკი...

შენზე ფიქრით იქარგება დრო, – ისევ,  
შენზე ფიქრით ფერადობენ ნისლებიც,  
განცდის ზლვაში ფიქრებს სხივად მოვისევ,  
თუკი, ჩემთან, მხოლოდ, ჩემთან იქნები...

სიყვარული...

სიყვარულია უპირველეს, სიცოცხლის არსი...  
მზესიყვარულით კაბადლინი თვალნაფერია,  
დიადი არის და მარადი სიცოცხლის ფასი...  
უსიყვარულოდ, თვით, სიცოცხლე არაფერია...



თელავი.  
მხატვარი ვანო გოცირიძე



ოლე, №5, 2024

## გიორგი შარვაშიძე

38



საქართველოს კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი

საქართველოს კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი

...და მეორე ფლიტან გახდა წუჭადა, უელარ დადიოდა, ლოგინად ჩავარდა და მიცხვდი, რომ ეს იყო დასახურის ფასასალულისა. იმ ფლიტან ჩემი წხოვრება მის წხოვრებას გადაეწა. ფლე და ლამე გაერთიანდა. ყველაფერს ვწარი-ლომდი მისი ავტომოტორს შემეტაუმუქებინა, მისი სირზბ-ლე ერთი-ორი ფლით მაინჯ გამეხანგრძლივებინა, მაგრამ ყოველი ფლე ვხედავდი, რომ თვალსა და ხელს შორის მეტობისა და მას გამო გადაიცანა და ახლა ვხ-დეოდი, რაოდენ უმნეო ხდება ადამიანი ასეთ დროს.

გ. შარვაშიძე

## უკანასკნელი ცრემლი

— ორი... სამი... ოთხი... ხუთი... — მესმის დე-დაჩემის ხმა.

— წიკ... წიკ... წიკ... წიკ... — ისმის კედელზე ჩამოკიდებული საათის მონოტონური წიკწიკი.

ვიცი, დედაჩემი ოცამდის დაითვლის და გაჩერდება. ყურს მიუგდებს საათის წიკწიკს, რომელიც დროს აღრიცხავს. დრო ზოგისთვის ზღაზვნით მიიპარება, ზოგისთვის კი ელვასავით გაირბენს წუთისოფლის თვალსაწირზე.

— ...ათი... თერთმეტი... თორმეტი... — თან-მიმდევრობით მისდევს დედაჩემი.

მიკვირს, რადგან მისი აგონიური მდგომარეობის გამო, ასე გამოთქმით და მიმდევრობით თვლა, ცოტა არ იყოს, უცნაურია. მისი ავადმყოფობის მეექვსე თვეა და ამ ბოლო დროს, გონება თითქოს ენისლება. ჩვენც ძლივსლა გვცნობს. თვლა კი, ამ რამოდენიმე დღის წინ დაიწყო. ხან ერთიდან იწყებს, ხან ხუთიდან, ხან რვიდან, თუმ-



მხატვარი სოფიო ჭელიძე





ცა მერე მიყოლებით მისდევს და ოც რიცხვზე ჩერდება. ვერ ვხვდებით რას ნიშნავს ყოველივე ეს.

– ...თვრამეტი... ცხრამეტი... ოცი, – ჩერდება.

– წიკ... წიკ... – მკრთალი ნათურის შუქზე ოთახის მყუდროებას მხოლოდ საათის ხმაღა არ ღვევს.

გვერდით საწოლზე ვარ ნამონოლილი და ვუყურებ დედაჩემს. უპეებში ჩაცვინული თვალები უხუჭია და ლრმად სუნთქავს. დანაოჭებული სახე სულ დაპატარავებული აქვს, ლოყები ჩაცვინული. საბნის კიდეზე ამონცობილი ხელები ჩამომჭკნარი აქვს, რომ იტყვიან, ძვალი და ტყავიო, ისეა.

ნაადრევად გამოეცალა მეუღლე გვერდიდან და თვითონაც ნაადრევად დაობლებულმა, ყველაფერი იღონა, ბავშვებს ობლობის სიმწარე არ ეგრძნოთ. რკინის ქალამნები ჩაიცვა, რკინის აბჯარი აისხა, რომ შვილებისთვის ლუკმა-პური ეშოვა და არავისთვის დაეჩაგვრინებინა. გამოზარდა შვილები, დააბინავა და თითქოს ახლა უნდა დაესვენა, მაგრამ ობლობა გამოვლილმა და შრომაში ნაწრთობ-ნაჯაფარმა, არ დაანება შვილებს, ჩემი სარჩო მე თვითონ უნდა ვიშმონოო და კვლავ განაგრძო შრომა-გარჯა. ასე ჯაფაში გაცვდა მისი სხეული. ბოლო წლებილა გაანება მუშაობას თავი, როცა ისე დაუძლურდა, რომ მუშაობა აღარ შეეძლო. მაინც დადიოდა ეზოში, მაინც ფუსფუსებდა, მაინც რაღაცას ცდილობდა, თუმცა აბჯარ-ქალა-მან გაცვეთილი სხეული აღარ ემორჩილებოდა.

ამ ექვსი თვის წინ შვილებმა დაბადების დღე აღვუნიშნეთ. კარგად მოილხინა, თავისი განუმეორებელი ლექსები წაგვიყითხა, იმღერა, იმხიარულა და...

...და მეორე დღიდან გახდა ცუდად, ვეღარ დადიოდა, ლოგინად ჩავარდა და მივხვდი, რომ ეს იყო დასაწყისი დასასრულისა. იმ დღიდან ჩემი ცხოვრება მის ცხოვრებას გადაება. დღე და ღამე გაერთიანდა. ყველაფერს ვცდილობდი მისი ავდ-მყოფობა შემემსუბუქებინა, მისი სიცოცხლე ერთი-ორი დღით მაინც გამეხანგრძლივებინა, მაგრამ ყოველი დღე ვხედავდი, რომ თვალსა და ხელს შორის მეცლებოდა. უსუსური ვიყავი მებრძოლა, ის სამავიერო მიმზიდო, რაც მან ჩვენს გამო გადაიტანა და ახლა ვხვდებოდი, რაოდენ უმწეო ხდება ადამიანი ასეთ დროს.

– ხუთი... ექვსი... შვიდი... – ახალ ჩათვლემილს მაღვიძებს დედაჩემის ხმა.

მის ხმას საათის ხმა ენაცვლება. ვდგები, საბანს ვუსწორებ. თვალებდახუჭული ითვლის.

ოცზე ჩერდება. მალევე ძილად ეშვება. კვლავ ჩემს საწოლზე ვწვები.

მეუღლის დაკარგვამ ძლიერად იმოქმედა მასზე. საღამოს შვილებს შემოისხამდა ხოლმე და სევდიანი ხმით დაინყებდა სიმღერას. ბოლოს ხმა „უდალატებდა, „ვამე შვილებოო“, ნამოიძახებდა და ცრემლებს მოაყოლებდა. შემდეგ თანდათან გული გაიმაგრა, გამხნევდა. ფეხზე დაყენა ოჯახი. ზედმეტს არავის ათემევინებდა. ოთხი შვილი სანაქებოდ გაზარდა. დააოჯახა. შვილიშვილებმა გაახარეს და გაამხიარულეს. მათზე ამოსდიოდა მზე და მოვარე, მაგრამ ფიზიკურ მუშაობას მაინც არ ანებებდა თავს. ასე გაირბინა წლებმა. ოთხომცდათს გადააბიჯა. ერთი-ორი ხელი კიდევ ნატრობდა სიცოცხლეს, მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო უარესდებოდა მისი მდგომარეობა. ბოლო ორი კვირა უცნაურობები დასჩემდა. თავისი მშობლები ელანდებოდა. ჩვენც დედას და მამას გვეძახდა... და ეს დათვლა...

მეორე დღეს, დედაჩემთან ჩემს დას ვტოვებ და მე მეზობლის დაკრძალვაზე ვჩქარობ. სასაფლაოზე მამაჩემის საფლავს ვნახულობ. სურათიდან ახალგაზრდა კაცი იღიმის. ათიოდე წლის თუ ვიქენებოდი, როცა გარდაიცვალა. მისი სახე ბუნდოვნად მახსოვეს. მართალია, დედაჩემი ყველაფერს ცდილობდა, ობლობა არ გვეგრძნო, მაგრამ ობლობის სიმწარე ყველგან თან მდევდა.

ტელეფონის ზარი მაწყვეტინებს ფიქრს. ვპასუხობ. ჩემი ქალიშვილის აღელვებული ხმა მესმის.

– სასწრაფოდ სახლში წამოდი, ბებო ცუდად არის!..

პირველი რაც მახსენდება, სასწრაფოში დარეკვაბა. შემდეგ სახლში გავრბივარ. სახლში მისულს სასწრაფო უკვე მოსული მხვდება. ჩემი და თვალცრემლიანია. დედაჩემის ოთახში შევდივარ და მის საწოლს ვუახლოვდები. მშვიდად წევს და აღარ სუნთქავს. თვალებს ვუხუჭავ, რომელზეც ჯერ შეუმშრალი, ბოლო კურცხალი ცრემლია ჩამოგორებული. სასწრაფოს ექიმი ანკეტას ავსებს და დღევანდელ რიცხვს კითხულობს.

– ოცი სექტემბერია, – ვიღაც პასუხისმა.

ოცი... ელვისებურად გამირბინა თავში. აი, თურმე რას ნიშნავდა მისი დათვლა. ესე იგი, თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლიდა. მან წინასწარ იცოდა ეს ავადსახსენებელი დღე. ლოყაზე ჩამოგორებულ უკანასკნელ ცრემლს ვუმშრალებ და მეც ცრემლებმომდგარი გარეთ გამოვდივარ.

23 აგვისტო, 2024 წელი



### ვანო ჩხილვაძე

40



საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ გადასახვასთან დაკავშირდება

ტატიანა – შენებ კარგად გიწიობ – დაოჩი, ორი უზნეო კარგად მორიგეობით!.. წამოჭი, შვილო! (ლაურას ხელკავი გა- მოსდომ) ვის, ვისაგ გაგაყოლებ – ჰანგულ კუკულაძეთან შეფ- ნიერი ქალი იქნები.

ლაურა – არ მინდა კუკულაძე, მელოდია! მე ეს უფრო მომზრის!

ჭანი – ახლა წადი, ჩემო ჩიორა და მოგიყვდეს მამა, თუ საქმე ისე არ მოვაკარახუნო, როგორჯ შენ გინდა! (მყურდი ჩაიმჭიდა და თვალით ზეზვაზე ანიჭნა)

ლაურა – (კისერზე ჩამოეყიდება) მამიკო, რა საყვარელი ხარ! მაგრამ მაინუ რომ არ შემირთოს?

ჭანი – (საფულეს ამოილებს) შენ დარდი გაუშვი – ამ ქვეყნაში ეს ყველაფერს აგვარებს!

ვ. ჩხილვაძე

### პლეიი

კლოდ მანიეს,  
სოსო ნემსაძეს

(კომედია ორ მოქმედებად)

### მოქმედი პირნი:

ზეზვა – ახალგაზრდა მხატვარი, წარსულში პირველი ევროპელი

მზია – მოახლე, პროვინციელი გოგონა, პირველი ევროპელი

თიკა – მოდელი

დიდუბელი ჯონი – ბიზნესმენი

ტატიანა – ჯონის სიდედრი, ლაურას ბებია

ლაურა – ჯონის ქალიშვილი

უცხოელი – მეძავი

არიადნა – ბინის მესაკუთრე



## პირველი მოქმედება

სასტუმრო ოთახი. ორი ჩემოდანი, ერთი გახ-  
სნილი – დივანზე ტანსაცმელია ამოყრილი. იატ-  
აკზე თხილამურები, მხატვრის ნივთები – მოლ-  
ბერტი, ცარიელი ჩარჩოები.

**არიადნა** – მოკლედ, ძვირფასო ზეზვა,  
თითქმის ყველაფერი დაგათვალიერებინეთ...  
ჰო, მართლა, აქეთ საძინებელია, მყუდრო, მოხ-  
ერხებული, ხმაური არ შეგანუხებთ, ჭურჭე-  
ლი, დანა-ჩანგალი, სუფრები, ხელსაწმენდები  
კუხნაშია, საპატიო სტუმრებისათვის ბროლის  
ჭიქები, აგერ, ამ კარადაში, ოლონდ ყოველდღე  
სახმარად არა. თუმცა რას გიხსნით, ყველაფერს  
მიაგნებთ, არ გავხართ ჩემს ცხონებულ ქმარს,  
თვალიდან ბერვს რომ ვერ გამოილებდა.

**ზეზვა** – მაპატიეთ და, როდის გარდაგეცვა-  
ლათ?

**არიადნა** – (გადაიკისკისა) ტი ჩტო, ვინ გარ-  
დამეცვალა? იმას რა მოკლავს, თუ ძალით არ  
დაუდო მატარებელს თავი... (მკერდი ჩაიმჯობა)  
ჩემთვის არის მკვდარი, ჩემთვის, თორებ იმას  
რა უჭორს... გამომაჭამა მამაჩემის ქონება და  
გაეკიდა რუსეთში ვიღაც გამვლელ კახპას...  
მოკლედ, ამაზე სხვა დროს... (ტანსაცმელს ალ-  
აგებს ჩემოდანში) ჰოდა, ერთი დელიკატური  
საკითხიც და... რა ვენა, ალარ ვიცი, რომ იცო-  
დეთ, როგორ მიჭირს ასეთ რამეებზე ლაპარა-  
კი... (დივანზე გადაგდებულ შარფს იხვევს).

**ზეზვა** – ბოდიში, ქალბატონო, ეგ შარფი ჩე-  
მია...

**არიადნა** – ოი, ბოდიში იქით უნდა მოგიხა-  
დოთ, ხედავთ როგორ მიძნელდება ქირის თაო-  
ბაზე საუბარი?

**ზეზვა** – ეგ ხომ უკვე გარკვეულია, რო-  
გორც შუამავალმა მითხრა, ორ კვირაში ორასი  
დოლარი უნდა მოგართვათ...

**არიადნა** – მაგრამ ეგ ციფრი, ასე ვთქვათ,  
მანც დაზუსტებას მოითხოვს... მანდ გათვალ-  
ისწინებული არ არის სხვა წვრილმანი ხარჯები –  
დენი, წყალი, გაზი, ნაგავი, ტელეფონი... (ახლა  
ქურთუკს დებს ჩემოდანში)

**ზეზვა** – მაპატიეთ, მაგრამ ჩემი ქურ-  
თუკია!

**არიადნა** – ოჲ, ეს უფულობა, თვალებს გიბ-  
ნელებს და გონებას გიბინდავს... მოკლედ, ასი  
ლარიც უნდა დამიმატოთ!

**ზეზვა** – წვრილმანი ხარჯებისთვის?

**არიადნა** – დიახ, წვრილმანი... თანაც პირო-  
ბაც უნდა მომცეთ, რომ აქაურობას თვალისჩინი-  
ვით მოუფრთხილდებით... განსაკუთრებით ან-  
ტიკვარულ ჭურჭელს და ბროლის ჭიქებს!

**ზეზვა** – პირობას გაძლევთ! (ხელი პი-

ონერულად შუბლთან უნდა მიიტანოს, მაგრამ  
მაგიდაზე დადგმულ ლარნაკს გაჰკრავს და ლარ-  
ნაკი იატაკზე დაიმსხვრევა).

**არიადნა** – ღმერთო ჩემო, ეს რა მოხდა,  
თქვენ ჩემი ქალწულობის ტკბილი მოგონებები  
დაამსხვრიეთ!

**ზეზვა** – მაპატიეთ, უნებურად...

**არიადნა** – მარშრუტკა „თბილისი-გუდაუ-  
რი“ ისე მაღა გადის, რომ დროც არა მაქვს ეს  
ყველაფერი სათანადოთ შევიწხადო! (დაიჩოქებს  
ნამსხვრევებთან)

**ზეზვა** – იქნებ ხელოსანს დავაწებებინო.

**არიადნა** – დაწებებული გული ალარ ვარგა  
და ეს ვილას ჭირდება... რა ვენა, ძალიან მიმდიმს  
ამის თქმა, მაგრამ თქვენი საფულე კიდევ ერთხ-  
ელ უნდა შეაწეხოთ და ასი ლარი კიდევ დამი-  
მატოთ, თუმცა უფრო მეტი მიღირს (ლარნაკის  
ძირზე დაკრულ ფურცელს უჩვენებს) აი, ამის  
ქვითარიც...

**ზეზვა** – (ჩაიკითხავს) კი მაგრამ, აქ ორი ცა-  
ლის ფასია და თანაც 50 მანეთი, მე ხომ ორივე  
არ გამიტებას, სად მაშინდელი ოცდახუთი  
მანეთი და სად ასი ლარი.

**არიადნა** – მართალი ბრძანდებით, მართლაც  
სად ოცდახუთი მანეთის მსყიდველობითი უნარი  
და სად ასი ლარის – ეს ხომ ფული კი არა, ჩე-  
ჩქია, ჩეჩქი! რაც შეეხება თქვენს პრეტენზიას,  
მე ხომ მხოლოდ ერთი გავტეხეო, ამას მნიშვნე-  
ლობა არა აქვს, ჩემთვის ერთი მეორის გარეშე  
არაფერს ნიშნავს. (მიაშვერს თითს კარადის თავ-  
ზე შემოდგმულ მეორე ლარნაკს)

**ზეზვა** – სულ არაფერს?

**არიადნა** – არაფერს, ვერ გაიგონეთ?

**ზეზვა** – (ლარნაკს ჩამოილებს, მაღლა  
ასწევს და ხელს გაუშვებს) ახლა გავსწორდეთ!  
(ჯიბიდან საფულეს ამოილებს) ინებეთ კიდევ ასი  
ლარი!

**არიადნა** – ღმერთო, რა სასტიკი ხართ! ნე-  
ტაც ჩემს ცხონებულ ქმარს ხომ არ ენათესავე-  
ბით, თუმცა რა მიკვირს, ყველა ქართველი ერთ-  
ნაირი ბედოვლათები ხართ!

**ზეზვა** – (გაუკვირდა) ქართველები? რას  
გვერჩით ჰაოსის ასულო!

**არიადნა** – (გაცხარდა) რო ამტვრევ, ვისას  
ამტვრევ!.. ისე გიყვართ ყველაფერი მზამზა-  
რეული... იცი, თბილისი ვინ ააშენა?

**ზეზვა** – მაგას რა ცოდნა უნდა – ვახ-  
ტანგ გორგასალმა.

**არიადნა** – თქვენი ისტორიის მასწავლებ-  
ლის რა ვთქვა – დაარსება და აშენება ვერ უნდა  
გაარჩიო? ტი ჩტო, ცავატანე, მარტო დაარსება





კმარა? ის იკითხე, აშენებით ვინ ააშენა... რევოლუცია არ მომხდარიყო... „ვარდების“ არა, უფრო ადრე, ცხრაასჩვიდმეტში... მაშინ ვნახავდით თბილისის თავზე ვისი დროშაც იფრიალებდა... თქვენ რა, აქამდე არაფერი გაგიგიათ, არა გსმენიათ? მართლა იმ ზეზვასავით, დმანისში რომ აღმოაჩინეს, დღეს ხომ არ გამოხვედით გამოქვაბულიდან... (კარისკენ მიღის, მაგრამ ისევ შემობრუნდება)

ის ზეზვაც, ძან რო ტრაბახობთ ქართველები, იცით სადაურია?

ჩვენი აკადემიკოსები მალე დასკვნას დადებენ!.. ანდა იმათი დასკვნა რად მინდა, პაპაჩემის მამის სურათი რომ ნახოთ, გამოცხადებული ზეზვაა...

**ზეზვა** – ბებია, ალბათ, მზიას ემგვანება!

**არიადნა** – იცინე, იცინე, ვნახოთ ვის ექნება სასაცილოდ საქმე!.. აბა, კარგად დარჩით, პაკა! (გარბის).

**ზეზვა** – ბედნიერ დასვენებას გისურვებთ, ზეზვას შვილიშვილი! (არიადნა კარს გაიჯახუნებს) ესეც ასე! (საათს დახედა) სად არის აქამდე გამოძახებული მოსამსახურე, წესით უკვე უნდა გამოჩენილიყო! ამ ნაგავში როდემდე ვიჯდე?

(თითქმის ერთდროულდ კარზე და ტელეფონზე რეკავენ, ჯერ ყურმილს ჩასძახებს, მერე კარისკენ გარბის, გაალებს და არც უყურებს ვინ შემოდის, ისევ ყურმილს დაავლებს ხელს)

გისმენთ! ჰო, თიკა! ათ წუთში მოხვალ? შენ კი მოხვალ, მაგრამ მოსამსახურე? როგორი სიმპათიურიც არ უნდა იყოს, ხომ იცი, რომ მე მხოლოდ შენ გაღმერთებ... გელოდები, ფისუ... (დაინახა კარში ჩამდგარი გოგო, ჩემოდანი და ხელჩანთა რომ უკავია) გელოდები...

**მზია** – ბატონი ზეზვა აქანე ცხოვრობს?

**ზეზვა** – დიახ, რა გნებავთ?

**მზია** – დაქირავების ბიუროდან გამომგზავნეს...

**ზეზვა** – (ახედ-დახედა) მაგრამ, თქვენ რა უნდა გამიკეთოთ?


**მზია** – შევასრულებ ნებისმიერ შავ სამუშაოს.

**ზეზვა** – (გარშემო შემოუვლის) ნებისმიერს?..

**მზია** – დიახ, ბატონო!

**ზეზვა** – ასე სუსტი და ნორჩი?

**მზია** – ღმერთო, ყველგან ერთი და იგივეს მეუბნებიან! რა მეშველება, ნუთუ სამსახურს ვერასოდეს ვიშოვი? (ჩამოჯდება ჩემოდანზე და ტირის)



### 316 ჩეიკვაძე

**ზეზვა** – დამშვიდდი... შენი სახელი?

**მზია** – თუკი ჩემზე უარს ამბობთ, სახელი რაღაში გჭირდებათ!

**ზეზვა** – ჰო, ეგეც მართალია... მე პროფესიონალ მოსამსახურეს ვსაჭიროებ, ვინც აქაურობას დამილაგებს, დარეცხავს, სამზარეულოში იტრიალებს, სუფრასთან მოემსახურება სტუმრებს...

**მზია** – სულ ეგ არის?!

**ზეზვა** – კიდევ, საქმიანი წინადადებით ბევრნი დარეკავენ და უპასუხებს როგორც საჭიროა?

**მზია** – მერე, რა უნდა მკითხოს ტელეფონმა ისეთი... რა უნდა მაგ ყველაფერს!..

**ზეზვა** – (საფეხქელთან საჩვენებელ თითს მიიკავუნებს) რა და, გონება-განათლება!.. მაჩვენე სარეკომენდაციო ბარათი, ვნახოთ აქამდე სად გიმუშავია!

**მზია** – არა, არ მიმუშავია, მაგრამ დეიდასთან ყველაფერს მე ვაკეთებდი.

**ზეზვა** – (ირონიით) დეიდასთან? იცი, აქ რა ხალხის მომსახურება მოგიწევს? როგორი დახვენილი მანერები დაგჭირდება? შენგან კი...

**მზია** – რა, ჩემგან?

**ზეზვა** – ღრმა პროვინციის სუნი მცემს...

**მზია** – რისი სუნი? (ჯერ ჰაერს, მერე ხელებს, ჩემოდანს და თავის ტანსაცმელს ყნოსავს)

**ზეზვა** – აბა, როგორ უნდა მიგილო, პროვინციელის მნიშვნელობაც კი არ იცი...

**მზია** – მითხარი და მეცოდინება... უდედმამო ვარ, შემიბრალე, დედა თურქეთშია, მამა საბერძნეთში, მე ხეთის ანაბარად დამტიქს აქანე.

**ზეზვა** – გამაგიუქებს ეს გოგო, ხომ გითხარი პროფესიონალი და ხელოვნებაში გარკვეული მოსამსახურე მჭირდება-მეთქი! ახლა ქართულში მოგამზადო, თუ თავზესაყრელ საქმეებს მივხედო?! იმ დონის სტუმრებს, დამტიქ-აქანე-თი შეხვდეთ?!

**მზია** – რა ვქნა, მასეთ გარემოში დევიბად-გევიზარდე...

**ზეზვა** – რას ჰქვია გარემო, თავლაში რომ დაბადებულიყვავი ჭიხვინი უნდა დაგენეროვო?

**მზია** – ძალიან გთხოვთ!

**ზეზვა** – არ შემიძლია.

**მზია** – გამოსაცდელი ვადით...

**ზეზვა** – მეტი რაღა გამოგცადო?..

**მზია** – ვაიმე, რა უბედური ვარ! (ჩამოჯდება და ხელებს თავში ირტყამს) ჩავიჭრი უნარებში (უცებ ნამოხტება) გამახსენდა, როგორ თქვი?



ჰო, დეიდაჩემის სარეკომენდაციო ბარათი მაქვს, ისეთი, ისეთი, ქვას გახეთქავს... ვინც აგიყვანს იმას გადაეციო... თუ არავინ მიმიღო დარჩება ეს წერილი წოუკითხავი! (გახსნის ჩანთას და კონვერტს ამოილებს)

**ზეზვა** – (საათს დახედავს) ამას ვის გადავეკიდე! სადაცაა სტუმრები მოვლენ... მაჩვენე ერთი, რას წერს დეიდაშენი (თვალი გადაავლო) გასაგებია!

**მზია** – რა არის გასაგები?

**ზეზვა** – თუ არ დაასაქმებთ, მე მაგის უკან მიმღები აღარ ვარო!

**მზია** – ტყუილია!

**ზეზვა** – ა, ბატონო, კითხვა ხომ მაინც იცი?!

**მზია** – (წაიკითხავს და ნაკუნებად აქცევს) უარი რომ არ მითხრათ, მასე იმ-იტომ წერს.

**ზეზვა** – აი, მოუშორებელი ჭირი! (შუბლში ხელს შემოირტყობს) ჯანდაბას, კარგი, მიგილებ, მხოლოდ ერთი პირობით – დღეიდან ყრუ-მუნჯი ხარ!

**მზია** – რაფერ?!

**ზეზვა** – (გამოავჯავრებს) რაფერ და იმფერ! სტუმრებმა ასე უნდა იცოდნენ, თორებ ხომ ვიცი, ხმა თუ ამოიღე, ყველას დამიფრთხობ.

**მზია** – მარტო მუნჯი ვიქნები, ყრუ მოსამსახურე ვის გაუგონია?!

**ზეზვა** – მაგაში მართალი ხარ!

**მზია** – მერე სტუმრებს დოვუძახებ, წადით, წადითო და, როგორც ქაჯანა ენას ამევილებ!

**ზეზვა** – ყოჩალ, პატარა განათლებაც გქონია! მაგრამ ამეილებ კი არა, ამოიდგამ! (საათს დახედა) ვაიმე, მოვლენ და თავი მოგვეჭრება... კერძები შეკვეთილია, სადაცაა მოიტანენ, მთავარია შენ იყოჩალო.

**მზია** – აბა რას ვიზამ... (ჩანთას და ჩემოდანს დივანზე მიყრის და იქვე მიფენილ ზეზვას პერანგს აიფარებს)

**ზეზვა** – წინსაფარი სამზარეულოშია, ეგ პერანგი თავის ადგილზე დადე, სასადილო მაგიდა დოროულად გააწყებ! ღმერთო, ამას ვის გადავეკიდე?! მანდ აბაზანაა, სად მიდიხარ?.. (კედელზე ჩამოკიდებულ ნატურმორტს ჩამოხსნის და მის ნაცვლად თავისი სურათებიდან ერთ-ერთს ჩამოჰკიდებს)

**მზია** – (შემოდის, ჭურჭლის ტილოთი და-ნა-ჩანგალს წმენდს) მგონი რაღაცას აბრახუნებდით, (ახედავს ნახატს) კარგია, მაგრამ აი ის უფრო მომწონდა!

**ზეზვა** – შენ არავინ გეკითხება!.. ეს



43

#### მატვარი სოფიო ჭელიძე

ნატურმორტი კი, არიადნას ჩამობრძანებამდე ამის მაღლა უნდა დაიკიდოს, აგრ იმ ლურს-მანზე. (სკამზე დგება, მაგრამ ვერ წვდება) მოდი აქ... გამომართვი ეს სურათი! (ფეხებზე ხელებს მოხვევს და მალლა ასწევს)

**მზია** – დედაია!

**ზეზვა** – აბა, ჩამოჰკიდე!..

**მზია** – რას შვრებით, თავი ჭერს ამარტყმევინოთ, გინდათ?

**ზეზვა** – როგორ დამძიმდი, მომაკვდავი გედივით, ჩქარა, თორებ ხელიდან გამეშვები! (შემოდის თიკა)

**თიკა** – რა ხდება?

**ზეზვა** – სურათს ვკიდებთ.

**თიკა** – ასეთი დაკიდება პირველად ვნახე! ეს ვინ არის, თაიგულივით რომ ჩაგიბლუჯავს?!

**ზეზვა** – არავინ!

**თიკა** – როგორ თუ არავინ?!

**ზეზვა** – მოსამსახურე.

**თიკა** – დასვი, როდემდე უნდა გეჭიროს... ნახე, ესეც როგორ გაიტრუნა!

**ზეზვა** – (ვითომ საეჭვიანოდ არ ლირსო) მუნჯია!

**თიკა** – მუნჯი არა სჯობია? თუ ეძალავები, ხმას ვერ ამოიღებს... მოდელის ტან-ფეხი კი





აქვს და... (ეჭვიანობს) გადი, გოგო, სამზარეულოში, რას შემოგვაჩერდი, დაგვალაპარაკე თუ შეიძლება! (მზია გადის) ბიუროში ვერ აუხსენი, რომ ასაკიანი, სერიოზული დიასახლისი გჭირდებოდა?

**ზეზვა** – როგორ გგონია, არ ავუხსნიდი, მაგრამ მაინც ეს გამომიგზავნეს!

**თიკა** – (მოეხვევა) რატომ არ მკოცნი? განა „ფისუნიას“ მადლობა არ უნდა უთხრა, ასეთი ბინა რომ გაშოვნინა?! ბინა კი არა, განძია, განძი, ნახე როგორ (ცხოვრობს არიადნა პოლოსის ასული?)

**ზეზვა** – მერე, თუ იცი, ეს განძი, რამდენ დამიჯდა!

**თიკა** – ნუ წუნუნებ, კარგი ყველაფერი ძვირი ღირს!.. ცოტაც და წუნკი, ქალების მუსუსის მდიდარ, ერთადერთ მეკვიდრეზე იქორნინებ: ბატონ ჯონის, უფრო სწორად იმის ჯიბეს ხომ იმდენი სიძეობის კანდიდატი ჰყავს, პენელოპესაც რომ არ დაესიზმრებოდა! შეირთავ ჯონის ტუტუც გოგოს და ინებივრებ ფულის ოკეანეში... მეტი რა გავაკეთო, საყვარელო?! (ისევ კოცნის)

(შემოდის მზია აქანდაზით და ცოცხით ხელში, ზეზვას მუჯურად ანიშნებს ყველაფერი რიგზეაო. ძირს დაყრილ ლარნაკის ნამსხვრევებს გვის)

**ზეზვა** – ხომ იცი, სიკეთე არ დაგეკარგება!

**თიკა** – სიკეთის რა მოგახსენო და მეშინია შენ არ დამეკარგო! (წახრილ, უკანალგამობზეკილ მზიას, ვითომ შემთხვევით, მუხლს წაარტყამს, მზია გაპრაზებული შემობრუნდება, მაგრამ გაახსენდება რომ მუჯია და ჩუმდება, ცოცხით მტვერს ააბორიალებს)

**ზეზვა** – ჩემო გვრიტო, აბა რას ამბობ? (მზიაზე ანიშნებს, ვითომ რას გავსო) ეგ რამ გაფიქრებინა?

**თიკა** – ვნახოთ, ვნახოთ, საშიშროება ხშირად იქიდან მოდის, საიდანაც არ ელოდები.

**ზეზვა** – შენ ყველაფერზე ეჭვიანობ და მაშ მე რაღა ვქნა, როცა ვიცი რომ შეთავსებით ჩემი სასიმამროს საყვარელიცა ხარ!..

**თიკა** – (შეჭკილებს) არც გაიმეორო!.. მე მხოლოდ შენ გეყუთვნი... ადრე იყო, რაღაც მსუბუქი ფლიტები, მაგრამ რაც შენ გამოჩნდო... ცხვირს ნუ ჩამოუშვებ, სჯობია იმაზე ვიფიქროთ ჯონი კარლოვიჩის ერთადერთი ქალიშვილის ქონებას რომ დაითრევ, მერე როგორ ვიცხოვროთ, ხომ იცი, როგორი ბატარა ხელფასი მაქვს, შენი ნახატებით შემოსული თანხის იმედად კიდევ ჩემი მტერი იყოს.

**ზეზვა** – რა ვქნათ, გენიოსები სიკვდილის

მერე მდიდრდებიან.

**თიკა** – გენიოსები კი...

**ზეზვა** – ისე, ამორალური არ გგონია, შენი საყვარლის ქალიშვილზე რომ მაქორნინებ?!

**თიკა** – გინდა საბოლოოდ მაწყენინო? (კოცნის და პირში მიჩერებულ მზიას დაუტევს) გაიტანე, გოგო, აქანდაზი და მიხედე საქმეს!

(კარზე ზარი, მზია გაალებს, შეკვეთილი კერძების მომტანს ქვითარს გამოართმევს და ზეზვას მიურბენინებს, ზეზვა დახედავს და საფულეს ამოილებს)

სადაც არის შენი სტუმრები მოვლენ და აქ თუ მნახავენ, ყველაფერს დავლუპავთ, სარფიანი ღლავი ხელიდან გაგვეშვება, ჯონი კარლოვიჩზე რომ ეფექტი მოვახდინოთ, სადილის დროს, პერიოდულად დავრეკავ! ისე მელაპარაკე ხოლმე, ვითომ დამკვეთი ვარ!

**ზეზვა** – არ ვიცი როგორ ელაპარაკებიან დამკვეთებს.

**თიკა** – ალლოიანი ბიჭი ხარ, არ დაიბნევი, თან გადაკვრით გამაგებინე აქ რა ხდება?!

**ზეზვა** – კარგი, შევეცდები.

**თიკა** – (კოცნის) ჩემო კატუნია! (ზემოდის მზია) ვგიუდები ამასთან მარტო რომ გტოვებ, მაგრამ რა გაეწყობა, მალე დაგირეკავ! (გადის)

**ზეზვა** – მზია! (მზია ხმას არ იღებს) რა დაგემართა, გოგო?! (მზია თავს გააქნევს და პირზე თითოთ ანიშნებს) ჰო, სულ დამავიწყდა... შენი სიმუნჯე არ გამოგვადგება... თუ ტელეფონზე დარეკავენ, წინ და უკან მე ხომ არ ვირბენ, შენ უნდა უპასუხო... ისე, იცი ტელეფონზე ლაპარაკი?!..

**მზია** – მაგას რა ცოდნა უნდა?! (ყურთან მარჯვენა ხელი მიაქვს) ალოუ... რომელი ხარ, შემოგველე?.. რაო, რაო, დოვუძახო?.. ახლავე, შენ სულს დავენინმატე!.. რაფერ იქნება, დილიდან ფუნჯი ხელიდან არ გოუშვია...

**ზეზვა** – კაი, კაი, კაი, თორემ იცოდე, ისევ დაგამუნჯებ!.. (შეშინებული მზია ჩუმდება) როგორ ვერ გაიგე, იმ დონის სტუმრები გვეყოლება... (ყურმილს გამოართმევს) დიახ! რა ბრძანეთ?.. კეთილი და პატიოსანი... დაივიწყე დროებით შენი მემწვანილე მეზობლები... აქ სხვა დონეა-მეთქი! აბა, დავიწყოთ, ვთქვათ ტელეფონი რეკავს, მითხარი როგორ ვიქცევით?

**მზია** – (განცვიფრებული ხმით) ყურმილს ავიღებ.

**ზეზვა** – აიღე!.. ახლა წარმოიდგინე, რომ ნამდვილად რეკავს და გეკითხებიან: „ბატონი ზეზვა შინ ბრძანდება?“ რას უპასუხებ?

**მზია** – ვუპასუხებ – დიახ!

**ზეზვა** – ცდები!

**მზია** – მაშინ ვეტყვი, არა-მეთქი!





**ზეზვა** – არც ეგ პასუხი ივარგებს!

**მზია** – „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“.

**ზეზვა** – გახსოვდეს, ზოგიერთისთვის სახლში ვარ, ზოგიერთისთვის – არა!

**მზია** – როგორ უნდა მივხვდე, ვის რა ვუპასუხო?!

**ზეზვა** – ჯერ გავარკვიოთ, ვინ კითხულობს, თუ პასუხი კარგად ვერ გაიგე, სთხოვე სახელი გამეოროს... შემდეგ უუბნები, „მოითმინეთ, ვნახავ შინ ბრძანდება თუ არა“... აბა თავიდან დავიწყოთ! (ვითომ ტელეფონი რეკავს) ძინ, ძინ, ძინ...

**მზია** – (ყურმილს აიღებს) ალო!

**ზეზვა** – (ცხვირზე თითს მიიჭერს და შეცვლილი ხმით) ბატონ ზეზვას სთხოვეთ!..

**მზია** – უკაცრავად, ვინ კითხულობს?

**ზეზვა** – ყოჩალა... ბიზნესმენი ჯონი!

**მზია** – ბატონი ვინ?

**ზეზვა** – ბიზნესმენი ჯონი! შენ რა, ეს სახელი პირველად გესმის?!

**მზია** – არა, მეორედ, პირველად ხომ ამ ერთი წამის წინ მითხარით.

**ზეზვა** – (იცინის) ნუ ცუდლუტობ!.. ახლა მოდი და მომახსენე!

**მზია** – სად მოვიდე?

**ზეზვა** – სადაც ვიქნები!

**მზია** – ტუალეტშიც?

**ზეზვა** – ტუალეტისა და აპაზანის გარდა, ყველან – სამზარეულოში, საძინებელში, სასადილოში... სამოთხეში და ჯოჯოხეთში... გაიგე? ეხლა მოდი და მომახსენე!

**მზია** – სად მოვიდე?

**ზეზვა** – ვთქვათ სასადილოში, ოლონდ ჯერ კარზე მოაკაკუნე!

**მზია** – კაკ-კუკ! ბატონი ჯონი რეკავს!

**ზეზვა** – აა, ბიზნესმენი, დიდუბელი ჯონი, წარსულში ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორი, მერე „კარბურატორშჩიკი“ და ახლა მანქანის ნაწილების ბაზრობის სოლიდური მეწილე? და განა მარტო ნაწილების – პრეზერვატივებიც ამ სირს შემოაქვს და ყველგან მეტასტაზივით არის მოდებული... (მზიას ყურადღებით ათვალიერებს) მოითმინე, ერთი წუთით, შიგნიდან როგორც არ უნდა დაიხვეწო, თუ ვიზუალურად არ მოახდინე ეფექტი... (უჯრიდან მაკრატელს ამოიღებს)

**მზია** – (შეშინებული) ვაიმე, დედა! (პირზე ხელს მიიფარებს) ენის დამოკლებას ხომ არ მიპირებთ?

**ზეზვა** – ენის არა, მაგრამ... (ჯერ ერთ წანავს მოაჭრის, შემდეგ – მეორეს, მზია თავზე იტაცებს ხელს)

**მზია** – ეს რა მიყავით, ჩემი ნაწნავები... დეიდაჩემი რას მეტყვის!

**ზეზვა** – დეიდათქვენის ხსენება აღარ გაბედო, იმ სარეკომენდაციო წერილის ავტორი, ახლობლადაც აღარ უნდა მოიხსენიო... (უჯრიდან სავარცხელს ამოიღებს) აპა, დაივარცხნე... (მზია ივარცხნის) თუ არ დაილაპარაკე, ვაკელი ლამაზმანისგან ვერ გამოგარჩევენ... აბა, თან ისე გაიარე, ვითომ წელში უნდა გადატყდე... რამდენიმე ინგლისური სიტყვაც და... (ეტყობა მოსწონეს)

**მზია** – ვაიმე, ბატონი ზეზვა!

**ზეზვა** – რა მოხდა?

**მზია** – ლაქა, ლაქა გაქვთ შარვალზე!

**ზეზვა** – აი, ესლა მაკლდა?! საგარეო ვითომ მეორეც მქონდეს, რა ვქნა ახლა?!

**მზია** – ეხლავე გაიხადე და ამოვწმენდ... დროზე! სარეცხის ფხვნილს არ დატოვებდა ამ სახლის პატრონი?

**ზეზვა** – (გაიკვირვებს) ვინ? ტი ჩტო, ის დამწვარი არიადნა პოლოსოვნა?

**მზია** – მომეცით, მომეცით რაღაცას მოვახერხებ!

**ზეზვა** – დარწმუნებული ხარ, რომ შეძლებ?

**მზია** – მამიდას თეთრი სუფრიდან სულ მე არ ამომყავდა ლაქები?

**ზეზვა** – აბა, მაშ მიდი, იჩქარე. (კარზე რეკავნ. მზია გასალებად გარბის) ვაითუ მოვიდნენ, ვინ არის?

**მზია** – შამპანიური და ღვინო მოიტანეს...

**ზეზვა** – (ქვითარს დახედავს, საფულეს ჩახედავს) რა ვქნათ, ფული რომ მაკლდება?!

**მზია** – მე რომ დაგეხმაროთ?

**ზეზვა** – გიშველა ღმერთმა, საღამომდე მასესხე, ოთხმოცი ლარი.

**მზია** – (ხელჩანთა გახსნის) აი, ხუთი... ათი... ოცი... სულ ასოცდაათი ლარი მაქვს!..

**ზეზვა** – რა სწრაფად ანგარიშობ.

**მზია** – იყოს და, ფულის დაანგარიშებას რა უნდა!

**ზეზვა** – კარგი, კარგი, ღვინის მომტანი გაისტუმრე... მერე ამ შარვალს მიხედე და ბოთლები მაცივარში მოაყუჩე...

**მზია** – (ხელს აუღებს) არის, ლაქა ამოვილო და სასმელი მოვაყუჩი! (გადის)

**ზეზვა** – (ტელეფონი რეკავს) ალო, გისმენთ! ვინ ბრძანდებით... ვინ? ვინ?.. ოპ, ძვირფასო, შენ ხარ? რომ იცოდე, როგორი კატასტროფა დამემართა... ჯობდა თავი გამეტება... შარვალი საღებავით დამილაქვდა, უბესთან... რატომ უბესთან?.. ფუნჯი ან უბესთან მოგიხვდება... ან უკანალთან... ან... რა სისულელეა!.. სტუმ-





რეპი ჯერ არ ჩანან, ჩემი ვარაუდით, ალბათ, წუთი წუთზე... (ზარი კარზე) აი, რეკავენ, თუ შემწვარი ქათმების ფირმის წარმომადგენელი არ არის, მაშინ ნამდვილად... (შემოდის მზია)

**მზია** – ბატონო ზეზვა, სტუმრები მოვიდნენ. (სტუმრებს წინ მძიმე ნაბიჯებით მაღალი, მსუქანი, მძიმედ მქშინავი ჯონი მოუძღვის)

**ზეზვა** – აბა, დროებით (წასჩრუჩულებს და ყურმილს დადებს) მობრძანდით, მობრძანდით, ბატონო ჯონი, ქალბატონო ტატიანა (ხელზე კოცნის) მშვენიერო ლაურა... თქვენ შესახებ ბევრი მსმენია, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... (მზიას) სუფრას მიხედე!

**მზია** – ოჲ, ეხლა მუნჯი არ ვიყო!..

**ზეზვა** – აღარ ხარ-მეთქი, ხომ გითხარი...

**მზია** – ოო, სულ დამავიწყდა! (პირს ყურთან მიუტანს) ეს მათხოვია მშვენიერება?!?

**ზეზვა** – გადი-მეთქი სამზარეულოში, თორემ იქით გახვალ!.. (ანიშნებს სადარბაზოში გამავალ კარზე)

**მზია** – (თავისთვის) ჰო, კარგი, კარგი, თავში ქვა გიხლია, შე აფირისტო! ნამდვილო აფირის-ტო!

**ზეზვა** – ჰოდა, იმას ვამბობდი, თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში... მგონი არც ეს დღე უნდა იყოს შორს, როდესაც... (ყველანი გაოცებულები უყურებენ – თვითონაც დაიხედავს ტანზე, უშარვლოდ, მუხლებამდე ტრუსებში რომ დგას) მაპატიეთ, ალბათ, ჩემმა ჩაცმულობამ დაგაბნიათ! საქმე იმაშია, რომ შარვალი დამილაქავდა, ნახატზე მუშაობის დროს ნარინჯისფერი დამელვარა, ვიდრე მეორე, მამაკაცი მოსამსახურე შინ არ გახლავთ, დედის დაკრძალვაზეა წასული... გოგო სად არის შარვალი, ვეღარ მოანესრიგე?! რა უშავს, ვითომ პლიაუზე ვართ, სადღაც გაგრის სიახლოეს... თუმცა, გაგრაში ვიღა მიგვასუნინებს?! იქ გასაოცარი სილურჯის ცა იყო ხოლმე... ვხატავდი და ვხატავდი, ხელიდან მტაცებდნენ... (ქალბატონი ტატიანა ლორნეტს ამოილებს და ზეზვას ყურადღებით ათვალიერებს)

**მზია** – (შარვალს შემოიტანს) ინებეთ, ბატონო, მგონი გაიწმინდა... ასეთი დაბნეულია, ხან ცხიმი დაელვრება, ხან საღებავი, იმ დღეს მთელი მათლაფა სუპი გადაივლო...

**ზეზვა** – მზია!

**მზია** – რამე ცუდი ვთქვი, შემოგევლე?

**ზეზვა** – რა გითხარი?

**მზია** – სუფრა მზად გახლავთ. (ტელეფონის ხმა) ალო? ვინ კითხულობს?!.. ერთი წუთით, ვნახავ... (ზეზვა თავს დაუკრავს, დაველაპარაკებით) ახლავე, შარვლის ლილებს იკრავს და, ახ-

ლავე... რომელ ლილებს?! (იცინის) სად აკერია და რამდენი ლილი აქეს შარვალს, არ იცით? გადამრევს ეს ქალი, ვიღაცაა?! დიახ, დიახ! (ზეზვას) ელვა შესაკრავი ჰქონდა და ლილები საიდან გაჩნდაო!.. ამბობს ბატონი უორა ვარო, თუმცა, ხმა ისეთი აქვს...

**ზეზვა** – (ისევ მიანიშნებს გასასვლელ კარზე და მზია ტუჩებზე ხელს მიიფარებს. ზეზვა ყურმილს ჩამოართმევს) გისმენთ, კიდევ არსებობს სამხატვრო ფონდი? რა ვიცი, ყველაფერი გააუქმეს და... კი, კი, მოგვიანებით აჯობებს, ახლა დაკავებული ვარ... კეთილი... კეთილი... (ტელეფონს გათიშვავს) თქვენ ისევ ფეხზე დგახართ, დაბრძანდით-მეთქ!.. ქალბატონო აგერ, სავარძელზე... (ტატიანას სავარძელთან მიაცილებს) რომ იცოდეთ, ამ სავარძელს რამდენი წლის ისტორია აქვს... (ტატიანა დაჯდება და სავარძელი დაიშლება) ღმერთო ჩემო, რა ხდება! საბჭოთა კავშირის დაშლა ისე არ გამკვირვებია, როგორც ამ სავარძლის. (წამოდგომაში მიეხმარება) აგერ ეს სკამი უფრო მაგარია! ამჯერად მაინც წუ შეგეშინდებათ!

**ტატიანა** – სკამის არა, მაგრამ თქვენი...

**ზეზვა** – წურც ჩემი, დამიჯერეთ, ჩემზე საიმედო თქვენ არავინ არ გეყოლებათ.

**ტატიანა** – (ისევ ალმაცერად ათვალიერებს) ვნახოთ... ვნახოთ...

**ზეზვა** – რას იტყვით, სასადილო ოთახში ხომ არ გავსულიყავით?!

**ჯონი** – სიამოვნებით... (მუცელზე ხელს მოისვამს) რაღა დაგიმალოთ და გემრიელ სადილზე უარს არ ვიტყოდი.

**ზეზვა** – მობრძანდით... (გაუძლვება, ერთ-ერთ კარს გამოალებს) ღმერთო ჩემო, ეს ხომ ტანსაცმლის კარადაა, სად არის სასადილო ოთახი?!.. ჰო. აქეთ შემობრძნდით, ამჯერად ნამდვილად არ შემეშლება!

**ტატიანა** – (დაეჭვებულია) საკუთარ ბინაში ოთახებს ვეღარ აგნებთ?!

**ზეზვა** – ხომ გესმით, ჩემი მდგომარეობა, ქალბატონო, ბედნიერებამ თავბრუ დამახვია.

**მზია** – ბატონო ზეზვა, ისევ ის ქალია, წელან რომ დარეკა, ლონდნდ გამაფრთხილა, არ უთხრა, რომ მე ვარო.

**ზეზვა** – (თვალებს გადაუტრიალებს) ქალი არ იქნება... ალო... აა, ბატონო თენგიზ, როგორ ბრძანდებით! (სტუმრებს ანიშნებს, აკი გითხარით ქალი კი არა კაცია, მზიას კი სამზარეულოსკენ მიუთითებს) რაო, რა გითხრათ? რა ვქნა, გადამრევს მოსამსახურე გოგო! უნდა მაპატიოთ, ძვირფასო თენგიზ, თქვენი შეკვეთილი სურა-თისათვის ჯერჯერობით ვერ მოვიცალე... ხომ გესმით, მთავრობის ციხის პანზე ვმუშაობ...





კი, კი, ისეთი დაწესებულებაა, მთავარია გარედან კარგად გამოიყურებოდეს... დავაგვიანებ? არა, არც ისე, ჯერჯერობით გონებაში მოთელვა მიმდინარეობს, პორტრეტის ფონზე ვფიქრობ... ჯერ არ გამოკვეთილა, მაგრამ იმედია... კი, საყვარელო... ბოდიში, ბატონო თენგიზ! (**ყურმილს დადებს**) დამკვეთია, მის სასახლეში რამდენიმე კედელი უკვე მოვხატე, ახლა ცოლის პორტრეტი უნდა, ნატურალურ ზომებში... აბა, სადილი გველოდება, მობრძანდით! (ისმის დანა-ჩანგლის ჩესკა-ჩესკი, ჭიქების მიჭახუნების ხმა, ცოტა ხანში ზარი რეკავს)

**მზია** – (შემორბის) მეძახდით?

**ზეზვა** – ქათამი მოგვართვი.

**მზია** – რომელი ქათამი?

**ზეზვა** – რა, ქათამი არ მოუტანიათ?

**მზია** – მე არანაირი ქათამი არ მინახავს!

**ზეზვა** – (დაეჭვებული) აბა, კბილები და-კრიჭე!

**მზია** – აჲა!

**ზეზვა** – (დაათვალიერებს) ჩიჩია არა, მაგრამ ნამდვილი კინოვარსკვლავის კბილები გაქვს... საკვირველია... პირადად შევუკვეთე კოდას შემწვარი ქათამი და...

**მზია** – სამაგიროდ ტორტი გველოდება.

**ზეზვა** – სულ დამავიწყდა, შესანიშნავი ტორტია!

**მზია** – თანაც შოკოლადის კრემით.

**ტატიანა** – ხამანწერი და ტორტი?

**ზეზვა** – რა უშავს... მოიტანე, სწრაფად! ქალბატონო ტატიანა, სადილის გამართვა, მზარეულობა, მეორე მსახურის გარეშე ძნელია... აი. თქვენ ის ქათამი რომ გენახათ, რომელიც ჯერჯერობით ვერ მოგვიტანეს... გახსენებაზეც კი ნერწყვი მომდის. (მზიას ტორტი შემოაქვს, მაგრამ ერთი ნაჭერი აკლია) ეს რა არის?!

**მზია** – ტორტი.

**ზეზვა** – კი მაგრამ, ვინ გაჭრა?!

**მზია** – მე, ბატონო... მოწამლული არ იყოს-მეტქი, წინასწარ გავსინჯე.

**ზეზვა** – ოჲ, შენი... (თვალებს გადაუტრიალებს. **სტუმრებს გაულიმებს**) ხედავთ როგორ მემსახურება, როგორ მიფრთხილდება? დანარჩენებიც ასეთები მყვანან... რა ქნან, არ მომიფრთხილდებიან და ამათი აჯობებს... მიირთვით... მიირთვით... (ლაურა ტორტის ალებას დააპირებს, მაგრამ ბებია ხელს ჩაარტყამს)

**ტატიანა** – გმადლობთ! ჩვენს ოჯახში კრემიან ნამცხვარს, მითუმეტეს ნაყიდს, არ გეახლებით!

(ჯონიმ სუფრასთან ჩათვლიმა)

**ზეზვა** – (მზია განზე გაიყვანა) რატომ დაასახირე ტორტი?! ახლა ველარაფერი გიხ-

სნის, აიკრიფე გუდა-ნაბადი...

**მზია** – ეგრე ვიზამ, ოლონდ ჯერ ჩემი ნაწილები დამიბრუნეთ.

**ზეზვა** – წაიღე, კარადაშია...

**მზია** – ფულიც...

**ზეზვა** – რა ფული!

**მზია** – (ხმას აუწია) ჩემი ფული!

**ზეზვა** – (სტუმრებს მიხედავს, ხომ არ გაიგონესო) ჰო, ჰო, კარგი, ამ ერთსაც გაპატიებ... (ხმამაღლა) ნიძლავს დავდებ, ყავის მოდულება დაგავიწყდა!

**მზია** – წააგეთ, ბატონო, ყავა უკვე მზად გახლავთ!..

**ზეზვა** – ძალიან კარგი, მოგვართვი!

**მზია** – (გახარებული შეკუნტრუშდება და ნაწილებს გათამამებული დაიქნევს) ახლავე, ბატონო!..

**ზეზვა** – (თვალს გააყოლებს) როგორ მინდა ჩემი გემოვნების ცხოვრების თანამგზავრი ვიპოვო, თუ გამიმართლდა, მეუღლეს ხელისგულზე ვატარებ, ცივ ნიავს არ მივაკარებ, ზაფხულში ხან სვანეთში მეყოლება, ხან ზღვაში ვაჭყუმპალავებ... მერე შვილები შეგვეძინება, პირველ შვილს რა თქმა უნდა, სიმამრის სახელს დაგარემევა...

**ჯონი** – (გამოიღვიძა) იქნებ პირველი გოგო იყოს?

**ზეზვა** – (ტატიანას გადახედავს) მაშინ დიდი ბებოს...

**ტატიანა** – რადგან თქვენ თვითონ წამოიწყეთ... მგონი დროა იმ საკითხზე ვისაუბროთ, რისთვისაც მოვედით?..

**ზეზვა** – უკაცრავად, რას გულისხმობთ?!

**ტატიანა** – რას და... (ერურჩულება)

**ზეზვა** – აა, რასაკირველია, თქვენს შვილიშვილზე ბრძანებთ!

**ჯონი** – შესანიშნავი ბინა გაქვთ, ამდენი ძვირფასი ნივთი...

**ზეზვა** – უკვე მოასწარით დათვალიერება?

**ჯონი** – საქმიანი კაცისთვის თვალის ერთი შევლებაც კმარა.

(სასტუმრო ოთახში გადიან)

**ტატიანა** – ჯონი, მადროვე ლაპარაკი.

**ჯონი** – მოასწრებ, ჩემო სიდედრო, მოასწრებ... ეს სულ თქვენი ნახატებია?

**ზეზვა** – დიახ, ჩემი ნამუშევრების მხოლოდ მცირე ნაწილი... რაც, ჯერჯერობით, გაყიდვას გადაურჩა... საღებავის შეშრობას არ აცდიან... ხომ ნახეთ, უკვე რამდენმა დარეკა...

**ტატიანა** – ჯონი, დაგავიწყდა, რატომ მოვე-დით?!

**ჯონი** – ოჲ, თომაევნა, თომაევნა, ნეტავ





ცხრა თვე მუცელში როგორ გასძელი...

**ტატიანა** – მერე, ვინ გითხრა რომ გავძელი, შვიდთვიანი ვარ...

**ზეზვა** – ვაა, შვიდთვიანი, ქალბატონო?!

**ჯონი** – ჰოდა, იმას ვამბობდი... (**დახე-დავს სურათს მოლპერტზე**) ძალიან მომწონს ეს სურათი...

**ზეზვა** – მართლა... ეს ჩემი სტილია, ჩემი ფერწერის თავისებურებაა. შეგიძლიათ ნები-სმიერი გვერდიდან დაჭკიდოთ... აი, მაგალითად, ასე ნიაგარას ჩანჩქერია... (**შემოაპრუნებს**) ასე – ეიფელის კოშკი, ასე კი ჩვენი სატელევიზიო ანძა და ბოლოს...

**ტატიანა** – შვილო, ჯონი!

**ჯონი** – (**ყურადღებას არ მიაქცევს**) განსაცვიფრებელია, ასეთი რამ ჩემს კომერ-ციულ საქმიანობაშიც რომ ხდებოდეს... „პეში“ „მერსედესად“ რომ მოვაჩვენო... ბევრ სურათს ყიდით?

**ზეზვა** – ფასი რომ არ დავარდეს, ერთ-ბაშად ბევრი ნახატი არ გამაქვს, შეკვეთების გარდა, ასე სამი-ოთხი ნახატი თვეში... დიდი ფუფუნებით არა, მაგრამ საკმაოდ ხელგაშ-

ლილად ვცხოვრობ.

**ჯონი** – ნახატებს როგორ ყიდით?

**ზეზვა** – გააჩნია.. საშუალოდ ოთხი ათასად...

**ჯონი** – და ეს...

**ტატიანა** – (**გულმოსული**) ჯონი, ბოლოს და ბოლოს დამაცდი თუ არა ლაპარაკს?!

**ჯონი** – კი, თომაეცნა, ილაპარაკე... (**ზეზვას გადაულაპარაკებს**) ქალი კი არა, ნამდ-ვილი კაჭკაჭია...

**ტატიანა** – მაშ, ასე, ბატონი ზეზვა...

**ლაურა** – ტატო, მშია...

**ტატიანა** – ახლა არ ისადილე?

**ზეზვა** – ტორტს ხომ არ მიირთმევთ?

**ტატიანა** – ხომ გითხარით, კრემიან ნამცხ-ვარს არ გეახლებით-მეთქი.

**ზეზვა** – საწყენია, თავიდან რომ მცოდ-ნოდა, ტორტს არ შევუკვეთავდი... მგონი სა-სადილო ოთახში შოკოლადის ფილა უნდა გვქონდეს, ხომ არ მოგიტანოთ?

**ტატიანა** – შოკოლადს მეც გეახლებით!

**ზეზვა** – შესანიშნავია, გამიგონია „ბარამ-ბოს“ შოკოლადი ყველაზე მწარე ენასაც კი ატკ-ბობსო!

## მეორე მოქმედება

ისმის შტრაუსის ვალსი. ზეზვა მოლპერტთან დგას და თითქოს ყოყმანობს, ხატვა დაიწყოს თუ არა. შემოდის ტაფის წმენდით წინსაფარაკრული მზია.

**მზია** – ძლივს არ მოვრჩი!.. ჭურჭლის მრეცხავად ან სხვა მოსამსახურე უნდა აიყვანოთ, ანდა ერთჯერადები შევიძინოთ, ჭამა-სმის შემდეგ მთელ სუფრას ხელს რომ მოვხვევთ და სანაგეში ჩავუძახებთ, თორემ, არ გერალებით? ნახეთ, რას დაემგვანენ ჩემი ლამაზი თითები. (**ვითომ წაუტირებს**)

**ზეზვა** – მაჩვენე? მართლა ლამაზი ხელები გქონია. აქამდე რატომ ვერ შევამჩნიერ... (**ტაფას გამოართმევს და მაგიდაზე დადებს**) აბა, მარჯვენა ჰაერში ისე დაიჭირე, თითქოს ყურძნის მტევანი ეკიდოს, მერე ნელა დაუშვი ჩემ მარცხენა მხარზე... აი ასე! (**ხელს წელთან შეუცურებს**)

**მზია** – ეე, რას შვრებით, დედიკონა!.. ჩვენს კონტრაქტში, მგონი, ეგეთები არ ეწერა!

**ზეზვა** – ეტყობა, ყურადღებით არ ნაიკითხე – მეექსე პარაგრაფი, მუხლი „ბ-ე“ – მოსამსახურე ვალდებულია უსიტყვოდ დაჰყვეს პატრონის ნება-სურვილს... წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში... (**მიიზიდავს და სახეს მიუახლოვებს**)

**მზია** – რას შვრებით-მეთქი! თქვენ მე ისეთი ხომ არ გგონივართ, ტელეფონზე რომ გეუღურ-ტულებათ... (**კარს შემოალებს თიკა**)

**თიკა** – ოჟო, აქ რა ხდება? ბოდიში, დაუკა-კუნებლად შემოვედი, მაგრამ სხვაგვარად ასეთ სასიამოვნო სიტუაციაში ხომ ვერ გიხილავდით!.. ხელს ნუ შეიშლით, გააგრძელეთ, გააგრძელეთ... უენოო, მუნჯიო, სოფლელი გულუბრყვილოო და სხვისი კაცების დაწერა კი კარგად გცოდნია! (**მზია ზეზვას მუჯლუგუნებით გამოაცილებს**)

**მზია** – როგორ გეკადრებათ, დეიდა თიკა!

**თიკა** – შეგეშალა, დეიდა კი არა ბებია ვარ, ბებია!.. უყურე ერთი ამ ენაგატლეკილ უსირცხ-ვილოს! ტელეფონზე შენ მელაპარაკებოდი, არა?

**მზია** – მეც ხმაზე გიცანით, დეიდა-ბებია, თქვენ კიდევ ის „დამკვეთი“ ბრძანდებით!.. (**ზეზვას გადახედავს**) ეეჲ, კაცი რომ ვიყო, თანაც თავმოყვარე, ამ ქალბატონის დაგებულ მახეში რავა გავებმეოდი.

**თიკა** – რას მაკადრებს ეს გომბიო! (**ხელჩა-ნთა მიაგდო და მკლავებს იკაპინებს. კარატეს ილეთები**) ამოიღე, ზეზვა, ხმა, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი!.. შენი კომპანიონის შეურაცხყოფა





შენი დამცირება არ არის?

**ზეზვა** – (ქალებს შუაში ჩაუდგება) აბა, „კომპანიონო“, ფული მოიტანე?

**თიკა** – რა ფული?

**ზეზვა** – ბანკში შესატანი, პროცენტის დასაფარი თანხა!.. პირველად გესმის?

**თიკა** – მდიდარ, სულელ გოგოს იმიტომ გირიგებ, რომ ბანკის პროცენტიცა და ვალიც უჩემოდ დაფარო!

**ზეზვა** – ამ ბინის დაქირავება ვინ მოიფიქრა, შენ თუ მე?

**თიკა** – ჩვენი ბედნიერებისათვის, ძვირფასო...

**ზეზვა** – რომელი ბედნიერებისათვის, ციხემდე რომ მიმიყვანს?

**თიკა** – რა მოხდა მერე, ყველაზე ღირსეული ხალხი დღეს ციხეშია!.. ტელეფონში ხომ შეპირდი „პენიტენციალურ მინისტრ ქალბატონს,“ ანუ მე, პანო უნდა მოგიხატოო! (იცინის) კაი კომფორტული ლუქს-კამერა... საჭმელ-სასმელს არ მოგაკლებ, ყოველდღე ვივლი! ხანდახან ამ ძვირფასსაც შემოგიგზავნი – რაც გინდა და საიდანაც გინდა უყავი! მაინც ყრუ-მუნჯია, გააპროტესტებს თუ რა!..

**მზია** – რა მაკადრა, დედიკონა! (გაიწია მა-გრამ ზეზვა აჩერებს)

**ზეზვა** – დამცირი კიდეც?

**თიკა** – მაშ რა ვქნა, ორჯერ მოვედი და ორჯერვე მოსამსახურე გოგოს ჩახუტებულს შემოგისწარი და, მე გული და ნერვები არ მაქვს? (ხელჩანთიდან ცხვირსახოცს ამოილებს და წაუ-ცრემლებს)

**ზეზვა** – ახლა ამეების დრო არ არის, ხომ იცი, თუ ხვალ შუადლემდე დაგალიანება არ დავფარე...

**თიკა** – რა ვქნა, ჩემო საბრალო, ღატაკო ბიჭო... თუ დაგაპატიმრეს, ის მაინც მეცოდინება, რომ ამ პროვინციელი კონკიასგან შორს იქნები... ჰო, მართლა, სურათი დაამთავრე?

**ზეზვა** – რომელი სურათი?

**თიკა** – შენმა სასიმარომ დამირეკა, შიშველი ქალის სურათი შევუკვეთეო.

**ზეზვა** – დაგირეკა თუ შეხვდით?

**თიკა** – დამირეკა.

**ზეზვა** – დაიფიცე!

**თიკა** – ჩვენს უმანკო სიყვარულს გეფიცები!

**მზია** – (ჩაიცინებს) „უმანკო!“

**თიკა** – არ შეიძლება, ამის თანდასწრებით, თავი რომ შევიკავოთ?.. ბატონი ჯონი ძალან კმაყოფილი იყო, სამი ათასად დავითანხმეო... თვითონ, მგონი, ოთხად ყიდის – კლიენტი უკვე ნახა.

**ზეზვა** – გამაგიუებს ეს ხალხი!

**თიკა** – აბა, ეგრეა ბიზნესი, ყიდულობენ და ყიდიან!

**ზეზვა** – არარსებული როგორ უნდა გაყიდოს... აპა, წაიღოს ეს ცარიელი ტილო.

**თიკა** – ცარიელი რად უნდა!

**ზეზვა** – აბა, წატურის გარეშე, შიშველი ქალი როგორ დავხატო?

**თიკა** – ყოჩაღი ბიჭი ხარ, წარმოსახვა მოიშველიე... (ჩასჩურჩულებს) მე წარმომიდგინე... აბა, წავედი... ხომ გითხარი, თუ დაგიჭირეს, არ მიგატოვებ-მეთქი... (გადის)

**ზეზვა** – (ფერებს ამზადებს) ასეა, „სხვისი ჭირი, ღობეს – ჩხირი“...

**მზია** – ეს რა თქვა, ღატაკი ბიჭიო! იხუმრა თუ ვალის გარდა მართლა არაფერი გაქვთ?

**ზეზვა** – ხომ გაიგე, არაფერი!..

**მზია** – სუულ არაფერი?

**ზეზვა** – ჰო, სუულ... კიდევ, ციხის საგზურის აღების დიდი შანსი გამეჩითა!

**მზია** – დედიკონა! ღმერთო კი მომკალი, რაფერ, თქვენი ციხეში გამშვები ვარ მეე?

**ზეზვა** – შენ ვინ გაკითხებს, ჩემო კარგო... ჩემნაირებს იჭერენ? აი, ეს ჩვენი ჯონი, ხოა დიდი ფულის მშოვნელი...

**მზია** – არ ვიცი!

**ზეზვა** – მე ვიცი... ორჯერ ჰყავდათ აყვანილი...

**მზია** – მერე?

**ზეზვა** – დაბერტყეს და გამოუშვეს!

**მზია** – დაბერტყეს რა, ტომარაა?

**ზეზვა** – უარესი! ჰოდა, ახლა შენ ხელშია ჩემი სული.

**მზია** – რაფერ?

**ზეზვა** – რაფერ და იმფერ... შენ უნდა იყო ჩემი წატურა!

**მზია** – ეგ რას ნიშნავს?

**ზეზვა** – აგერ აქ დადგები და დაგხატავ, ბანკი რომ მოვინყვიტო!

**მზია** – სულ ეგ არის?

**ზეზვა** – ჰო, დაახლოებით...

**მზია** – (პოზაში გაჩერდება) კი ბატონო, მიდით, დამხატეთ.

**ზეზვა** – მაგრამ ამისთვის მომზადებაა საჭირო... „წატურშჩიცობა“ სერიოზული, საპასუხისმგებლო პროფესია... ერთგვარი მსხვერპლის გაღებაც არის, ხელოვნების წინაშე... მხატვრის შთაგონება ბევრად არის დამოკიდებული დასახატ ინდივიდზე... (სალებავებს ერთმანეთს შეურევს და ტილოზე ფონს ამზადებს)

**მზია** – (გულგაწყალებული) ბატონო ზეზვა, არ შეიძლება უფრო მარტივად, გასაგები ენით ამიხსნათ, რა უნდა გავაკეთო?

**ზეზვა** – პირველ რიგში წინსაფარი მოიხ-





სენი.

**მზია** – (იცინის) დედაა, ამას ამსიგრძე ოპერა რად უნდოდა! აჲა...

**ზეზვა** – ახლა... ხომ გითხარი, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს-მეთქი.

**მზია** – კი მითხარი, მერე, რა ვქნა, ციკანი დოვუკლა?

**ზეზვა** – ციკანი არა... უნდა გაიხადო!

**მზია** – (ეგონა მოესმა, ლიმილი შეაცივდა) რა უნდა ვქნა?

**ზეზვა** – მართალი რომ გითხრა, ეს ჩემი ახირება სულაც არ არის, ჯონის შეკვეთა ასეთი!.. (საქალალდედან სურათს ამოიღეს) ა, ამნაირი ნახატები ხომ გინახავს?

**მზია** – შიშველი ქალი...

**ზეზვა** – შიშველია, მაგრამ ხომ ლამაზია?

**მზია** – ჰო, არა უშავს, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

**ზეზვა** – კარგად დააკვირდი, როგორი ხაზებია, როგორი პროპორციები, შუქ-ჩრდილები როგორ გადადიან, გეგონება ტაიფუნი მიჰქერის ყვითელ უდაბნოზე. მუცელი მკვრივი და ენერგიულია, თითქოს სისხლის ვნებიანი ჩუხჩუხიც კი გაესმის... ახლა მკერდი – დაკიდული კამკამა წევეთები... ეს ყველაფერი ცოცხალი ნატურიდან შექმნა მხატვარმა.

**მზია** – და თქვენ გინდათ, მეც ასე...

**ზეზვა** – მიმიხვდი!.. ძალიან დამავალებ, თუ...

**მზია** – (უნებურად ხელს მოუქნევს) უსინდის! როგორ მაკადრებთ!.. ვაიმე, ძალიან გატკინეთ?.. ბოდიში, ეს როგორ მომივიდა!

**ზეზვა** – არა უშავს, აღნიშნულ საკითხზე სილა სხვა დროსაც მიმიღია... მიჩვეული ვარ! (ხატვას აგრძელებს)

**მზია** – დავაშავე, მაგრამ რა ვქნა, თქვენს წინაშე მაინც ვერ გავშიშვლდები!

**ზეზვა** – ექიმთან ხომ იხდი? ესეც დაახლოებით იგივეა.

**მზია** – ისე ავად არ ვყოფილვარ, რომ თუნდაც ექიმთან ტანსაცმელი შემომებდლვნა!

**ზეზვა** – გეფიცებით, მხოლოდ მხატვრის თვალით შემოგხედავთ... ცოტა თავიდან ჭირს, თორემ მერე...

**მზია** – არც მთხოვოთ! (გულხელდაკრეფილი ზურგს შეაქცევს)

**ზეზვა** – (ხელს ჩაიქნევს) შენი ნებაა, რა უფლება მაქვს დაგაძალო, ისედაც ქალების მიმართ ძალადობაზე ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე ვართ მსოფლიოში, მაგრამ იცოდეთ, თქვენი უარით, ამ წუთიდან ხელბორკილი დამადეთ და სამუდამო ციხის გზას გამიყენეთ...

**მზია** – ოოჲ!

**ზეზვა** – იქიდან ჩემ გამოხსნას ხომ ათჯერ მეტი დასჭირდება, ვიდრე ბანკის ვალი მაქს.

**მზია** – რამდენია, მაინც!

**ზეზვა** – სწორედ იმდენი, რამდენიც შეკვეთილ ნახატში უნდა გადამიხადონ.

**მზია** – ვაი, ვაი, ვაი... (მუხლებს გამოითქვე-ფას)

**ზეზვა** – წამზომი ჩართულია... ხვალ შუადლემდე თუ არ მოვასწარი...

**მზია** – ძალიან სამწუხაროა...

**ზეზვა** – ხელებგადაგრეხილს რომ წამაბრძანებენ, ეგებ მერე ინანო კიდევაც, მაგრამ რაღა დროს... ჩავლილ მატარებელს ვინ დასწევია?

**მზია** – დედა, დედა, დედა! (მუხლისთავებს იჩქმეტს) არც ნაწნავები მინდა, არც ფულის დაბრუნებას გთხოვთ, არც ხელფასი, ოლონდამას ვერა...

**ზეზვა** – მაშ ვის ვთხოვო?

**მზია** – რა ვქნა, დედიკონა! ის კახპა თიკა მაინც არ გაგვეშვა, თხოვნაც არ დასჭირდებოდა! – მაპატიე, დედა ლვთისმშობელო!.. იცოდეთ, აქ რამე ხრიკი არ იყოს!

**ზეზვა** – გეფიცები... თუ გინდა თვალებს დავხუჭავ.

**მზია** – ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ თვალდახუჭული როგორ დამსატავ!.. რაც არის არის! (კაბა გაიხადა, დარჩა პერანგის ამარა)

**ზეზვა** – (სიცილი აუტყდება) რა არის, გოგო, ეს?

**მზია** – ვაიმე (ტანზე დაიხედება) რა მოხდა?

**ზეზვა** – დღეს პერანგს ვიღა იცვამს!.. ვაი, სირცხვილო! ჩქარა, ეგეც გაიხადე, ვინმემ არ შემოგვისწოროს, მითუმეტეს თიკამ არ დაგინახოს... რომელ საუკუნეში ცხოვრობ, დაგავიწყდა?

**მზია** – (შეშინებული კარისკენ იხედება და სასწრაფოდ იხდის) აჲა!

**ზეზვა** – (აღტაცებას ვერ მალავს) შენ რა გითხარი, ასეთ ტანს ქალი დამალავს? ერთი ეგუმნიშვნელო ატრიბუტიც და, დავიწყოთ.

**მზია** – (დაბნებული) რა დავიწყოთ?

**ზეზვა** – (გაკვირვებული) რა და, ხატვა! ტილოზე ფონი უკვე მზად არის!

**მზია** – (ზურგს მიუშვერს) თუ შეიძლება, გამიხსნით!

**ზეზვა** – (ბიუსტკალტერის შესაკრავს უხსნის) ამ სიკეთეს არ დაგივიწყებ!

**მზია** – ვნახოთ, ვნახოთ!.. დანარჩენსაც საძინებელში გავიხდი და, როცა დამიძახებ... (საძინებელში შედის)

**ზეზვა** – მე უკვე გელოდები!





**მზია** – მეც, მაგრამ სულ შიშველი როგორ გამოვიდე?

**ზეზვა** – (შალს აიღებს, კართან მიდის, ოდნავ შეალებს და ისე მიაწვდის) აჲა, ეს მოიხურე... ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

**მზიას ხმა** – პირობას მაძლევთ?

**ზეზვა** – ხომ უკვე შემოგვიცე! (მზია გამოდის შალმოსხმული. ზეზვა ტილოსთან სკამს მიუჩირებს) აქ დადექი, ჩემკენ იყურე, თან მარჯვენა ხელი თეძოზე შემოიდე... გაშლილი თითებით, თითქოს საკუთარ სხეულს უნდა მოეფერო... თავი იდნავ გვერდზე... ასე... ფეხებს ნუ შეატყუპებ, მარჯვენა მუხლი შალიდან გამოყავი, გამოაჩინე და ოდნავ მოხარე...

**მზია** – (იცინის) არ გეშინიათ, შალი რომ მოვიხსნა?

**ზეზვა** – ხომ გითხარი, მხოლოდ მხატვრის თვალით გიყურებ-მეთქი.

**მზია** – მხოლოდ...

**ზეზვა** – ჰო!

**მზია** – საწყენია!

**ზეზვა** – ჩუმად, ნატურა!... ადრე თუ გვიან, შალის მოხსნა მაინც მოგიწევს. დამკვეთს უნდა რომ მკერდი ჩანდეს.

**მზია** – უნდა გითხრათ, რომ პატარა მკერდი მაქვს.

**ზეზვა** – არა უშავს... აბა, დავიწყეთ!.. თვლაზე სამი, შალს ხელი გაუშვით... ყურადღება, ერთი!..

**მზია** – ძალიან სწრაფად ითვლით.

**ზეზვა** – ორი...

**მზია** – ვამე, დედიკონა!

**ზეზვა** – ორნახევარი! (რეკავს ტელეფონი) ამის დრო მაქვს?.. ალო!.. ვინ? მაპატიეთ, ცუდად ისმის... ახლავე დავუძახებ... (ყურმილს მიაწვდის) მგონი დეიდა ვარო...

**მზია** – ღვთისმშობელო, შენ დამიფარე! (სკამიდან გადმოხტება და დივანს უკან დაიმალება)

**ზეზვა** – დაელაპარაკე, ტელეფონში ხომ ვერ დაგინახავს.

**მზია** – (გამოდის სამალავიდან) ჰო, მართალი ხართ... გისმენ, დეიდა!.. კარგად... ტელეფონი ბიუროში გითხრეს?.. რას უნდა ვაკეთებდე... რას აკეთებენ მოსამსახურები, ვქარგავ, ვკემსავ, ტელევიზორს ვუყურებ... არ ვიცი, მაგრამ ქალბატონი მასწავლის... დიას, ქალბატონის მეულლემ აიღო ყურმილი. რა? რას აკეთებს? რა პროფესიისაა? (ზეზვას ხელით რაღაცას ანიშნებს) იო, როგორც შენ იტყოდი ხოლმე, ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა... წვერი აქვს... უფრო სწორად ბაჟე... ჰო, შემეშალა, ბლანჟე უნდა მეთქვა! (ზეზვა ცერს აუწევს, ყოჩალო) ბიზნეს-

მენია!.. ქუთაისურ მწვანილს?.. რა თქმა უნდა, მწვანილსაც... შინაურებზე კონა ხუთი შაური... ახლა ცოცხების სეზონია და... არა, ცუდად არ მიხდიან... პირველ ხელფასს ამ საღამოს ავიღებ... ვამე, მეახიან, ყავა გაგიცივდება! კარგი, კარგი... (ისევ სკამზე ადის)

**ზეზვა** – აბა, გავაგრძელოთ ჩვენი საქმე... (ჩართავს მუსიკას) როგორც შევთანხმდით, თვლაზე „სამი“ ერთი...

**მზია** – უკვე ორნახევარზე ვიყავით.

**ზეზვა** – თავიდან არ დავიწყოთ?

**მზია** – როგორც გნებავთ...

**ზეზვა** – ერთი... ორი... (კარზე ზარია. გამორთავს მუსიკას) ეს ვიღაა... ასეთ ფორმაში არ მინდა გნახონ.

(მზია საძინებელში გადის. ზეზვა კარს ალებს. შემოდის ჯონი სიდედრთან და შვილთან ერთად)

**ჯონი** – იმედია მუშაობაში ხელი არ შეგიშალეთ.

**ზეზვა** – არა, რაღაც დეტალებს ვაზუსტებდი და... (მიპყავს ტილოსთან)

**ტატიანა** – სულ ერთი წუთით შემოგიარეთ.

**ზეზვა** – რას ბრძნებთ! ნამდვილად დიდი სიურპრიზია თქვენი დაბრუნება! ძალიან გამახარეთ!..

**ტატიანა** – შინ, მე და ჩემი სიძე, სულ ვდარ-დობდით, რამე ხომ არ ვაწყენინეთო... იცით, ცოტა ფიცხი ხასიათი მაქვს.

**ჯონი** – ჰმ! ფიცხი ხასიათი!..

**ზეზვა** – დაბრძანდით!.. ახლა ვიღაა დამშვიდებული.

**ტატიანა** – ვერ დავჯდები. მინდა საბოლოოდ მოვილაპარაკოთ ჩემ ლაურიკოზე.

**ზეზვა** – ლაურიკოზე?

**ტატიანა** – ჰო, თქვენ მომავალ მეუღლეზე! (გაუკაირდება) პირველად გაიგეთ?

**ზეზვა** – დიას, დიას!.. როგორ არის?

**ტატიანა** – აგერ, თვითონაც გამოგვყვა.

**ზეზვა** – (ლაურიკოს ხელზე ეამბორება) მაპატიეთ, სიხარულმა სულ დამაბნია... (ტატიანას) ენით ვერ აღვწერ, მართლაც ძალიან მომხიბელელია.

**ტატიანა** – ჰოდა, ის თქვენია და გვინდა ვიციდეთ, რას ფიქრობთ, სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

**ზეზვა** – თუ ბანკმა კორექტივები არ შეიტანა, გეგმები მართლაც სერიოზული და თვალწარმტაცი მაქვს.

**ტატიანა** – ქორნინება ძალიან სერიოზული საქმეა, რომელსაც, დღესდღეობით, სამწუხაროდ, იოლად უყურებენ. აი, ჩემ დროს...

**ჯონი** – (ყურს არ უგდებს, მოუმთავრებე-





**ლი ნახატით ტკბება)** შესანიშნავია, მაგრამ, მგონი, აქ რაღაცები უნდა აკლდეს! (ხელი მოატარა მკერდის ადგილზე)

**ზეზვა** – მანდ რომ აკლია, ისინი „რაღაცები“ სულაც არ არის...

**ჯონი** – (აღტაცებით) თქვენც ძალიან გიყვართ?

**ზეზვა** – უნდა გამოგიტყვდეთ, რომ ძალიან...

**ჯონი** – მერე აქ რატომ არ არიან? რამე დააშავეს?

**ზეზვა** – შემომეჭამა.

**ჯონი** – როგორ, ორივე?

**ზეზვა** – (გალიზიანებული) ჰო, ჯერ ერთი, მერე მეორე... მესამე რომ ჰქონოდა არც იმაზე ვიტყოდი უარს...

**ტატიანა** – შვილის ბედი სულ არ გაღელვებს.

**ჯონი** – გვაცალე, თომაევნა. ეგ საქმე უკვე გადაწყვეტილია! (ზეზვას მხარზე დაპკრა ხელი)

**ტატიანა** – ჯერ გადახტი და ჰოპლა მერე თქვი.

(ლაურა ოთახში ყველაფერს ათვალიერებს, სინჯავს. შეალებს საძინებლის კარს და განცვი-ფრებული ისევ გამოიჯახუნებს)

**ლაურა** – ვამიერ!

**ტატიანა** – რა მოხდა, ძვირფასო!

**ლაურა** – შიშველი ქალი!

**ტატიანა** – (თვითონაც შეიხედავს და პირ-ჯვრს გადაიწერს) მართლაც შიშველი ქალი! (ლორნეტს მოიმარჯვებს და იწყებს ყვირილს) ეს რა უბედურებაა, რა კოშმარია!.. საშინელება და თავის მოჭრა... ამ გარყვნილ კაცს ვის გადაგვეიდეს!.. (ჯონის) ასეთი შენ არ გვეყოფოდი?

**ჯონი** – რა მოგეჩვენათ, თომაევნა! (მიდის საძინებლისაკენ)

**ტატიანა** – გიკრძალავ, ამ ოთახში არ შეხვიდე!

**ჯონი** – ბოლოს და ბოლოს ასეთი რა ხდება?

**ტატიანა** – (სულს ძლივს ითქვამს) მოსამსახურე...

**ლაურა** – სრულიად შიშველი!

**ჯონი** – მერე, მაგას არ მაჩვენებთ (სიდედრს განზე გასწევს და გასალების ჭუჭრუტანიდან შეიჭყიტება) ბიჭოს!.. ნეტავი რამდენი წლისაა, ეს მშვენიერება?

**ტატიანა** – ჯონი!

**ჯონი** – რა მოხდა, არ შეიძლება, გავიგო?

**ტატიანა** – ასაკი რაში გაინტერესებს?.. არა, სასწრაფოდ უნდა დავტოვოთ აქაურობა! მორჩა, ამ გარყვნილ მხატვართან საერთო აღარაფერი გვაქვს!

**ჯონი** – თქვენ წადით, რომ ამას დავე-

ლაპარაკო, როგორც საჭიროა! (სახელოებს აიკე-ცას)

**ტატიანა** – რაზე? რაღაა სალაპარაკო!

**ჯონი** – ჩემი თავი ჯანდაბას, გვონიათ ვაპატიებ, ამ ბატონს, პირადად თქვენს აბუჩად აგდებას? ა, თომაევნა!

**ტატიანა** – შენც კარგად გიცნობ – დარჩი, ორი უზნეო კარგად მორიგდებით!.. წამოდი, შვილო! (ლაურას ხელკავი გამოსდო) ვიცი, ვისაც გაგაყოლებ – ჯანგულ კუკულაძესთან ბედნიერი ქალი იქნები.

**ლაურა** – არ მინდა კუკულაძე, მელოტია! მე ეს უფრო მომწონს!

**ჯონი** – ახლა წადი, ჩემო ჩიორა და მოგიკვდეს მამა, თუ საქმე ისე არ მოვაკვარაზჭინო, როგორც შენ გინდა! (მკერდი ჩაიმჯილა და თვალით ზეზვაზე ანიშნა)

**ლაურა** – (კისერზე ჩამოეკიდება) მამიკო, რა საყვარელი ხარ! მაგრამ მაინც რომ არ შემირთოს?

**ჯონი** – (საფულეს ამოილებს) შენ დარდი გაუშვი – ამ ქვეყანაში ეს ყველაფერს აგვარებს!

**ტატიანა** – გაუთლელი! განა არ მესმის, რატომაც მოგწონს ეს თახსირი კაცი! (ლაურა ძალით მიჰყავს)

**ჯონი** – ა, ხედავ? სიდედრია და რა ვუთხრა. ჩემი მეუღლე – კიდევ უარესი – მიტანა უნდათ მარტო!.. არაფერს ვაკლებ... მაინც უკმაყოფილოები არიან...

**ზეზვა** – მიგიხვდით! ამიტომ იძულებული ხართ ბედნიერება სხვაგან და სხვასთან ეძებოთ.

**ჯონი** – ოღონდ პატრონს ჩავაბარო, ამ გოგოს დარდი მომაცილებინე და მერე მე ვიცი.

**ზეზვა** – (ნაძალადევად) შეგიძლიათ მენდოთ!

**ჯონი** – ძალიან მომწონხარ! (მხარზე ხელს დაპკრავს. გულის ჯიბიდან სურათს ამოილებს და უჩვენებს) ა, ჩემი სულის ზიარება, როგორია, ძალიან მენაზებოდა, მაგრამ ხვლიკის-ფერი ტკაცუნა დოლარიანები რომ ჩავუტენე მკერდის ღარში... აკი ვთქვი, ყველაფერი იყიდება-მეთქი... ბიზნესი ყოვლისშემძლეა... ან ჩაიხრჩობი ან გადარჩები...

**ზეზვა** – ბაზრის თავში რომ ოხრახუშს იყიდი და ბოლოში გაყიდი, ეს რა ბიზნესია.

**ჯონი** – ეგაა, აბა, ან ორახუშით დაიწყებ ან ვაშლის ჩირით. ერთბაშად ხელს ვინ გაგაშლევინებს. დიდ ბიზნესს დიდი ყოვლისშემძლე უნდა მფარველობდეს, იქიდან, ჩვენ რომ ვიცი! (ცერს მაღლა აიშვერს) უმეტესობა, ასე ვთქვათ, ყოჩაღი ბიჭებისა, სიღარიბიდან მოვედით და ახლა გვინდა ჩვენც პატარა გავტვანხვალდეთ, გავიხაროთ... რომ არაფერი მიჭყაოდეს, ამ ან-





გელოზთან ვინ მიმასუნინებდა! (სურათს ხელს დაჲკრავს) გინდა სახელი გითხრა?

**ზეზვა** – მაგის სახელს მეც გეტყვი.

**ჯონი** – საიდან, როგორ, იცნობ? (დაეჭვებით)

**ზეზვა** – უნდა მეთქვა გამოვიცნობ-მეთქი.

**ჯონი** – ა, ჩემი ხელი! შენ თუ სახელს გამოიცნობ, რა გინდა, ნახატში გადასახდელ სამი ათასს, ერთი მაგდენს კიდევ დავამატებ, თუ არა და უფასოდ უნდა გამატანო... მოსულა?

**ზეზვა** – (ვითომ ყოყმანობს) რა ვქნა, ჯანდაბას, მოსულა! (ჩამოსართმევად განვდილ ხელს ჰაერში შეაჩერებს) მაგრამ რომ ვერ გამოვიცნო და ციხეში მიკრან თავი?

**ჯონი** – ციხეში? რა მოხდა მერე, გაყიდი ამ დიდებულ სახლს და გამოგიშვებენ... რა გინდა, მე შევიძენ, აპა, ჩემ შვილს, პატიმრის მეუღლეს, უბინაოდ ხომ არ დავტოვებ!.. ჰა, მოსულა?.. (სურათს ახლოს მიუტანს) იცი, რა გოგოა, თვალწარმტაცი, ტემპერამენტიანი, გაფიქრება-ზეც კი ურუანტელი მივლის, შეიძლება ჭკუიდან გადაგიყვანოს.

**ზეზვა** – (ამოიოხრებს) კი, კი, ნამდვილად ეგეთია!

**ჯონი** – საიდან, არ გადამრიო.

**ზეზვა** – (გამოერკვევა) ზოგადად, ქალები ხომ ვიცი.

**ჯონი** – ჰო, ზოგადად შეიძლება... არ დამიწყო ახლა, პირველი ასო მითხარი და გამოვიცნობო... პირველიც შენ თქვი, ბოლოც და, რა გინდა, გაიკრავ ექვსი ათასს, აქვე, ახლავე...

**ზეზვა** – (ოცნებობს) აუჳ, ექვსი ათასი, ამ ეტაპზე, მთელ ჩემ პრობლემებს მოხსნიდა, მაგრამ სამიც რომ დავკარგო?

**ჯონი** – ამ ბინის და ცხოვრების პატრონი-სათვის სამი რაა, გაბედე, ჰა! (ისევ ხელს გაუწვდის. ტელეფონი რეკავს)

**ზეზვა** – ალო!.. დიახ, გისმენთ!.. ოპერატორი?.. ა, „ქოქოს-ბანკიდან?..“ როგორ მომაგენით... თუმცა თქვენ და საგადასახადოს ვინ დაემალება... არ მინდა შეხსენება... ხვალ სამ საათამდე... ორამდე?.. კეთილი, რაც ორზე მექნება, ის – სამზე... (ყურმილი დადო) მთელი ფული ფასიან ქალალდებში მაქვს დაბანდებული და ბანკის პრობლემა იმიტომ შემექმნა.

**ჯონი** – მერე, ხომ გეძლევა შანსი... ერთი ათასსაც დაგიმატებთ თუ თქვენი ბინით ვისარგებლებ... (თვალს ჩაუკრავს)

**ზეზვა** – გეკადრებათ? ბინა თავს შემოგევლოთ!

**ჯონი** – მაშინ დღესვე, სამ საათზე პაემანი მაქვს ერთ უცხოელ ქალბატონთან! (უბიდან

სურათი ისევ ამოილო, დახედა და უკან ჩაიდო) ეს ისეთი ეჭვიანია, თუ გამიგო... ნამდვილი ძუ ვეფხვია! რადგან სახელი ვერ გამოიცანით, იქნება ამ დღეებში გაგაცნოთ კიდეც... უყვარს აპარტამენტები!

**ზეზვა** – ვიცი, ვიცი, გიუდება მაგარ ცხოვრებაზე.

**ჯონი** – საიდან იცი?

**ზეზვა** – ისე, ზოგადად, ქალების ბუნებას ხომ ვიცნობ...

**ჯონი** – ჰო, ზოგადად შეიძლება... რამე სხვანაირად არ იფიქრო, როცა გაგაცნობ, მაინც არაფერი გამოგივა, ასაკიანი კაცები უყვარს... სურათი როდის უნდა წავილო?

**ზეზვა** – თუ გნებავთ ახლავე...

**ჯონი** – ხლავე? (ათვალიერებს) მერე ესენი რომ არ აქვს? (მკერდზე ანიშნებს)

**ზეზვა** – ეგ ჩემი სტილია, ქალებს ძუძუებს არ ვუხატავ.

**ჯონი** – რატომ (უფრო მეტი ინტერესით დაკავირდება)

**ზეზვა** – რა ვიცი, კაცია და გუნება... გუდიაშვილი, მაგალითად, ყურებს არ უხატავდა.

**ჯონი** – ქალებს, ყურები, მაინცდამანც არ სჭირდებათ, მაგრამ ძუძუები?.. ის სურათი რომ წავილო? (კედელზე ჩამოკიდებულ ნატურმორტზე მიუთითებს)

**ზეზვა** – (გაბეზრებული) წაილე...

**ჯონი** – ეს როდისლა იქნება?

**ზეზვა** – თუ ძუძუები ვიშოვე, ხვალ შუადღემდე.

**ჯონი** – ოღონდ, დონდლო, მოშვებული არა, ა, ისეთი, აყალყული კვიცებივით...

**ზეზვა** – თიკო, თიკამ, თიკას...

**ჯონი** – (დაეჭვებული) რაო, თიკაო?

**ზეზვა** – ძუძუებმა გამახსენეს... ნატურტიცა გვყავდა ერთი, ავლაბარში, სახელონში... დღე ვხატავდით, ღამე ვაწვებოდით... ცოტა მაგას კი წააგავდა! (ჯიბეზე ანიშნა, სადაც სურათი შეინახა)

**ჯონი** – ხალი თუ აქვს.

**ზეზვა** – ხალები საფანტივით აყრია...

**ჯონი** – არა, ერთი, მთავარი...

**ზეზვა** – კი აქვს.

**ჯონი** – ჭიბთან?

**ზეზვა** – არა, მარცხენა ძუძუს ძირში.

**ჯონი** – აუჳ, გიშველა ღმერთმა! (შუბლიდან ოფლს მოიწმენდს) მეც არა ვთქვი... კიდევ კარგი ასცდა, თორემ ამასაც თიკა ჰქვია და გავგიშდებოდი... წავედი! (ამოიდებს ნახატს ილლიაში)

**ზეზვა** – წაგებული ნიძლავი არ დაგავიწყდეთ.

**ჯონი** – ნიძლავი? ჰო, გეკუთვნის, რას გერ-





ჩი! ისე ჯეკპოტს გაარტყი... საღოლ... აბა, სამ საათზე დამჭირდება, აქაურობა მოაწესრიგებინე მოსამსახურეს. (გადის)

**ზეზვა** – (სავარძელში ჩაეხეთქება) აუჲ, როგორ დამღალეს. ეს ვინ ყოფილა, ეს... ახლა ყველაფრის მკადრებელი დეგენერატები შოულობენ ფულს. მოხსნილი, უსამსახურო, ტექნიკური, ხელოვანი და სამეცნიერო ინტელიგენცია კი გულხელდაკრეფილები შევყურებთ ამათ მი-დი-მოდის...

**მზია** – ბატონო ზეზვა!

**ზეზვა** – (წამოვარდება სავარძლიდან) სიკვდილსაც დავიწყებიხარ, ისევ შიშველი ხარ?

**მზია** – დიახ... ძალიან შემცივდა, თქვენ სა-ნოლში ჩავწეტი და ცოტა წამთვლიმა კიდევაც... გავაგრძელოთ? (ავიდა სკამზე)

**ზეზვა** – ჰო, მაგრამ შემკვეთმა თუ ესენი არ დაგვიწუნა (ანიშნებს მკერდზე) სამაგიეროდ ტანი გაქვს უნაკლო... თიკასაც შეშურდება. (შალიდან გამოჩენილ შიშველ მუხლზე ხელს უს-ვამს)

**მზია** – რა იცით, ბატონო, თიკას ტანი?

**ზეზვა** – მთელმა საქართველომ იცის და მეც რომ ვიცოდე, რა გასაკვირია... სხვას რომ თავი დავანებოთ, ცნობილი მოდელია. (თითებს ფეხზე ააყოლებს)

**მზია** – გესმით, ახლა რას აკეთებთ?

**ზეზვა** – უჲ, როგორ მომივიდა... მუხლზე გეფერები!

**მზია** – მაშინ, ბოდიში და, დეიდამ მასწავლა, ასეთ დროს როგორც უნდა მოვიქცე! (სი-ლას გაარტყამს, სკამიდან ჩამოხტება და მეორე თოახში გადის)

**ზეზვა** – (გაოგნებული) ამ ველურს საიდან გადავეყარე!.. (მთელი ხმით უყვირის) საიდან გამომეცხადე, გოგო, შენ? სხვა თუ არაფერი, ტელევიზორი მაინც არ ჩაგირთავს – სექსის ბუმია და მუხლისთავზე ხელის მოს-მისთვის... (სადღაც ზემოდან ისმის გაურკვეველი ბეგერების ხმები, ყურებზე ხელს მოიმყუდროვებს) ჰა, საიდან, საიდან? (ძლიერდება კოსმიური ხმე-ბი, ჯოგების ფეხთა თქარათქური. საფეხქლებზე ხელებაფარებული ჩაიმუხლებს) საიდან-მეთქი!

**თიკა** – (ფეხაკრეფით შემოსული უკნიდან მიეპარა და თვალებზე ხელი ააფარა) აქედან, ფისუნი, აქედან... აბა, გამოიცანი, ვინ ვარ!

**ზეზვა** – უჲ, ძალიან ძნელი გამოსაცნობი ხარ! (საათს დახედა)

**თიკა** – იმდენი ვრეკე ზარი და რომ არ გა-მომეპასუხე, ლამის იმ შენს პროვინციალკაზე ვიტვიანე... მომენატრე და მოვედი... ბოლოს და ბოლოს, ეს დასაწვავი სურათი ხომ უნდა დაას-რულო! (იწყებს გახდას)

**ზეზვა** – მერე, შენი პაემანი?

**თიკა** – რომელი პაემანი?

**ზეზვა** – სამ საათზე რომ გაქვს, როგორც უცხოელ ქალბატონს დანიშნული... ხუთი-ლა დაგრჩა!

**თიკა** – რას ბოდავ!.. სამსახურიდან დავეთხ-ოვე, რომ ერთად ვყოფილყავით და... ვიდრე ჯონის ამისნაირ კეკელკაზე ჯვარს იფსკვნი, ასეთ კომფორტში ბაირამობა არ გვეკუთვნის? ჰა, ფისუნი, იქნებ ჯერ საწოლში და მერე... გად-ანცვიტე, თორემ, ხომ ვიცი, აქ ისეთი ბაზარია, კიდევ ვიღაც დაგვადგება!

**ზეზვა** – სამსახურიდან დაეთხოვე?

**თიკა** – ჰო, რა მოხდა, ჰირველად დავეთხ-ოვე?

**ზეზვა** – გააფრთხილე უფროსობა, საბოზ-რად მივდივარო?

**თიკა** – მგონი ჭკუიდან გადახვედი! (საფეხქელთან თითო დაიტრიიალა)

**ზეზვა** – რა ძალიან გაიკვირვე, დიდუბელ ჯონის აქ, ამ ჩემს ნაქირავებ ბინაში არ დაუთქვი შევედრა? (კარზე ზარია) აგერ ისიც!

**თიკა** – ვაიმე, ჯონიმ არ შეიძლება აქ რომ მნახოს!.. სად დავიმალო? ჩქარა, ჩემი კაბა... ზეზვა – რა დროს კაბაა, შედი საძინებელში!

**მზია** – ბატონო ზეზვა, ვიღაც ქალი ჯონის კითხულობს?

**ზეზვა** – ვიღაც ქალილა მაკლდა! (ხელები გაუშალა) რა ვენა, ეგ იქნება სამ საათიანი... შემოიპატიუებ.. ჯონის ორი წუთით დაასწრო... თიკამ რომ გაიგოს, „სასიმამროს“ ბინა ვათხ-ოვე... (მზიას თვალით ანიშნებს, ისიც თიკას ტანსაცმელს კარადაში შეყრის და სტუმარს შე-მოუძლვება)

**მზია** – აქეთ მობრძანდით!

**ზეზვა** – აა, სამზე ეს ჰყავდა დაბარებული? გამარჯობათ, ქალბატონო.

**უცხოელი მეძავი** – (ინგლისურად) გამარ-ჯობათ! ჯონი აქ ცხოვრობს?

**ზეზვა** – რა ბრძანეთ?

**მზია** – ჯონის კითხულობს, აქ ცხოვრობსო!

**ზეზვა** – (დაიბნა) შენ, ინგლისურად...

**მზია** – ჩვენთან, პროვინციაში, ყველა მეო-რე მემწვანილე ინგლისურად ბაზრობს.

**ზეზვა** – ვაა!

**მზია** – რა ქნან, უფულო ქართველების ნა-ცვლად, ბაზარში სულ უცხოელები დადიან და, კომუნიკაცია როგორ დაამყარო!

**ზეზვა** – კომუნიკაცია? არა, ნამდვილად გადამრევე...

**უცხოელი მეძავი** – ცოტა ქარტულად მეხ-ერხება...

**ზეზვა** – ჯონიმაც ცოტა ქართული იცის





და გაუგებთ...

**უცხოელი მეძავი** – (საათს დახედა, ინგლისურად) ქართველ კაცებს უყვართ დაგვიანება!

**ზეზვა** – (მზიას) ჩქარობს ჯონისთან შეხვედრას?

**მზია** – არა, იმ საქმეს, ჩვენ რომ ვიცით, რათ უნდა ენის ცოდნა!

**უცხოელი მეძავი** – (ინგლისურად) მშვენიერი ბინა ჰქონია.

**ზეზვა** – (მზიას) რაო?

**მზია** – ისე მომწონს აქაურობა, ერთი-ორი კვირა ფეხს არ მოვიცვლიო.

**ზეზვა** – ორი კვირა რა უნდა აკეთოს?

**უცხოელი მეძავი** – ტრენინგები სექსუალურ საკითხებზე. (იცინის)

**თიკა** – (საძინებლიდან ნახევრად ჩაცმული გამოდის) რაო, რა ტრენინგებიო? ეს რა ჩიტი მოფრენილა!.. (უცხოელ მეძავს) არ გეყო, რაც ააფიქვენი, აქაც მოეთრიე? მაშ შენ გაქვს ჯონისთან შეხვედრა? (მუჯლუგუნს უთავაზებს)

**უცხოელი მეძვი** – (ინგლისურად) ნამდვილ საგიურთში მოვხვდი.

**ზეზვა** – (მზიას) რა თქვა?

**მზია** – პოლიციას გამოვუძახებო.

**ზეზვა** – ახლა პოლიცია გვინდა?

**თიკა** – ნამდვილად არ გვინდა! (მაგიდიდან ტაფას აიღებს და უცხოელ მეძავს თავში უთავაზებს) აბა, ახლა სკოჩით პირი ავურათ... სანამ გონიერ მოვა, რამეს მოვიფიქრებთ... (უცხოელს კარადაში შეაგდებს, კარს გადაუყეტავს და გასაღებს უბეში ჩაიდებს) ესეც ასე...

**ზეზვა** – საერთაშორისო სკანდალი ატყდება.

**თიკა** – მაგნაირები ატეხილა?.. როგორ კადრულობს ამხელა კაცი, თავის კახპას რომ აგზავნის... დაგენვათ ბულბულებო ბუდე? (ზარი კარზე)

**ზეზვა** – ამჯერად ძველი მექალთანეა, მარცხენა გულისჯიბეში შენი სურათი რომ უდევს.

**თიკა** – სურათი არაფერს ნიშნავს... ჯონიმ არ უნდა მნახოს, ისევ საძინებელში დავიმალები.

**ზეზვა** – (გალიზიანებული თავზე ხელს წაივლებს) ეგრე ქენი!

**ჯონი** – (მზია შემოუძღვება) არ მიშვებთ, ხალხო?.. არა, ხომ ვარ მაგარი? თქვენს ნახატში ათასი ლარი გავაკეთე... ოთხიათასხუთასად გავყიდე!

**ზეზვა**, – შეუძლებელია!.. ეგ ხომ არიადნას შეძენილი უგემოვნო ნახატის უგემოვნო ასლია!

**ჯონი** – თუ ბიზნესმენს ჭკუა აქვს, შეუძლებელი არაფერია... ერთი ჩემი მეგობარი

სურათებით ვაჭრობს, აქედან პირდაპირ იმას მივაკითხე... ძან მოეწონა, უნდა თბილისის ხედების ნახატები შეგიკვეთოს და კონტრაქტს გაგიფორმებს... ჯერჯერობით ოთხი ნამუშევრის შეძენა უნდა... ოღონდ ჩემი შუამავლობით.

**ზეზვა** – შუამავალი რად გვინდა?

**ჯონი** – თქვენ არ გინდათ, მაგრამ შუამავალს უნდა! (თითებს ერთმანეთს გაუსვამს) ჰო, მართლა, სად არის?

**ზეზვა** – ვის ეძებთ?

**ჯონი** – აქ ერთი უცხო ჩიტი უნდა მოფრენილიყო!

**ზეზვა** – კი, მოფრინდა და ისევ უკან გაფრინდა – მოულოდნელი, უფრო სარფიანი შემოთავაზება მივიღე და დღეს „ტრენინგი“ ვერ შედგება!

**ჯონი** – გავასარფიანებ მაგას, „მომსახურების“ გადასახადს წინასწარ თხოულობს და... როგორ, დიდუბელი ჯონი გადააგდო? (თავზე ხელს შემოირტყამს)

**ზეზვა** – მერე რატომ იხდით ვალუტაზე, ჩვენში ლარზე მომუშავე ადგილობრივი მეძავები დაილივნენ?

**ჯონი** – რამდენიც გინდა, მაგრამ უცხოელი, მაინც უფრო პრესტიულია!

**ზეზვა** – მერე, როგორები არიან?

**ჯონი** – შეფუთვა საუკეთესო, ისე...

**ზეზვა** – თქვენს ასაკში მთავარი შეფუთვაა, მხოლოდ კახპებმა კი არა, „ახალმა მეგობრებმაც“ თავი შეფუთვით შემოგვატყუეს, თორემ ხომ მივხვდით, მათ შიგნითაც როგორი პოლიტიკური ათაშანგი მძვინვარებს.

**ჯონი** – თქვენც კარგი მაკვარანცხი ხართ, მომავალო სიძევ! (მხარზე ხელს დაარტყამს) „პოლიტიკური ათაშანგი“... მოფიქრება არ გინდა?.. არა, მაინც როგორ დამიკიდა!.. ჯონი მაგას აპატიებს? (მობილურს ამოილებს და ნომერს აკრეფს. კარადიდან ისმის მუსიკის ხმა. ყურს მიუგდებს. გათიშავს, ისევ თავიდან აკრეფს. ისევ ისმის კარადიდან ზარის ხმა. მერე ვიღაც ეპასუხება, უფრო სწორად, ღმუის) რა ხდება, ვერ გავიგე! (ჯონი ხმას მიჰყვება და კარადას მიადგება. მზიანა) გაალე კარი!

**მზია** – ვინც ჩაკეტა იმან გააღოს, ბატონო!

**ჯონი** – (ახლა ზეზვას მოუპრუნდება) კარი...

**ზეზვა** – ვინც ჩაკეტა, იმან გააღოსო, ხომ გაიგეთ!

**ჯონი** – ჰოდა, ვინც ჩაკეტა ჩემი მტრედი, ჩემი მორცხვი უცხოელი... (უკაკუნებს) ახლავე, აინ მამენტ... (მზიას თვალებს გადაუტრიიალებს. ისიც შედის საძინებელში და თიკასგან გასაღები გამოაქვს) ახლავე, ჩემო ანგელოზო, ახლავე! (კარადის კარი გააღო. პირზე დასკოჩილი ქალი





ჯონის პირდაპირ მკლავებში ჩაუვარდება) ეს რა უქნიათ, ასე ვინ გაგიმეტა, რა პასუხი გავცე არასამთავრობოებს, თქვენი ქვეყნის წარმომადგენლობას, ელჩი... ამდენი ჩადებული ინვესტიცია რომ ჩაიძალოს, გაუქმდეს, თავი ხომ საშვილიშვილოდ აღარ გამომეყოფა... წამოდი, ჩემო ანგელოზო... (ზეზვას) გამახსენე, საით არის საძინებელი, ახლა ამას მოსვენება უნდა...

ზეზვა – იქ არ შეიძლება.

ჯონი – რატომ?

ზეზვა – იქ ისეთი ბუა!

ჯონი – როგორ, ფული ბუასთვის გადავიხად?

ზეზვა – არა, ბატონო, თქვენ ჯერ არაფერი გადაგიხდიათ...

ჯონი – გადავიხდი, გამქცევები ხომ არ ვართ!

ზეზვა – როდის, ციხეში რომ მომაყუჩებენ?.. ჯერჯერობით სამზარეულოში მიბრძანდით, იქაც ისეთი დივანი დგას... მყარი, მამაპაპური...

ჯონი – რა გაეწყობა... ახლა ასე იყოს, მაგრამ მომავალში... წამოდი, ჩემო ლვთაებავ! (გადიან)

ზეზვა – (მზიას) გესმის, რა ხდება?

მზია – თქვენ თუ გესმით, თორემ მე... აქეთ გაეპით საფანგში, ხომ?

ზეზვა – მთლად არა, მაგრამ... (მოაქვს სუფთა, ჩარჩოში ჩასმული ტილო) სარფიანი შემოთავაზება მიყიდე. ა, აქ რომ უგემოვნო ასლი ეკიდა, იმაში თუ ოთხი ათასი გადაიხადეს, დადექი და ის ოთხი სურათი შენ დახატე. (შეაჩერებს ფუნჯს)

მზია – მე? დამცინით?

ზეზვა – რა არის სასაცილო, სურათები ხომ უნდა შემიკვეთონ! აბა, საქმეს შეუდექი!

მზია – კარგი, ოღონდ ნატურა დამჭირდება... (სამზარეულოს კარზე მიუკაკუნებს) ბატონი, როგორ თქვით, რამდენს იხდით ერთ ნახატში?

ჯონი – სამი ათასს!

მზია – სამი ცოტაა... ვიღაც თვითნასწავლი ხომ არ არის... ოთხი უნდა მაგ საქმეს.

ჯონი – მე მშრალზე მტოვებთ?

მზია – არაფერში ხუთასი რომ გრჩებათ, ეგაბა მშრალზე დატოვება? თუ არ გინდათ, წავიღებთ მშრალ ხიდთან და შეიძლება ხუთზეც სიტყვა არ გვათქმევინონ.

ჯონი – ჰო, კარგი, ეგრე იყოს...

მზია – (ზეზვას) აბა, დავიწყოთ, ოღონდ, ხომ გითხარით, ნატურა დამჭირდება-მეთქი... ერთი იქ აბრძანდით! (ანიშნებს სკამზე)

ზეზვა – რაო?

მზია – თუ უარს მეტყვით, ხელსაც არ გავანძრევ! (ზეზვა სკამზე ადის) ახლა მარცხენა ფეხი ბალეტის მოცეკვავესავით წინ გამოსწიეთ, ყელი მოიღერეთ და მოხრილი მკლავით თავზე-მოთ ნახევარმთვარე მოხაზეთ!

ზეზვა – დამცინი?

მზია – (ნაზად) „ფისუნი“, თქვენ როგორ დაგვინებთ! (ახლოს მიდის) რაღაც მინდა გითხრათ!

ზეზვა – მითხარი და დროზე დაიწყე.

მზია – ბოდიში, რომ გაგარტყით... მაპატიეთ!

ზეზვა – ნუ ბოდიშობ, დავიმსახურე!

მზია – არც თმების საფასური მინდა, ის ფული და ხელფასიც თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს... ვთხოვ და, დახმარებაზე არც დეიდა გვეტყვის უარს...

ზეზვა – არა, რას ამბობ... (კარზე ზარია).

მზია აღებს და ლაურა შემოდის. მზია სამზარეულოში გადის)

ლაურა – აი, ისევ გესტურეთ!

ზეზვა – რას მივაწერო ასეთი ბედნიერება?

ლაურა – რა კარგია მარტო რომ სართ!

ზეზვა – ვერ ვიტყოდი მთლად ეგრეა-მეთქი.

ლაურა – ვიდრე ცოლად გამოგყებით, მინდა უფრო ახლოს გაგიცნოთ.

ზეზვა – გასაგებია თქვენი სურვილი, მაგრამ ახალგაზრდა ქალის სატუმრობა, მარტოხელა კაცთან, საზოგადოებაში როგორ გაულერდება, ხომ იცით... ატეხენ ტელევიზიები მთელ ამბავს, მე შენ გეტყვი და ერთხელ თქმას იკმარებენ, დილიდან საღამომდე... კაფეში ხომ არ წავიდეთ, ჭიქა ყავაზე და ნაყინზე, ან...

ლაურა – (სულელივით იცინის) დაგავიწყდათ რომელ საუკუნეში ცხოვრობთ?.. რასაც თქვენგან მოვითხოვ, მეეჭვება კაფეში მოხერხდეს!

ზეზვა – მაინც რას ითხოვთ...

ლაურა – მორალურად უკვე მიცნობთ, ფიზიურად – არა... ხომ უნდა იცოდეთ ქალს, რომელსაც ცოლად ირთავთ, როგორი აღნაგობა აქვს! იქნებ სხეულზე ისეთი ნაკლი მაქვს – თმიანი მკერდი, ან...

ზეზვა – მგონი ცოტა უხერხულია...

ლაურა – (ცდილობს ხელი პერანგს შიგნით შეუცუროს, მაგრამ ზეზვა ამის ნებას არ აძლევს) ზაფხული რომ იყოს, პლაზზე შევათვალიერებით ერთმანეთს... მე და ჩემმა დაქალმა გადავწიტეთ, სანამ ცოლად გავყვებით, საქმროს ანატომია შევისნავლოთ.

ზეზვა – ღმერთო, ჩემო!





**ლაურა** – რა მოხდა, პლაზიე ან აუზში...  
აუზში სჯობს, თანამდებობის ხალხი, მაგალით-ად, საყვარელ ქალებთან აუზის კომფორტს არჩევენ... თუ მოისურვებთ, ახლავე წავალთ! (მანქანის გასაღებს ჰაერში ააგდებს) აბა, „პლაშ-ჩის“ გახდაში მომეხმარეთ! (ზეზვა გახდის და ხე-ლში საცურაო კოსტიუმში ჩაცმული ლაურა შერ-ჩება), მოგწონვართ? (შებრუნდება რომ ზეზვამ ყველა მხრიდან შეხედოს)

**ზეზვა** – (პლაშჩის მოასხამს) ახლავე ჩა-იცვით და მშობლებთან დაბრუნდით. კიდევ კარ-გი მამათქვენი არ გიყურებთ!

**ლაურა** – მამას ჩემთვის სად სცალია.

**ზეზვა** – დედას, ბებიას?

**მზია** – (შემორბის) ქალბატონი ტატიანა მო-ბრძანდა, ფანჯრიდან დავინახე, სადაცაა ამო-ვა...

**ლაურა** – ვაიმე! (მირბის საძინებლისაკენ)

**ზეზვა** – (აჩერებს) არა, იქ არ შეიძლება! (ლაურა სამზარეულოსკენ წავა, არც იქ შეუშვებს, მერე კარადისკენ მიდის) მგონი იქაც ვიღაც უნდა იყოს, თუმცა არა, ის ხომ გამოვიდა... შედი და ხმა არ ამოიღო. (კარს მიუკეტავს)

**თიკა** – არ გამივიდა პატიმრობის ვადა? მო-მეცით ტანსაცმელი და აქედან ავახვევ!

**ზეზვა** – შებრუნდი უკან... ქალბატონი ტატიანა გვესტურა. (თიკა უკან შერბის. ტატი-ანა შემოდის, ლორნეტით აქეთ-იქით იყურება) ქა-ლბატონო, ეძებთ რამეს?

**ტატიანა** – რამეს არა, ვინმეს!

**ზეზვა** – თქვენც იმ „ვინმეს“ ანატომიის შესასწავლად ხომ არ მობრძანდით?

**ტატიანა** – არა, მინდა მარტო დაგელაპა-რაკოთ... ჯონი თათბირზეა, ჩემი ქალიშვილი დაბადების დღეზე, ლაურა – ამხანაგთან... ასე, რომ შეგვიძლია მშვიდად ვისაუბროთ.

**მზია** – (შემოდის) რამეს ხომ არ ინებებთ?

**ზეზვა** – მე – არაფერი, თქვენ, ქალბატო-ნო ტატიანა?

**ტატიანა** – არც – მე. (მზია გადის) დღეს ძალიან დავიღალე, მაგრამ დაუყოვნებლივ გა-დასაწყვეტია ერთი საკითხი (საძინებლისკენ მიდის. წინ ზეზვა გადაელობება) უნდა გამიგოთ – წარმოიდგინოთ, რა დღეში ჩავვარდებოდი, როცა ეს კარი შევაღე და აბსოლუტურად შიშვე-ლი თქვენი მოახლე დავინახე!

**ზეზვა** – ისე მოხდა, რომ...

**ტატიანა** – ჯონიმ ამიხსნა, თქვენი ანუ მხ-ატვრების პროფესიული ამბავია...

**ზეზვა** – დიახ, ასეა.

**ტატიანა** – ჰოდა, ჩემ სათქმელსაც მივად-ექით!.. იქ რა ხმაურობს? (წავიდა კარადისაკენ)

**ზეზვა** – იქ?.. არაფერი... თუმცა როგორ

არა, კუ გვყავს...

**ტატიანა** – კუ?.. ეს ოჯახია თუ ზოობარკი... ჩემ ლაურიკოს ცხოველების ძალიან ეშინია, ის-ეთი ფაქიზი და მიამიტია...

**ზეზვა** – მეც შეგატყვევ... განსაკუთრებით „პლაშჩი“ რომ გაიხადა, მაშინ.

**ტატიანა** – ვინ გაიხადა „პლაშჩი“?

**ზეზვა** – ბოდიში... ბაკანი უნდა მეთქვა... კუს ხომ ბაკანი აქვს... ძილის წინ მოიხსნის, თავქვეშ ამოიდებს ხოლმე და იძინებს.

**ტატიანა** – რა საინტერესოა... ეგეთი კუ არ მინახავს... მაჩვენეთ, თუ შეიძლება. (კარადისკენ მიმავალს ზეზვა გადაელობება)

**ზეზვა** – არ ღირს, თუ გამოგვექცა, მერე ვეღარ დავიჭროთ...

**ტატიანა** – კვერცხისმდებელია?

**ზეზვა** – როგორ?

**ტატიანა** – კუ ხომ კვერცხებით მრავლდება!

**ზეზვა** – კი, კი, თანაც ღეში სამს დებს, დილით, შუადლით და საღამოს... როგორი ერ-ბოკერცხი იცის, თითებს ჩაიკვენეტ!

**ტატიანა** – საოცარია!.. ჰო, რაზე ვსაუ-ბრობდით? დიახ, ძალიან დამავალებთ თუ ქორ-ნინების შემდეგ მხოლოდ ნატურმორტებს დახ-ატაგთ... ჩემი ლაურიკო ვერ აიტანს აქ რომ მენატურე, საეჭვო რეპუტაციის ქალებმა იარონ.

**ზეზვა** – გასაგებია!

**ტატიანა** – თუ ამაში შევთანხმდით, მაშინ ნება მომეცით ბინა ყურადღებით დავათვალიე-რო, მინდა ვიცოდე, სად მოუწევს დიასახლისო-ბა... საძინებლიდან დავიწყებ...

**ზეზვა** – (შეაჩერებს) ვფიქრობ ჯერ მისალე-ბის, ტანსაცმლის კარადების ნახვა აჯობებს, თან ფინჯანი ყავა, მგონი არ გვაწყენს და მერე, კი ბატონო... მზია, გაუძეხი ქალბატონს და მეც მალე გეახლებით! (ზეზვა კარადის კარს გააღებს) ჩუმად ვერ იქნები? ბებიაშენს რომ ენახე!

**ლაურა** – რა ვქნა, დამეღალა მუხლები, სახ-ლში მინდა.

**ზეზვა** – ახლა ტირილის დრო არ არის... ცოტაც უნდა მოითმინო!

**ტატიანა** – (ხმა ისმის) თქვენ არ მობრძან-დებით?

**ზეზვა** – ახლავე, ახლავე, კუს პატარა პრობლემები აქვს და... (ლაურას) ხომ იცი, თუ ბებიამ შეგნიშნა...

**ლაურა** – (ფეხებს აპაკუნებს) მინდა, სახლში მინდა!

**ზეზვა** – სახლში არ ხარ? მამა, ბებია... ბარემ დედაც მოიყვანეთ და მთელი შემადგენ-ლობა დაკომპლექტდებით...

**მზია** – (მისაღებიდან შემოდის) მაგის ცო-ლად მოყვანას აპირებთ?





**ზეზვა** – მაქვს სხვა გამოსავალი?

**მზია** – არაფერი უვარგა, არა ჭუა-გონება, არა შეხედულება, არა... ძლიან ვნანობ შალი რომ არ მოვიხსენი. ნახავდით რა სხვაობაა ჩვენ შორის.

**ზეზვა** – (ამოიოხრებს) უკვე ვნახე!

**თიკა** – (საძინებლიდან თავს გამოყოფს) მო-მეცით ტანსაცმელი და წავალ...

**ზეზვა** – როგორ, ჯონის ან ქალბატონ ტატიანას რომ გადაეყაროთ...

**თიკა** – გავგიშდები! (მოაჯახუნა კარი)

(ოთახში ინვალიდის ეტლი შემოგორდება, არაიადნას, არტაშანდადებული ცალი ფეხი გაფშეკილი უდევს და კალთაში თხილამურები და სამგზავრო ჩანთა უწყვია)

**ზეზვა** – ეს ვინდაა!.. ნუთუ თქვენ, ქალ-ბატონო არიადნა?

**არიადნა** – რა, არ მელოდით?

**ზეზვა** – ორი კვირაო და, რატომ უნდა დაგლოდებოდით?

**არიადნა** – ჩავედი თუ არა, ვესტიბულში მოპრიალებულ იატაკზე ფეხი ამიცურდა და მო-ვიტებე.

**ზეზვა** – იქნებ გაბზარულია?

**არიადნა** – არა, მოტეხილიაო... წარმოგიდ-გენიათ რა დღეში ჩავვარდებოდი? თაბაშირი დამადეს!

**ზეზვა** – ეს სავარძელიც როგორ ოპერა-ტიულად გიშოვიათ.

**არიადნა** – კი, კლინიკამ მომაქირავა... ოჟ, საკუთარი სახლი მაინც სულ სხვაა – გადამავი-წყა ჩემი გაჭირვება.

**ზეზვა** – ქალბატონო არიადნა, ორი კვი-რა, მგონი ეს ბინა თქვენი არ გახლავთ. იმდენი გადამახდევინეთ, რომ თმა ახლაც ყალყზე მად-გას...

**არიადნა** – რა ვიცოდი, ფეხი თუ მომ-ტყდებოდა?!

**ზეზვა** – ცოტა ხმადაბლა, ნუ ხმაურობთ, ხალხს სძინავს.

**არიადნა** – ხალხს რომ სძინავს, ეგ რა ახალი ამბავი თქვი, მაგრამ ჩემი ბინა რა შუაშია.

**ზეზვა** – იმ შუაშია, რომ ყველა ითახი დაკავებულია და თქვენი დასარჩენი ადგილი არ გვაქვს.

**არიადნა** – როგორ, ჩემ სახლში...

**ზეზვა** – ორ კვირას მაინც...

**არიადნა** – (სავარძელს საძინებლისაკენ მიაგორებს. ზეზვა შეაჩერებს) ხელი არ მახლოთ, თორემ პოლიციას გამოვუძახებ!

**ზეზვა** – ორი კვირით არ მომაქირავეთ?

**არიადნა** – არ მახსოვს...

**ზეზვა** – თქვენ რა, ფეხთან ერთად ტვინ-

იც მოიტეხეთ?

**არიადნა** – რევოლუცია არ მომხდარიყოდა, ნახავდით ტვინი ვინც მოიტეხა!.. ახლავე პა-ტრულს გამოვიძახებ! (მოიმარჯვა მობილური, მაგრამ მზია არიადნასაც თავში ტაფას ჩასცხებს)

**მზია** – დედიკონა, არ უნდა მექნა? ხომ არ მოკვდება?

**ზეზვა** – ნუ გეშინია, ასეთები იოლად არ კვდებიან... შეაბრძანე სამზარეულოში, ჯონის გაუხარდება! (მზია არიადნას ეტლს მიაგორებს)

**ჯონი** – (პერანგის შეკვრით გამოდის, უკან უცხოელი მეძავი მოჰყვება თმის ვარცხნით) რა ხდება, ეს ვინ ინვალიდი შემოგვითესლეთ, რა ამბავია, ფულს ასეთი აურზაურისათვის ვიხდი? არ უნდა გვაცალოთ არაფერი?

**ზეზვა** – ჯერ ეს ერთი, თქვენი გადახდი-ლი ფული არ მინახავს და მეორეც...

**ჯონი** – ნახავ, აბა საფლავში ხომ არ წა-ვიღებ!

**ზეზვა** – მე თუ ციხეში გამისტურებთ, მერე გინდ საფლავში წაიღეთ და გინდ პარლა-მენტში...

**უცხოელი მეძვი** – (სავარცხლიან ხელს ირგვლივ მოატარებს, აქცენტით) ჯონი, მოაშორე ესენი!.

**თიკა** – (საძინებლიდან შალმოსხმული გამო-ვარდება) რაო, რაო? ვინ არის ეს ქალი, ამდენს რომ ბედავს... ამ ჩვენ სამშობლოში ყველა თავ-ზე არ დაგვაჯდა?

**ტატიანა** – (შემორბის) ჩემი სიძე, ვიღაც ქალთან? აკი თათბირზე ვარო... ღლაპი გაგ-ზარდე, ჩაგაცვი, დაგახურე, კაცად გაქციე, შე... შე... (ხელჩანთას მოუქენეს)

**თიკა** – მე კიდევ ამას უნდა გავუსწორდე (უცხოელს თმაში ხელს წავლებს)

**არიადნა** – (სავარძლით მოგორავს და თავ-ზე სველი ტილო ადევს) რა ამბავში ხართ... გაე-თრიეთ ახლავე ჩემი სახლიდან... ახლავე-მეთქი! (სავარძლიდან ვისაც მისწვდება იატაკის ჯონს ურტყამს)

**ლაურა** – (კარადიდან თავს გამოყოფს) აუ, რა სანახაობაა!.. მიდით!.. დაჲკა, ბებია, დაჲკა... აბა, ყოჩალად, მამაჩემის საყვარლებო!.. შენ გაჩუმდი!.. შენ მიდი, უცხოელო!

**ტატიანა** – შვილო, შენც აქა ხარ?.. დედა, ეგ ვისი რა გაცვია!

**ლაურა** – რაო, არ მოგწონვარ?..

**ტატიანა** – კი, კი, ვინ არის შენზე უკეთესი...

**ლაურა** – ამას არ ვევასები! (ანიშნებს ზეზ-ვაზე)

**ტატიანა** – გითხარი, გაგაყოლებ კუკულაძ-ეს-მეთქი, აქამდე ხომ შენც მოისვენებდი და მეც...

**ლაურა** – არ მინდა, არა, კუკულაძე მელო-



ტია, თავზე როგორ მოვეფერო!

**თიკა** – ნუ შეჭამე, გოგო, გული, შენც სადაც თმა აქვს, იქ მოეფერე!

**ტატიანა** – არა უშავს, ბებია, ჯერ ერთი, ჭკვიანების უმეტესობა მელოტია, მეორეც, მამაშენმა დედაშენს ისეთი რქები ამოყვანა, კუულაძის თმის ამოყვანა გაუჭირდება?

**მზია** – (შემოდის თავისი ჩემოდნით და ხელჩანთით. ზეზვას) კილოს მიწუნებდით და ვითომ ეს კულტურული გარყვნილები მჯობიან? წევედი, ახლა, მე...

**ზეზვა** – (სასოწარკვეთილი) სად მიდიხარ?

**მზია** – ჩავალ ჩემ სახლში, მიტოვებულია და მივეპატრონები...

**ზეზვა** – მერე, მე ამ დომხალში მტოვებ?

**მზია** – რა ვქნა, რა გიშველო!

**ზეზვა** – წამიყვანე და შენ სახლს ერთად მოვეპატრონოთ!

**მზია** – დედა! თავი სიზმარში მგონია!.. ოღონდ მოისურვე, წამოდი და იქაც შენი მოსამსახურე ვიქნები! (ზეზვა მოლბერტს ხელს დაავლებს და გარბიან)

**არიადნა** – თქვენ გაგწყვიტათ ჭირმა, ვეღარ უნდა მოგიცილოთ?

(ჭექა-ქუხილი, გვრგვინვა, ყველა გარბი-გა-მორბის. ბნელდება. მშვიდდება სცენა. წყნარი მუსიკა. თანდათან განათდება და გამოჩნდება გა-მოქვაბული, შუაცეცხლი და ტყავებზე მიწოლილი ორი პირველყოფილი ქალი და კაცი)

**მზია** – (ხელს წაჰკრავს) გაიღვიძე, კაცო, არ გესმის? საგონებელში ვერ ჩაგაგდე, მთელი ღამე ღმუი და ბორგავ!

**ზეზვა** – (თვალების ფშვნეტით წამოჯდა) აუჟ, ეს რა ვნახე, ადამიანო, ნეტა ყველაფერი მართლა სიზმარი იყო?

**მზია** – რა ნახე, ეგეთი, არ ითქმის?

**ზეზვა** – იმას რა მომაყოლებს, გახსენება-ზეც ტანშიც მაჟრიალებს... რაო, რას მეუბნებოდი, ბოდიში, მოგატყუე, ქუთაისელი კი არა შორაპნელი ვარო... რა არის, მზია, შორაპანი?

**მზია** – (გაოცებული) პირველად მესმის!

**ზეზვა** – ქუთაისი?

**მზია** – ეგეც!

**ზეზვა** – მემწანილე?

**მზია** – არ გადამრიო, მომიყევი, რა ნახე ეგეთი!

**ზეზვა** – არ შემიძლია, ისედაც ტვინი მაქვს აბურდული... მაცალე, ცოტა ამოვის-უნთქო!.. თანაც ძალიან მომშივდა, კუჭი დინოზავრივით შემომყმუის... მოიტანე შემწვარი ქათამი, ბრონებულის საწებლით და „შატო-მუხ-რანი“, ოღონდ მაცივარში ჩაციებული, არიადნას ბროლის ფუურებთან ერთად... მერე ყავა ტორტით, ან „ბარამბოს“ შოკოლადი...

**მზია** – (შეშინებული უკან დაინევს და საფეხქელთან თითს დაიტრიალებს) ვაიმე, რას ბოდავ, ეტყობა, ნამდვილ ჯოჯოხეთში ყოფილხარ – ქათამი, „შატო-მუხრანი“, მაცივარი, არიადნა... კიდევ კარგი სიზმარი იყო და მაგ ყველაფერს გემო არ გაუსინჯე... ცოტა ძირხენას ბოლქვები და კუს ფეხი დარჩა გამოსაწუნწნი და, ვიდრე სანადიროდ წახვალ, უნდა ვიმყოფინოთ.

**ზეზვა** – ჰო, კუც მახსოვს... „ქოქოს-ბანკიც“, საფრთხობელასავით რომ აშინებდა ყველას...

**მზია** – (ხის ტაბლით საჭმელს მიუტანს) მიირთვი, ნადირობისას ჯანი დაგჭირდება.

**ზეზვა** – (დააკვირდება. ცეცხლს გამოჩერებას, უფრო განათდება მზია) აბა, ცოტა ხანს ასე იყავი. ფეხი ცოტა წინ გამოსხიე, იდაყვებით მუხლს დაეყრდენი და ხელები გამოიშვირე, თითქოს ხელისგულებს სულს უბერავ...

**მზია** – რა გემართება?

**ზეზვა** – არ გაინძრე-მეთქი! (წამახული ნახშირით გამოქვაბულის ბრტყელ კედელზე ხატვას იწყებს) ეგ ჩაიხსენი! (საკინძზე ანიშნებს)

**მზია** – რას ამბობ, გამეიარს ვინმე და სირცევილია... ჰო, კარგი, ოღონდ შენ არ გამიბრაზდე... არა, მაინც სად იყავი, ეგეთ ადგილას... როგორ თქვი, სადაური ვარო?

**ზეზვა** – შორაპნელიო!

**მზია** – შორაპნელიო? დიდუ, რა არის ეს სიზმარი, რას არ წამოგაროშინებს! კიდევ რაო, რა წევიბუტურე? მოგატყუეო!.. ესეთი არაფერი მსმენია! რა არის, ზეზვა, ტყუილი?

**ზეზვა** – შენ მითხარი და მე უნდა ვიცოდე?

**მზია** – დედას გეფიცები თუ წარმოდგენა მქონდეს!

**ზეზვა** – არც მე... (ისმის კოსმიური ხმები, მუსიკა - ორივე, ზეზვა და მის მკლავქვეშ შეყუული მზია გამოქვაბულს მიატოვებენ და, დატრიალებული სცენის საპირისპიროდ გარბიან).

## ნუნუ ძამუკაშვილი

60



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სამინისტრო

ფეხაქა თქვა: პატიოაზ  
საგადოობლებს მცენრისო...  
ფრინველების მოდიან, —  
ხმა გვიშა გულის ლელვისო.  
როგორ ნიკა გვიგალიობს,  
გვინაშა, სამყარო ჩვენია, —  
სულმშირ, გულმშირ ვწევარებთ,  
ია-ვკრიფი გვივინია.

6. ძამუკაშვილი

### სართვლო კალათერი

პაპა, რომ წნავს წნელისაგან  
სართვლო კალათებია,  
ისე მოაჩუქუროთმა,  
მოინონა ბებიამ.  
ვენახის თავს აშვენებს,...  
გოდრებია ისინი...  
დაკრეფილი მტევნები  
გვიღიმის და გვიცინის!  
ჩურჩელები ამბობენ:  
მალე, მზეზე გავშრებით,  
საახალწლოდ, ხალისით,  
გველიანო ბავშვები.

### საჩუქარი

დღეს პატარა დემეტრეს  
შეუძინეს მანქანა,  
დასვა იატავზე და...  
აქეთ-იქით აქანა.  
ეს ლამაზი მანქანა  
დათო პაპამ უყიდა,  
თავს იწონებს დემეტრე, —  
მანქანა მაქვს პულტითა.

### ნიავი

ნიავი რას ჩასჩურჩულებს  
ბალჩა-ბალებს, ვენახებს?!  
მე თქვენთან ვარ, ნუ მოიწყენთ,  
მსურს წვიმასთან მენახეთ!  
მე ლრუბლებთან მივფრინავ და...  
მათ გადავცემ ბარათებს;  
მზემ ცოტა ხნით შეისვენოს,  
გულდაგულ, რომ ანათებს.  
და დაუთმოს ასპარეზი  
ლრუბლის ლამაზ აკიდოს,





## ნუცი ძამუკაშვილი

რომ წვიმები, სიყვარულით,  
ცაზე ნაზად დაჲკიდოს!  
ჩვენ, ხომ, ყველა, მოსავლის ბედს  
მზეს, თუ, ღრუბლებს ვანდობთ და...  
სიკეთისთვის, მადლიანო,  
ცავ და მიწავ, – მადლობა!..

### თუშებს

თუშეთია საოცრება, –  
ყვავილების თაიგულით,  
ყოველ ყვავილს ვეფერები,  
და... გარშემო ცეკვით ვუვლი!  
ხელს ავუწვდენ ცის კაბადონს,  
გვესალმება ცისარტყელაც,  
მთებზე კრავნი, – სხივთა კრავნი,  
ხან, ღრუბლებში ელვა ელავს!  
ვთამაშობთ და... სიხარულით,  
ნეტარებით გვიცემს გული, –  
მთელ ცხოვრებას გაგვინათებს –  
ჩვენ, – თუშეთის სიყვარული.

### მომცერალი ნიკა

ნიკა, ისე ამღერდა,  
რომ, გაჩუმდა ბულბულიც,  
ნეტავი ვინ გალობსო? –  
სმენად იქცა – სუმბული.  
მამას უთქვამს: პაპას გავს, –  
მას ქონდაო ტკბილი ხმა!  
გვიზიდავდა, გვხიბლავდა,  
როგორც ტკბილი თილისმა!  
დედამა თქვა: პაპიდაც  
საგალობლებს მღერისო...  
ფრინველებიც მოდიან, –  
ხმა გვცემს გულის დელვისო.  
როცა ნიკა გვიგალობს,  
გვწამს, სამყარო ჩვენია, –  
სულშიც, გულშიც ვნეტარებთ,  
ია-ვარდი გვფენია.

### დათვი

დათვი პანტას ბერტყაგს ტყეში  
აქამდე, რომ არა ჩანდა, –  
დაეწვივნენ ყურცქებიტები,  
ყველას ჰერნდა თითო ჩანთა.  
დათვმა ყველას უნაწილა,  
გადმოევლო ტოტებს ციყვი!  
მეც მომეცით, ცოტა, პანტა, –  
სამადლობელს უმალ, ვიტყვი!  
დამეგობრდნენ ამ სიკეთით:  
ყურცქებიტები, ციყვი, დათვი,  
ლამაზ დღეებს, – მეგობრობის,  
ციდან ლალი მზე, თუ დათვლის?..





## გაიფარა

რა ლამაზად, გაიდარა?! –  
მზემ თავისი გაიტანა,  
სხივის გაშლას მთელ გულს ატანს, –  
ლამაზია, თვალად, ტანად.  
შვება იგრძნეს გვირილებმა,  
გაიღვიძეს, ადგნენ ადრე.  
ნიავი, რომ თავს ევლებათ,  
ზეიმი აქვთ წითელ ვარდებს, –  
წვიმაც ჰქონდათ, მზის სხივებიც,  
მოუტანეს სიხალისე,  
ზაფხულია, ფრინველთა ხმებს,  
გულში ყველა ციდან ივსებს.

## მშვიდობის მჭრეფი

რას ღულუნებს, ნეტავ, მტრედი?  
ეკითხება დედას საბა,  
მშვიდობაო, მშვიდობაო,  
მოგიტანთო ლამაზ ამბავს.  
მშვიდობაში, მშვიდობაში, –  
ყოველდღე, რომ, ვისმენთ აბა!  
საჩუქარზე, – ნეტარებით,  
ლალი მტრედიც თვალებს ნაბავს!  
რომ... მიყვარდა, დედა, მტრედი,  
უფრო, მეტად, შემიყვარდა!  
ცა, – უღრუბლოდ, ნარნარებდეს, –  
და... გულს გვფენდეს ია-ვარდად!

## შებოს პური

პური უნდა გამოვაცხო,  
ამბობს ლიზა ბებო  
პურის გამოცხობა იცის, –  
მართლაც სანაქებო.  
ახლა, თონეს მარილს ვაჭმევ,  
პურს მოიხდის ნანატრს;  
შვილიშვილებს მოეფერა:  
იმედას და ნატას.  
და... დაბრანწულ გემრიელ პურს  
მეზობლებთან ატანს.

## შექას კვირი

ბექამ კვიცი გაზარდა,  
კვიცი, – ნაჩუქარი,  
ხან, ნიავს ჰეგავს, წყნარია,  
ხან, კი ნიავ-ქარი!  
ყოველ სიტყვას უგონებს,  
მახვილი აქვს თვალი;  
პატრონს რომ დაინახავს, –  
ნამსვე, ის იქ არი.



ბექას შრომა დაფასდა, –  
კვიცი არის მალი,  
ბექამ, – მსურს გამოვიდე, –  
კარგი ბეითალი.  
ბეითალი რა არის?  
ციცომ თქვა, – დარცხვენით,  
– ბეითალი, დაიკო,  
ექიმია, – ცხენის.

## ლრუბლერი

საით მიდიან ლრუბლები?...  
და... საით მიუხარიათ?...  
ზოგი, – სპილოა, აქლემი  
და ზოგიც დიდი ხარია.  
ირემი, ირემს კი ბალახს  
სთავაზობს, – დიდი ხანია...  
სიკეთე ზღვაა ლირსების, –  
რა მეგობრულად არიან.

63



## გამრკე ანანო

სოფელშია ანანო,  
მიეხმარა ბებოს,  
მხალი ერთად დაკრიფეს, –  
ქორფა, სანაქებო.  
ბებო, ამ მხალს რა ჰქეია?  
მხალში ხელებს ურევს...  
„ნაცარქათამა“ ჰქეია, –  
ანა ცქვეტავს ყურებს.  
ქათამმა რომ გაიგო,  
მეც ნაცარა გახლავარ;  
გაიცინა, მხალს ვგევარ?  
შეგვადარეთ, აქა ვარ!  
მე, ორივეს დაეხატავ, –  
ამყად თქვა ანანომ,  
ნაცრისფერზე იტყვიან,  
რომ ერთმანეთს ჰგვანანო.

## მურია

მურიამ თქვა: არ დამაბათ,  
ისეც, კარგად, ვიცავ სახლ-კარს,  
ბუჩინებს და ბეკეკოებს  
მოვუყვები ამბავს, – ახალს.  
მთვარე კიდევ, იმედს მაძლევს,  
ვანათებო არე-მარეს,  
დღე, ისედაც, ნათელია, –  
ამიტომაც, მიყვარს მთვარე!  
კრუხ-წინილას მოვუკლი და  
არ მოვაკლებ ყურადღებას,  
სისირებიც მომეშველნენ  
და... საამო დილა დგება.

ოლე, №5, 2024



## მიხეილ ელიზაროვი

64



საქართველოს კულტურის მინისტრის ბიურო

პროგრამის მიხეილ ელიზაროვი დაიბადა 1973 წელს ივანი-ფრანკოვსკში. დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტი. 2001-2003 წლებში სწავლობდა ჰანოვერის კინოსკოლაში რეჟისურას. ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში.

მიღებული აქცია: პრემია „რუსული ბუკერი“ (2008), პრემია „ნოსი“ (2014), არის პრემია „ნაციონალური ბესტსელერის“ ფინალისტი (2011).

### პერიპატი პონდრათევი

ბერიკაცმა კონდრატევმა ქალიშვილისგან ფულადი გზავნილი მიიღო. ერთ კვირაში კი ქალიშვილიც ჩამოუვიდა. მხოლოდ რამდენიმე დღით ესტუმრა, მამა თითო-თითო ტრმარა შაქრითა და წინიბურათი მოამარაგა და უკან გაბრუნდა.

მოულოდნელად კონდრატევს საპენსიო დავალიანებაც აუნაზღაურეს. ბერიკაცმა ფოსტალიონ ქალს, რომელიც სამი თვის ფულს ცხვირზინ ულაგებდა, მადლობა პირფერულად გადაუხადა, მერე ჩაი შესთავაზა. გაიძახოდა, რომ რეფორმების და საერთოდ, უკეთესი მომავლის სწავლა და ფოსტალიონმა თავი გადააქნია და უთხრა: „გამოუსწორებელი ოპტიმისტი ყოფილებათ“.

კონდრატევმა ბედნიერად და იდუმლად ჩაიცინა, თითქოს მართლაც ინახავდა სიმხევის ერთგვარ საიდუმლოს, ომის წლებიდან და ნერგევიდან ახალ დროებაში გადმოყოლილს, საჭაც ახალგაზრდები იხოცებიან, კონდრატევი კი არა.

მოზღვავებული სიმდიდრისგან გაბედნიერებული კონდრატევი ნასვამივით შებარბაცდა. უხაროდა, რომ უახლოეს ხანს თავს ვეტერანად აღარ გაასაღებდა. კონდრატევი ვეტერანი არასდროს ყოფილა. ასაკის გამო, ფრონტზე ნასვლა არ მოუნია, რასაც ახალგაზრდობიდანვე საშინალად განიცდიდა, რადგან გარეგნულად არაფრით განსხვავდებოდა ყოფილი ფრონტელები-სგან. არც საბრძოლო დამსახურებებით ტრაბაზი შეეძლო.

წლების მატებასთან ერთად კონდრატევი მოგამოვლილ თაობას შეეზარდა.

წლების მატებასთან ერთად კონდრატევი მოგამოვლილ თაობას შეეზარდა.

ერთხელ, რალფის რიგში, კონდრატევმა ალექსონებით დაიყვირა: „რისთვის ვლვრიზი სისხლის?!“ – და ძალიან შეიწვა.

თუმცა, სისხლთან დაკავშირებული ეს შეკითხვა უყურადღებოდ არ დარჩენილა და კონდრატევი დარწმუნდა, რომ ადამიანური თანაგრძნობითაც შესაძლებელია რაღაც სარგებლის ნახვა. ბერიკაცი სულ უფრო ხშირად უწოდებდა საკუთარ თავს უკერავისა და არც შესაძლო მხილებისა ერიდებოდა. ადამიანები, რომლებსაც კონდრატევის შერცხვენა შეეძლოთ, ან მოკვდნენ, ან წავიდ-წამოვიდნენ, ცოლს კი მრავალი წლის წინ გაეყარა.

ერთხელ, რაღაცის რიგში, კონდრატევმა აღმფოთებით დაიყვირა: „რისთვის ვლვრიდი სისხლის?!“ – და ძალიან შერცხვა.

თუმცა, სისხლთან დაკავშირებული ეს შეკითხვა უყურადღებოდ არ დარჩენილა და კონდრატევი დარწმუნდა, რომ ადამიანური თანაგრძნობითაც შესაძლებელია რაღაც სარგებლის ნახვა. ბერიკაცი სულ უფრო ხშირად უწოდებდა საკუთარ თავს ვეტერანს და არც შესაძლო მხილებისა ერიდებოდა. ადამიანები, რომლებსაც კონდრატევის შერცხვენა შეეძლოთ, ან მოკვდნენ, ან წავიდ-წამოვიდნენ, ცოლს კი მრავალი წლის წინ გაეყარა.

კონდრატევი სავაჭროდ ბაზარში წასვლას აპირებდა, როდესაც ეზოში კარტოფილის ტომ-რებით დატვირთული უზარმაზარი მანქანა შემოგრიალდა. მეზობლებმა კარტოფილი ერთობლივად შეუკვეთეს. მიუხედავად იმისა, რომ კონდრატევს კაპიკი არ დაუდია, ეზოში გაჩერებულ მანქანას საქმიანად მიუახლოვდა.

ბერიკაცთან მეზობლის ქალმა მიირბინა, რომელიც ტომრების განაწილებას ხელმძღვანელობდა და სიაში ჩაუხედავად ჰკითხა:

– თქვენ ერთი ტომარა შეუკვეთეთ?

კონდრატევმა თავი გაურკვევლად დაიქნია. მეზობელმა რეველში რაღაც ჩაინიშნა და ბერიკაცს ტომრის ატანაში ვიღაც დაეხმარა.

უეცარი გამდიდრებისგან აღელვებული ოთახში ბოლთას სცემდა და ტომრებს შესცეკროდა, რომლებიც რუბენსის სამ გრაციასავით გამოიყურებოდნენ, ხანაც კარადაში მოწყობილ სამალავისკენ მიიჩეაროდა, სადაც პენსია და

ქალიშვილის ნაჩუქარი ფული იდო. კონდრატევმა გონებაში დაიანგარიშა, რომ ეს ყველაფერი დაახლოებით ორი წელი ეყოფოდა.

კონდრატევი ცუდი მამა იყო, ამას აღიარებდა და ამიტომ კიდევ უფრო ეძვირფასებოდა ქალიშვილის საჩუქარი.

სინდისის ქენჯნის გამო ბერიკაცი შეეცადა ქალიშვილის პატარაობა გაეხსენებინა, რის სანაცვლოდაც საკუთარი ბავშვობა გაახსენდა.

დედა საღამოობით ქუჩაში არ უშვებდა, რომ უახლოესი კოლმეურნეობიდან კაციჭამიებს არ გაეტაცათ. ასეთებიც ხდებოდა. კონდრატევის გონებაში დედასა და მამას შორის ჩეუბის მივიწყებული ეპიზოდი ამოტივტივდა. მამამ კარი გაიჯახუნა და ნავიდა, დედა უკან გაჰყვა. მერე კი მთელი წელი ხორცი ჰქონდათ – მამა არ დაპრუნებულა.

კონდრატევს ფიქრადაც არ გაუვლია, რომ საკუთარი მამით იკვებებოდა, მაგრამ თავად საჭმლის მონელების პროცესს ბიჭი დანაშაულად აღიქვამდა. ბერიკაცს მუცელლორობის ცოდვა გაახსენდა და სხეულში ურულოამ და ძლიერმა სპაზმმა დაუარა.


კონდრატევს ტუალეტში გონება დაებინდა. როდესაც ცნობიერება დაუბრუნდა, მხოლოდ ისლა ახსოვდა, რომ შარვალი არ გაუხდია და უნიტაზეზე არ ჩამომჯდარა. უკანალი ხელით მოისინჯა, – სიბინძურე არ აღმოჩნდა. ესე იგი, შარვალი ნამდვილად გაიხადა. ლოგიკის თანახმად, რახან შარვალი გაიხადა და უნიტაზეზე არ ჩამომჯდარა, განავალი ფეხებთან უნდა ყოფილიყო. ყველაფერი რომ ლოგიკურად გამოსულიყო, კონდრატევმა განავალი უნიტაზიდან ამოიღო და იქვე დადო.

ბერიკაცმა ტუალეტიდან გამოიხედა და შეკრთა. დერეფანში დალაგებული ტომრები ცხედრებად ეჩვენა, საკვებით საჭე ცხედრებად, რომლებიც შიმშილით დახოცილიყვნენ.

„მეც ასე ვარ... – ნაღვლიანად გაიფიქრა კონდრატევმა და შიშის ახალმა ტალღამ გადაუარა. – მოვკვდები, მოვკვდები, ჩემო საყვარლებო!“ – აქეთ-იქით აწყდებოდა ოთახს.

უცებ მოეჩვენა, რომ ტომრები სინამდვილეში მისი გარდაცვლილი ცოლები იყვნენ, რომლებიც კონდრატევის მიწიერი სხეულით დაორსულდნენ.

ბერიკაცი კარტოფილის ტომარას გადაემხო და უხეში ქსოვილი ვნებიანად დაკოცნა. მერე კონდრატევი ბურღულიანი ტომრისკენ გადაგორდა და არაადმიანურად მიეალერსა. შაქრიან ტომარაზე კი ტანსაცმელი გაიძრო და მორიგე-



### მხატვარი სოფიო ჭელიძე

ობით, თითოეულ ტომარასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა.

– მიყვარხარ, – ყურში ჩასჩურჩულებდა კარტოფილის, შაქრისა და წინიბურას კონდრატევს.

უცებ ფარდა აეხადა შემზარავ ჭეშმარიტებას. კონდრატევის წინ მისივე საკრალური სხეული – სამი სასიცოცხლო ენერგიის მომნიჭებელი ცხედარი იდო და ჭამდა რა მათ, ის ჭამდა საკუთარ სიცოცხლეს. ბერიკაცის მიერ თავისი სასურსათო ორეულების გადასანსვლას, იმავე წამს მისი რეალური სიკედილი მოჰყვებოდა. გამოსავალი დაუყოვნებლივ გამოიჩრიკა.

– გადავრჩი, გადავრჩი! – დაიყვირა კონდრატევმა და ანტრესოლისკენ გაქანდა.

„ეს მხოლოდ საჭმელია“, – ჩასჩურჩულა ეშმაკმა კონდრატევს.

„არა!“ – კონდრატევის სხეულში წერიალა ხმა მღეროდა.

„ფულები არ გამქრალა“, – ჩასჩურჩულა გონებამ.

– ვერცხლის ფულები! – პასუხობდა კონდრატევი.

როგორც იქნა თოკი გამოძებნა და ყულფი გამოსკვნა. იუდა კონდრატევმა ის ჭერთან, მილს მიამაგრა და ქრისტე კონდრატევის სამარადისო ცხოვრებისთვის თავი ჩამოიხრიო.

**რუსულიდან თარგმნა აკაპი დაუშვილება**



### თამარ ავდალიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიციარულ  
მუნიკირებათა ფაკულტეტის ქართული  
ფილოლოგიის დოკტორანტი

სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიციარული  
მუნიკირებათა ფაკულტეტის ქართული  
ფილოლოგიის დოკტორანტი

ქართული აგიოგრაფიული ძეგლებში ხშირად თავს  
იჩენს სინანულის შემცველი რაიმე უქაფი ან ქმედება,  
რისი საშუალებითაც წმინდანი თუ სხვა პირი ამ გრძნობას გამოხატავს. ხშირად სწორედ სხ-  
ელის ენა გვიხსნის ახალ პორიზონტს პიროვნების  
შესაცნობად. ცრემლისა და ლოცვის გვერდით ხშირ-  
ად გვხვდება პერსონაჟის სხეულის მოძრაობანიც,  
კერძოდ, „დავარდნა ქუეყანასა ზედა“, „შევრდომა“,  
„მიმთხვევა“ და ა.შ.

თ. ავთალიანი

სინანული სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიციარული მუნიკირებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დოკტორანტი

### სინანულის სათხოების გამოვლენის ერთი თავისებურება

#### ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში

სინანული ქრისტიანული ცხოვრების და-  
საწყისია, ამიტომაც მისი სიღრმისეული გაზრე-  
ბა სწორედ ქრისტიანულ ხანას უკავშირდება. ის  
აუცილებელი გზაა იმისათვის, რომ ადამიანს უფალ-  
მა ცოდვები მიუტევოს. ყოველი ადამიანი უნდა  
ინანიებდეს იმ პირველცოდვას, რომელიც მთელ  
კაცობრობას დამატები გასდევს. სინანული არის  
ადამიანის სულიერი გარდასახვა, მისი ცხოვრების  
მიმართულების შეცვლა.

ადამიანის სულსა და გულში სხვადასხვა განც-  
და, მორალური გრძნობები წარმოიშობა საზოგა-  
დოებრივი ურთიერთობის საფუძველზე. ერთ-ერთი  
ასეთი გრძნობაა სინანული, რომელიც ეუფლება  
ადამიანს და წარმართავს მთელ მის ქმედებას. ხშირ-  
ად სიტყვას არ ძალუძს ემოციისა და განცდის სრუ-  
ლად გადმოცემა, ამიტომ წმინდანებთან მნიშვნელო-  
ვან როლს ასრულებს არავერბალური მოძრაობები,  
რაც სხვადასხვა ემოციისა თუ განცდის გამოხატვას  
ემსახურება. უქაფისა და მიმიკას ფსიქოლოგიაში  
გამომხატველ მოძრაობებს უზრდებენ. ისინი ჩვენი  
ემოციური განცდების ობიექტურ განსახიერებას  
წარმოადგენს. ამდენად, უქაფს ემოციური განც-  
დების სხეულებრივ გამოხატულებად მიიჩნევენ.

აგიოგრაფიული ნაწარმოების პერსონაჟის  
რაიმე ქმედება თუ საქციელი ყოველთვის ქრისტიან-  
ული სწავლებითაა განსაზღვრული. წმინდანის მიერ  
განვლილი გზა – ესაა გზა თეოზისისა, საკუთარი  
ცოდვების თვითგააზრებიდან – მონანიებამდე.  
„მარტვილობისა“ თუ „ცხოვრებათა“ უანრის პერსო-  
ნაჟებს ესმით მაცხოვრის გამოცხადების არსი, ვინც  
საკუთარი თავგანწირვით მაგალითი უჩვენა ყველა  
მოკედავს. უფალი ჯვარი ეცვა ადამიანთა სიყვარ-  
ულისათვის, კაცობრობის ცოდვათაგან დახსნისა  
და მარადიული სიცოცხლის დასამკიდრებლად;  
ადამიანთა ცხოვრება-ცხონება კი სინანულის გზი-

თავს იჩენს სინანულის შემცველი რაიმე უქსტი ან  
ქმედება, რისი საშუალებითაც წმინდანი თუ სხვა  
პირი ამ გრძნობას გამოხატავს. ხშირად სწორედ სხ-  
ელის ენა გვიხსნის ახალ პორიზონტს პიროვნების  
შესაცნობად. ცრემლისა და ლოცვის გვერდით ხშირ-  
ად გვხვდება პერსონაჟის სხეულის მოძრაობანიც,  
კერძოდ, „დავარდნა ქუეყანასა ზედა“, „შევრდომა“,  
„მიმთხვევა“ და ა.შ.

ადამიანის სულიერი სამყაროს გამოხატვა,  
კონკრეტულად კი სინანულის გამოვლენა ქცევის,  
უქსტისა თუ სიტყვის საშუალებით ხდება. როგორც  
გრივერ ფარულავა აღნიშნავს, „სწორედ მოქმედებაა  
ყველაზე ნათელი და გამომსახველი გადმოშლა ადა-  
მიანისა, გადმოშლა როგორც მისი გუნება-განწყო-  
ბილებისა, ისე მიზნებისა. ის, რასაც ადამიანი წარ-  
მოადგენს თავის უღრმეს საფუძველში, პირველად  
განხორციელდება მხოლოდ ქმედების საშუალებით“  
[ფარულავა 1982: 157]. მეცნიერი იქვე იმომებს  
ალექსეი ტოლსტოის ლიტერატურულ წერილს, რო-  
მელშიც ეს უქანასკნელი საუბრობს უქსტის მნიშვნე-  
ლობაზე და გულისხმობის არა მხოლოდ ხელის მოძ-  
რაობას, არამედ ადამიანის შინაგან მდგომარეობას,  
მის სულიერ სამყაროს მოცემულ წამში, „უქსტა,  
როგორც სხეულის მოძრაობას, უქსტს, როგორც  
სულის მოძრაობას“ [ფარულავა 1982:157].

ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში წმინდანის  
წამებასა თუ ცხოვრებას ყოველთვის თან სდევს  
სინანულის განცდა, რადგან მან ცოდვათა დათრ-  
გუნვითა და მონანიების გზით უნდა მოიპოვოს  
საუკუნო განსახვენებელი. როგორც წინარე თავებში  
ვსაუბრობდით, სინანულის გრძნობის თავჩენა ხდე-  
ბა არა მხოლოდ მთავარ გმირთან, არამედ მეორებ-  
არისხოვან, თანაც, უარყოფით პერსონაჟთანაც.

სინანულის უქსტს ვხვდებით „წმინდა ნინოს  
ცხოვრებაში“, კერძოდ, მეფე მირიანთან. როგორც  
ვიცით, მზის დაბნელება თხზულების ერთ-ერთი  
მთავარი ეპიზოდია, რადგან ამას მოჰყვა გაქრის-

ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში ხშირად



ტიანება მირიან მეფისა და მთელი ქართლისა, რომელიც „ცოდვის ნის-ლში“ იყო გახვეული. „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ გამოიკვეთა მთავარი – მირიანის ფერისცვალება, რაც, ჩვენი აზრით, სწორედ სინანულის აღძვრის საფუძველზე უნდა მომხდარიყო (მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის ამ მონაკვეთში ეს არ ფიქსირდება). ამ დროს იბადება ახალი ადამიანი, ახალი მირიანი, რომელსაც შემი ეუფლება და ნინოს ღმერთს სთხოვს შემწეობას. მირიანის ფერისცვალებაში, გონების შეცვლაში ღვთის ღვთის წყალობა და მიტევება უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ბერძნულ ენაზე სინაული (მეტანი) სწორედ გონების შეცვლას გულისხმობს. სინაულის გრძნობის გამოვლენას გვაფიქრებინებს რამდენიმე ეპიზოდი „წმინდა ნინოს ცხოვრებიდან“, რომელიც მირიან მეფის სულიერ მდგომარეობას წარმოაჩენს:

„...შეუ სამხარ ოდენ დაბნელდა მის ზედა მზე და იქმნა ღამე უკუნი, ბნელი ფრიად. დაფარნა ბნელმან არენი და ადგილი იგინი. და განიბნივნეს ურვისა მისგან და ჭირისა ურთიერთარს ყოველი ერნი მისნი, და დარჩა მეფე მარტო და იარებოდა მთათა ზედა და მაღნართა მინა შეშინებული და შეძრნუნებული. და დადგა ერთსა ადგილსა და წარენირა სასოებაზე ცხორებისა მისისა. ხოლო კეთილისმყოფელმან ღმერთმან აქცია გონებაზე მისი უცნობელობისაგან ცნობად და უმეცრებისაგან მეცნიერებად, და მოეგო ცნობასა და განიზრახვიდა გულსა თვისა და თქუა: „აპა ესერა, ვხედავ რამეთუ ვხადი ჭმითა მაღლითა არმაზს და ზადენს და არა ვპოვე ლხინებაზ ჩემ ზედა. ან უკუუ ვხადო, რომელსა-იგი ნინო ქადაგებს ჯუარსა და ჯუარ-ცუმულსა და ჰყოფს კურნებათა მრავალთა მისითა სასოებითა... მეყსეულად ჭმა-ყო და თქუა „ღმერთო წინოვს, განმინათლე ბნელი ესე და მიჩრენე საყოფელი ჩემი, და ალვიარო სახელი შენი, და აღვმართო ძელი ჯუარისა შენისა და თაყუანის-ვსცე მას, და ალვიშენო სახლი სახლად შენდა და სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ წინოვსა და სჯულსა ზედა ჰრომთასა“ [„მოქცევაზ ქართლისაზ“ შ. 1963: 342]. ავტორი აგრძელებს მირიანის სულიერი მდგომარების შესახებ საუბარს: „მაშინ გარდამოვიდა მეფე ცხენისაგან და დავარდა პირდაქცევით ქუეყანასა ზედა სულთქმით და ტირილით. და აღდგა და განიპყრნა წელნი აღმოსავლეთით და თქუა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელი ნინო ქადაგებს, და საქებელ სახელი შენი ყოვლისაგან დაბადებულისა ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. შენ მიწენ ჭირისაგან და სახელსდებითა შენითა მსწრაფლ განმინათლე ბნელი ჩემი. აპა ესერა მიცნობიეს, რამეთუ გინდა ჭინა ჩემი და მიახლებაზ ჩემი შენ-



## თამარ ავეზიანი

და, და ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისა შენისა, რომლითა იდიდებოდის სახელი წმიდაზ შენი და იხსნებოდის საქმე ესე სასწაულთა ამათ უკუნისამდე“ [„მოქცევაზ ქართლისაზ“ შ. 1963: 342].

შედარებისათვის გვინდა დავიომონთ არსენ ბერისეულ რედაქციაში ასახული მირიანის ფერისცვალება: „...მცირედნი რაღ დღენი წარწდეს, თკთ თავადი მეფე განვიდა ნადირობად დღეთა ზაფხულისათა მუხრანით კერძო და მოვლო სანახები იგი. მიერ აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა, რამთა მოიხილოს კასპი და უფლის-ციხე. მაშინ

განგებითა ზეგარდამოთა კაცთმოყუარისა მეფისაგან პავლესებრ მოინადირა და მეყსეულად ბნელითა შეპყრობილ იქმნა და დაცემულ და ვერ შემძლებელ სლვად, რამეთუ თანა-მონადირენი იგი მისნი მცხინვარესა მას ნათელსა ჰევდვიდეს ჩუეულებისაგებრ და ვიდოდეს, ხოლო მეფე დაშთომილ იქმნა, შეპყრობილი საკურველითა სიბრძისათა, და ზარტებილ იქმნა და წარინირა სასოებაზ ცხორებისა. ხოლო ღმერთმან წყალობის-მოყუარემან ცვალა გონებაზ მისი უმეცრებისაგან მეცნიერებად. განიზრახვიდა თვალი და იტყოდა: აპა ესერა ვხადე არმაზს და ზადენს და არა ვპოვე ლხინება. ან შეუვრდე ჯუარცუმულსა მას, რომელსა ქადაგებს უცხო იგი დედაკაცი და ჰყოფს სახელითა მისითა მრავალთა კურნებათა. მეყსეულად სიბრძელე გონებისაგან განაგდო, ჭმა-ყო და თქუა: ღმერთო წინოვს, რომელი ხარ ჭეშმარიტი ღმერთი, განმინათლე ბნელი ესე ჩემ ზედა მოხუეული და გამომიბრწყინვე ნათელი, რათა ალვიარო სახელი წმიდაზ შენი და გადიდებდე შენ. მეყსეულად აღდგა და ალიპრნა ჭელნი აღმოსავალით, ღალად-ყო და თქუა: ჭეშმარიტად შენ ხარ ღმერთი ჭეშმარიტი, შენ ხარ ღმერთი ღმერთთაზ და უფალი უფლებათაო, რომელმან შეჟექმენ ცანი და ქუეყანა, შენ ალგიარებ და შენ თაყუანის-გცემ, რომელმან მიწენ ჭირისა ამისგან, და მრნამს, რამეთუ გინდა ჭინა ჩემი, ალვიარებ სახელსა შენსა წმიდასა და თაყუანის-ვსცემ პატიოსანსა ჯუარსა შენსა“ [ძეგლები 1971: 28,29].

დამომზებული პასაჟებიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ ადამიანის ფერისცვალებას, მის გარდაქმნას, ხელს უწყობს სინაულის გრძნობა, რომელსაც წმინდა მამები მეორე ნათლისღებას უწოდებენ. მირიანი ითხოვს წინოს ღმერთისაგან – „განმინათლე ბნელი“, რაც სულიერი ნათლის შემოსვლას გულისხმობს მის არსებაში. აქვე გვინდა დავიმოწმოთ იოანე სინელის სიტყვები, რომ სინაულია ნათლისღების განმაახლებელი. ამდენად, მირიანი ნათლისეკენ მიმავალი ადამიანია, რაც, ჩვენი აზრით, საკუთრივ, სინაულსაც მოიაზრებს. როგორც ვხედავთ, შატბერდისეულ ვარიანტში კარ-





გად ჩანს მირიანის შინაგანი მდგომარეობა, კერძოდ, „დავარდნა პირდაქცევით“, „განიპყრინა ხელი“. ამ ქმედებით მკითხველი ხვდება, რომ მირიანს გაცნობიერებული აქვს საკუთარი ცოდვები, რადგან მის ქმედებაში იკვეთება უსასოობა და შეში ჩადენილი ცოდვების გამო.

აქვე გვინდა დავამატოთ, რომ ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ „დავარდნა“, არამედ მირიან მეფის მიერ წარმოთქმული ლოცვა და დაღადისი უფლის მიმართ. მირიანი სასოწარკვეთას არ მიეცა, მსგავსად მანასისა, რომელმაც მთელი ცხოვრება ურჯულოებაში გაატარა და ასურელებთან ტყვედ ჩავარდნილმა ნაცვლად სასოწარკვეთისა, ჭეშმარიტი ღმერთი ინამა და ცოდვათა მიტევება მთელი გულით დაღადყო. მეფის სულიერ მდგომარეობას ეფრემ ასური წარმოაჩენს და ამბობს, მიუხედავად მრავალი უმძიმესი ცოდვებისა, მანასემ ცხოვრების ბოლო წლები სინანულში გაატარა.

ამდენად, არსენ ბერისეულ რედაქციაში ნახსენები მირიანის ღალადი უფლის მიმართ იმის მომასწავებელია, რომ წყვდიადით მოცული მირიანის გონიერებას ნათელი მოეფინა და ხელმეორებ დაიბადა. ცრემლით ლოცვა და ვედრება უფლის მიმართ დამახასიათებელია ქართული აგიოგრაფიისათვის, „რამეთუ არარა მიგუახლებს ლმერთისა უფროოს ცრემლი ლმობიერთასა“ [ოქროპირი 1955: 132]. მთელი სიმძაფრე მირიანის განცდებისა და მისი შინაგანი მდგომარეობისა გამოხატულია ერთი მოძრაობით „დავარდნა პირდაქცევით ქუეყანასა ზედა სულთქმით და ტიროდა“. როგორც იოანე ოქროპირი მოგვიწოდებს: „უკუეთუ ცოდვაა გიქმნიეს და პრალითა შესუარულ ხართ, განირცხით იგი სინანულითა“ [ოქროპირი 1955: 99]. სწორედ საკუთარი ბრალეულობის მძაფრ შეგრძნებას მიჰყავს მირიანი სინანულამდე. იგი „ცოდვისა ოდენ მოქმედს“ უწოდებს საკუთარ თავს და ეს სიტყვები სწორედ სინანულის განცდის შედეგად ითქმება, სიბრძლიდან, ბოროტებიდან და უკეთურებიდან სინათლისაკენ სწრაფვის სრული შეგნებითა და მზაობით.

სინანულის გამომხატველ ჟესტთა ამსახეველი პასაუები „შუშანიკის წამებაშიც“ გვხვდება. თხზულებაში დედოფლის ცხოვრების რეალისტური სურათებია ასახული, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს რეალურში იდეალური იხილოს, მძაფრად შეიგრძნოს პერსონაჟის სახის ამაღლებულობა, მისი სულიერი ახოვანება და მარადუამ მღვიმიარება მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად.

წმინდანობა მრავალი ხილული და უხილავი წინააღმდეგობის გადაღახვით მიიღწევა. „მარტვილობაში“ იაკობ ხუცესი დედოფლის პლასტიკის გამომხატველი სცენებით, მისი უესტებისა და მიმოხრის აღწერით (რაც თავისთავად, შუშანიკის სულიერი ძვრების გარეგანი გამოხატულება) ცდილობს გადმოსცეს მისი სინანული და მწუხარება. აგიოგრაფი მთელი სიცხადით წარმოაჩენს დედოფლის ემოციას, როდესაც იგი ვარსენის გამაზდეანებას შეიტყობს:

„ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა...“ [ძეგლები 1963: 12]. ანალოგიური ეპიზოდია გადმოცემული, როდესაც შუშანიკი შვილების გამაზდეანების ამბავს გაიგებს: „მაშინ იწყო თაყუანის-ცემად ღმრთისა მიმართ ტირილითა დიდითა და თავსა თვალსაქუ დამართ სცემდა“ [ძეგლები 1963: 23]. შუშანიკის სულიერი მდგომარეობა და მწუხარება ჩანს შემდეგ ეპიზოდშიც – „და ვითარცა მწუხრისა უამი აღას-რულეს, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმწარითა სავსც და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა“ [ძეგლები 1963: 13]. გრივერ ფარულავა ამ ჟესტის შესახებ ამბობს: „უფრო ადრე და საჯაროდ მან (შუშანიკმა) ქმრის „უბადრუკობა“ და „საწყალობლობა“ გამოიტირა, ახლა კი, საკუთარი თავის წინაშე მარტოდ დარჩენილი, მიწიერი ცხოვრების უკვე დაწყებულ იავარქმნას გლოვობს“ [ფარულავა 1987: 120]. როგორც ვხედავთ, ცრემლს, ტირილსა თუ გოდებას თან ახლავს „თვითგუემა“, „დავარდნა“, რაც სინანულის განცდას უფრო მეტი სიმძაფრითა და ღრამატიზმით წარმოაჩენს. ადამიანის სხეულის მოძრაობა მკითხველისათვის უფრო მეტად თვალსაჩინოს ხდის პერსონაჟის სულში მიმდინარე უდიდეს ძრებს, მის ფსიქოლოგიურ განწყობასა და მდგომარეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ იოანე საბანისძის „აპოთბილელის წამებაში“ სინანულის სათნოების გამომხატველი პასაუები არ გვხვდება, თუმცა, შესაძლებელია, აბოს ქმედება, რომელიც მის ნათლისძლებას უკავშირდება, სინანულის გამოვლენის გამოხატულებად ჩავთვალით.

იოანე წათლისძმცემელი წათლისძლების წინ აღსარებასა და ცოდვათა დათრგუნვას სთხოვდა ხალხს მათივე სულის ცხონებისათვის, რაც სინანულის გრძნობის გარეშე შეუძლებელია. აქვე გვინდა დავიმორწმოთ იოანე სინელის სიტყვები, რომ ნათლისძლებით ადამიანი პირველქმნილი ცოდვებისაგან იწმინდება და ღმერთს რომ ეს საიდუმლო ჩვენთვის არ მოენიჭებინა, ძნელად თუ ცხონდებოდა ვინმე (იოანე სინელი 2014: 105).

აბო თბილელი თეოზისის გზაზე შემდგარი წმინდანია. ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი არსებითი სიახლე ისაა, რომ მან დააფიქრა ადამიანი საკუთარ შინაგან სამყაროზე და წინ წამოსინია თავისუფლება. სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი ასპექტები განსაზღვრავს აბოს ქმედებას. სულიერი ძიების პროცესში მყოფი აბო მხოლოდ ქრისტიანული მოძღვრების გაცნობიერების შემდეგ გადადგამს გადამწყევთ წაბიჯს და მოინათლება – „ისწრაფა მან მიახლებად ქრისტიანი და ნათელ-ილო... უფროხს-და სავსც მაღლითა ქრისტიანითა ნეტარი პაბო შეეყო მარხვასა და ლოცვასა დაუბრკოლებელად“ [ძეგლები 1963: 58]. ამით იმის თქმა გვსურს, რომ აბო თბილელის ნათლისძლება, რასაც თან სდევს მარხალოცვა, ეჭვი არაა მონანიების გარეშე აღეს-





რულებინა. ვინაიდან იოანე ნათლისმცემელმა ნა-თელს-სცა წყლითა სინანულად, შესაბამისად, აბოს ნათლისლებაც სინანულის მომასნავებელია.

სინანულის გამომხატველ ქმედებას ვხედავთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, კერძოდ, ქრისტეფორესა და თეოდორეს მეორედ გაპარვის ეპიზოდში. ტექსტიდან როგორც ჩანს, მათ ამოძრავებდათ სულიერი მოძღვრის ბაძის ნადილი-მონასტრების აღმშენებლობა. ნეტარ გრიგოლს უფლისაგან ეუწყა, რომ არ დაეპრკოლებინა ისინი, არამედ „თანა-მდგომ ექმნეს კეთილსა მას საქმესა“ [ძეგლები 1963: 279]. ნეტარი გრიგოლის მხილების შემდეგ ქრისტეფორე და თეოდორე საკუთარი ურჩობისათვის „შეუვრდეს“ მოძღვარს. ამდენად, მონაფეების შეურდომა სინანულის გამომხატველი უქსტია საკუთარი ურჩობისა და თავნებობისათვის.

ქრისტეფორესა და თეოდორეს ქმედების მსგავსი სურათი იხილვება „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ დიაკონთან დაქავშირებით, რომელიც საკუთარი შესამოსლის, კუართის გაცემაზე უარს აცხადებს. მამა ექვთიმე მას კიდევ ერთხელ შეასენებს მონაგებთა დატვების მნიშვნელობას და კუართის გამო სულის წარწყმედას მონაზონთათვის შეუფერებელ საქმედ რაცხს.

მხილების შემდეგ ექვთიმემ მეყსეულად უპრძნა „მოღება ცეცხლისა და თქითა ხელითა შთავაგ-დო კუართი იგი ცეცხლსა, და ესრეთ დაინუა. ხოლო ძმა იგი შეუვრდა წმიდათა ფერხთა მისთა და შენდობა ითხოვა“ [ძეგლები 1967: 78]. როგორც ვხედავთ, მთავარდიაკონი საკუთარ ურჩობას ინანიებს ამ უქსტით („შეუვრდა“), რადგან პატრისტიკულ ლიტერატურაში არაერთგზისაა ალნიშნული, რომ მონაზონების მახასიათებელ თვისებათაგან ერთ-ერთი არსებითია მორჩილება-თავმდაბლობა და ის, რომ „სული თვისი დადვა მეგობართათვს“. ამდენად, საკუთარი ქმედებით მთავარდიაკონმა სინანული გამოხატა ნეტარი და ლირსი მამის, ექვთიმეს, წინაშე, რაც მიგვანიშნებს, რომ მძიმეა ბერ-მონაზონთა ცხოვრება და, განსაკუთრებით, მძიმეა ჯვარი წინამდღვრისა. მას ყოველი წვრილმანის გააზრებით, სინანულის გრძნობის დაბადებით მიჰყავს თავისი სულიერი ძმები სასუფევლისაკენ სავალ „ინროგზაზე“.

მოქმედებასა და ლალადისში იხატება გმირის სულის მეტყველება. ხელთა აღდყრობანი არაერთ-გზის გვხვდება აგიოგრაფიის გმირების ცხოვრებათა აღწერისას. გმირის ლალადისი და მიმართვა მისი სულიერი მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი სიტყვიერი გამოხატულებაა მოწყალე ლვთის მიმართ, მხოლოდ მას ძალუს ბოროტთა საპყრობილისაგან აღმოყვანა. ამის მაგალითია უცნობი ავტორის „ეკსტატი მცხეთელის წამება“.

„მარტვილობაში“ ჩართულია „თარგუმი“, რომელსაც სამოელ არქიდიაკონი უყვება ექსტატის, რათა მაზდეანი ჭაბუკი ქრისტეს რჯულს აზიაროს და მისი ჭეშმარიტება შეაცნობინოს. სახარებისეული

ეპიზოდიდან იგი უყვება ეშმაკით შეპრობილი კაცის ამბავს: „მაშინ უბრძანა ქრისტემან ერსა მას ხმელით ქუეყანით მოსვლა. ხოლო ქრისტეც და მოწაფენი მისნი განვიდოდეს ზღუასა მას, ვითარცა წმელსა, და ფერწენი მათნი არა დაიღტვნეს. და ვითარცა განჭდეს წმელად, და მოემთხვა კაცი ერთი, რომლისა თანა იყო ლეგენი ეშმაკი. ღაღატ-ყო და თქუა: ქრისტე, შემენიე მე, რამეთუ ბოროტად ვიგუემები, ხოლო ქრისტემან შეპრისხნა ლეგენისა მას ეშმაკა და განვიდა მისგან და ადიდებდა ღმერთსა“ [ძეგლები 1963: 40]. ღაღადით მიმთხვევა, ჩვენი აზრით, სინანულის გამომხატველი უქსტია. როდესაც ცოდვებისაგან დამძიმებულ ადამიანს დაეუფლება ეშმაკი, მას მხოლოდ მოწყალე ღმერთის შემწეობა იხსნის დალუპვისაგან. არქიდიაკონის მიერ მონაზონობი ეს პასაჟი, რომელიც ბიბლიურ მოძღვრებას ეფუძნება, მოწოდებაა მორწმუნებისათვის, რომელთაც სინანულის გრძნობა უნდა გამოავლინონ, რათა თავი იხსნან გეენისაგან.

სინანულის გამომხატველ უქსტს ვხედავთ „დავით და ტირიჭანის მარტვილობაშიც“, კერძოდ, თევდოსის მიერ ნერსე კათალიკოსის წინაშე ცოდვათა აღიარებას: „ხოლო თევდოსი შეუვრდა ფერწეთა ნერსე კათალიკოზისათა და აღუვარნა ყოველნი იგი შეცოდებანი, რომელი ქმნა და მოილო ქრისტულ-მიერი ბეჭედი. და პრწმენა ყოვლითა გულითა თქითა უფალი ჩუენი ისუ ქრისტე და ყოველნი მოწამენი და წმიდანი მისნი“ [ძეგლები 1963: 191]. როგორც ვხედავთ, თევდოსიმ სასტიკი ცოდვა ჩაიდინა, თუმცა, თაგინებ მას დიდსულოვნად მიუტევა. ეს ეპიზოდი გამოირჩევა თავისი დრამატიზმითა და ფსიქოლოგიზმით. აქ კარგად ჩანს თევდოსის სულიერი მდგომარეობა, სინანულის გამომხატველ სიტყვებსა და ცრემლს თან ახლავს უქსტიც – „შეუვრდა ფერწეთა“, რაც უფრო მეტად ამძაფრებს და ხილულს ხდის პერსონაჟის შინაგან ძვრებსა და, საბოლოოდ, მის ფერისცვალებას.

ადამიანის სულის მდგომარებისა და მისი გარდაქმნის წარმომაჩენებისა ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელშიც წმინდა სერაპიონისა და „კაცი ვინმე ზუავისა“ და შურითა ალსავესეს დიალოგს მოჰყვება ამ უკანასკნელის სინანული:

„ვითარცა მდგომარე იყვნეს ეკლესიას, მყის წინაშე ყოველთასა დაეცა კაცი იგი უწმოდ მდებარე და გარდამოაგდო ენად განსივებული, საშინელთა პეროოდა და გორვიდა. მაშინ განკურვებულმან შეიპყრა ყოველნი იგი დასნი მგალობელთანი, ხოლო რომელთა ასმიოდა კაცისა მისგან გმირება იგი წმიდანისათვს, ურთიერთას იტყოდეს: „ნუუკუ მის მიერ მოინია მსწრაფლი ესე მხილება. ხოლო კაცი იგი მოეგო გორებასა და გულისუმა-ყო ცომილებად თვისი და დალაცათუ ენითა ვერ მეტყუელებდა, არამედ ეგრეთცა შეუვრდა მწყობრსა მას მამათასა და წინაშე მათსა ალიარა ცომილება თვისი. ხოლო ყოველნი იგი შეუვრდეს წმიდასა მას, რათა მიუ-





ტეოს ცოდვანი იგი“ [ძეგლები 1963: 337]. აშკარაა, ეპიზოდი გვიჩვენებს ეშმაკით შეპყრობილი კაცის ფერისცვალებასა და სინაწყლის გრძნობის გამოვლენას უსიტყვოდ, უესტით. სერაპიონ ზარზმელი, როგორც შეუამავალი მინასა და ზეცას შორის, უზენაესს შესთხოვს ცდომილებაში ჩავარდნილი ყრმის განკურნებას. ეშმაკით შეპყრობილი ყრმა მხოლოდ სხეულის მოძრაობით („შეუვრდა წმიდასა მას“) მიანიშნებს მას საკუთარ ვრნებათაგან დახსნის სურვილს და სწორედ ამ უესტით გამოხატავს თავისი ცოდვიანობით ალირულ სინაწყლის გრძნობას.

საკუთარ ცდომილებათა გამო „შევრდომა“ და სინაწყლი ჩანს „შიო მღვიმელის ცხოვრებაშიც“. შიო მღვიმელმა სიცოცხლე განმარტოებულად გაატარა გამოქვაბულში. წმინდა მამასთან მისულმა მეფემ რა დანახას „ხატი მისი“, „მყის დაგდო ქუეყნად შარავანდი მეფობისად და განიწნა სარტყელი და მიისწრაფა და დავარდა ფერწთა თანა ბერისათა“ [ძეგლები 1971: 142]. მეფის სინაწყლის უესტსა და თავმდაბლობას წმინდა მამის წინაშე ამ უკანასკნელის მხრიდან მოჰყვა შენდობა და ცოდვათა მიტევება. მეფეს მიპატაქს დანარჩენმა მთავრებმაც და „ყოველნი მთავარნი შეუვრდეს ფერწთა მისთა და მიიღეს კურთხევა მისმიერი“ [ძეგლები 1971: 142].

ჩადენილი დანაშაულის გამომხატვა უესტს – „შევრდომას“ – ვხედავთ მაკარი მესხის „პეტრე ქართველის ცხოვრებაშიც“. მას შემდეგ, რაც ქალაქის მთავარი საპყრობილები ჩასვამს წმინდა მამებს, საშინელი რისხეა დაატყდება ქალაქს. ამას მოჰყვება და ღვთისმოშიში მთავრის მიერ ტყვეთა გათავისუფლება: „აღდგა მთავარი ფრიად შეშინებული და წარვიდა საპყრობილედ და შეუვრდა ფერწთა მათდა და ითხოვდა შენდობასა“ [ძეგლები 1971: 226]. მთავარმა სიტყვითა და უესტით გამოხატა საკუთარი დანაშაული ღირსი და ნეტარი მამის წინაშე.

სინაწყლის სათნოების გამოვლენა ჩანს გიორგი მთაწმიდელის „იოანესა და ეფთვემს ცხოვრებაში“, კერძოდ, „პურია ვინმე შჯულის-მეცნიერის“ ქრისტეს რჯულზე მოქცევის ეპიზოდში, როდესაც იგი მოჰყვა კათალიკოსისა და ექვთიმეს წინაშე ქრისტიანთა გმობას. მისი სიტყვებით განრისხებულმა ექვთიმე უთხრა: „დაიყავნ პირი შენი, პილნო პურიაო. და მასვე უამსა უტყუ იქმნა, და გარე მიექცა პირი მისი“ [ძეგლები 1971: 67]. ექვთიმეს ამ სასწაულს მოჰყვა პურიათა ვნებათა დათრგუნვა და სინაწყლი თავიანთი გულზვაობისა და „უბინო სარწმუნოების“ გმობის გამო: „იყვნეს მუნ მდგომარე სხუანიცა პურიანი. და შეუვრდეს ფერწთა მამისა ეფთვემესა, რათა შეუნდოს... მასვე უამსა მოიქცა“


პირი მისი (პურიასი) და სიტყუად იწყო. და მეყსეულად შეუვრდა ფერწთა მისთა და ქრისტეანე იქმნა და დიდად მორწმუნედ კაცად გამოჩნდა“ [ძეგლები 1971: 67].

როგორც ვხედავთ, ამ უესტის გარდა არაფერია ალნიშნული ნანარმოებში: არც პატიების თხოვნა, არც ცრემლი. მხოლოდ „შევრდომა ფერწთა მისთა“ გვამცნობს პურიათა სულიერ მდგომარეობას. ისინი უსიტყვოდ, უესტით ინარიებენ საკუთარ შეცოდებას.

ამრიგად, დამოწმებული მაგალითებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის ჩვენებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის სხეულის ენას. აგიოგრაფიული გმირის მხატვრული სახის წარმოსაჩენად ერთ-ერთი მთავარი სწორედ მოქმედება-მოძრაობა, პლასტიკა, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს ღრმად ჩასწვდეს მთავარი გმირისა თუ ანტიგმირის განცდებს და სინაწყლის გრძნობა დაინახოს მათს სახეში. ვხედავთ, რომ აგიოგრაფები სინაწყლის წამოსაჩენად ხშირად მიმართავენ უესტიკულაციას, როგორიცაა „დავარდა“, „შეუვრდა“, „თავსა იცემდა“. ალნიშნულ უესტებს ყოველთვის მოსდევს საკუთარ ცოდვათა ალიარება.

„ცხოვრებათა“ და „წამებათა“ უანრის წმინდანები მუდამ ცრემლით, მარხვითა და საკუთარი თავის მხილებით ცდილობენ, მოპოვონ ღვთისაგან შენდობა და ღირსნი გახდნენ მარადოული ცხოვრებისა. რაც შეეხება მეორე რანგის პერსონაჟებსა თუ ანტიგმირებს, მათთან ვხედავთ სინაწყლის სათნოებას არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ სხეულის მოძრაობითაც, რასაც აგიოგრაფიულ ძეგლებში მრავლისმეტყველი ფუნქცია აკისრია. აგიოგრაფს ძალუძს ადამიანი მოძრაობათა ფონზე დახატოს, რასაც ვხედავთ მეფე მირიანისა და თევდოსის სახეთა შექმნისას. სინაწყლს გულწრფელობა სჭირდება, რადგან განკითხვის დღეს ყველაფერი გამოაშკარავდება. გულწრფელობა ახასიათებთ ქრისტეფორესა და თევდორეს, რასაც ისინი სიტყვით კი არა, ქმედებით („შეუვრდეს“) გამოხატავენ.

ამრიგად, აგიოგრაფიულ ნანარმოებში სინაწყლის სათნოების გამოვლენის ერთ-ერთი თავისებურება უესტიკულაცია, ქმედება, რითაც იკვეთება ამ თუ იმ პერსონაჟის სულის მოძრაობა. ვფიქრობთ, უესტით მეტყველება მკითხველისა თუ მსმენლის ფენომენზეა ორიენტირებული, რათა არა მხოლოდ სიტყვიერი გამოხატვით, არამედ პლასტიკით უფრო თვალსაჩინო და ცხადი გახდეს ქრისტეს მადლს ნაზიარები გმირის შინაგან სამყაროში მიმდინარე ძვრები.



## ქიოცია-პუბლიცისტია

### ნანა რჩეულიშვილი

თავისუფლად მართვა და განვითარება უკავშირის მიზანი

მაგრამ, პოლიტიკური რომანტიზმი მხოლოდ მე-19 საუკუნის დასახურისში არ გაჩენილა ქართულ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ აზროვნებში. ამას ნინ უძლოდა მნიშვნელოვანი ლიტერატურული პროექტი, განპირობებული თუნდაზე პოლიტიკური ამბიციებით. კართული სამეფო ტახტის მემკვიდრეობა სევდიან ჰერიტაჟი მომართულ პოეტურ სტრიქონებს. ამიტომაც ვიცყვით, რომ ქართულ მწერლობაში პოლიტიკური რომანტიზმი ჰურ კიფევ მაფონიშვილთა პოეზიაში ჩაისახა, — მარიამ, ქეთევან, თევლე, მირიან და ფარნაზი მაფონიშვილების პოეტურ წევებში, საიდანაც აშკარად გაიყლერა მოთქმამ ფაკარგულ ეროვნულ თავისუფლებისა და ქართული სახელმწიფო რესტორანის დამხობაზე.

### 6. ოჩეულიშვილი

71



### აკოლიტიკური რომანტიზმი

„აპოლიტიკური“ სტატიას ვუწოდეთ კიტა აპაშიძის ცნობილი პუბლიკაციის „პოლიტიკური რომანტიზმის“ გავლენით, რომელშიც ზუსტად განისაზღვრა მე-19 საუკუნის გარიუაზე, ქართულ მწერლობაში აღმოცენებული მნიშვნელოვანი ლიტერატურული მიმდინარეობის პოლიტიკური სარჩეულის არსი. „პოლიტიკური რომანტიზმი“ 1905 წელს დაიბეჭდა უურნალ „მოამბის“ იანვრის ნომერში. „ანტიეროვნული ლაშქრობის წინააღმდეგ მიმართული და ქართული ეროვნული თვითშეგნების გამომაფხიზღებელი“ (გ. აბაშიძე, გვ. 370) ხსენებული ნაშრომი სამართლიანად ითვლება მნიშვნელოვან დოკუმენტად ჩვენში ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის მთელ მანძილზე. ხოლო ლიტერატურის ისტორიაში, პირველად, მან დაუდო საზღვარი ნამდვილ რომანტიკულ აზროვნებას, უკიდურესად პოეტური მგრძნობელობით გაჯერებულსა და მხატვრული სახეებით შეფერილს. მაგრამ, პოლიტიკური რომანტიზმი მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისში არ გაჩენილა ქართულ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ აზროვნებაში. ამას ნინ უძლოდა მნიშვნელოვანი ლიტერატურული პროცესი, განპირობებული თუნდაც პოლიტიკური ამბიციებით. ვგულისხმობთ, ქართული სამეფო ტახტის მემკვიდრეთა სევდიან ჰანგზე მომართულ პოეტურ სტრიქონებს. ამიტომაც ვიტყვით, რომ ქართულ მწერლობაში „პოლიტიკური რომანტიზმი“ ჯერ კიდევ ბატონიშვილთა პოეზიაში ჩაისახა, — მარიამ, ქეთევან, თევლე, მირიან და ფარნაზი ბატონიშვილების პოეტურ ცდებში, საიდანაც აშკარად გაიყლერა მოთქმამ დაკარგულ ეროვნულ თავისუფლებასა და ქართული სახელმწიფოებრივის დამხობაზე.

„იგრგვინვა ცამან ჩვენზედა რისხვითა

საშინელითა,

დაპუარნა ჩრდილოთ ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა,  
ნარპედეს წალკოტნი მაღალნი, ჰო საცთურითა

მნელითა,  
ვა, დიდებული პალატი იქმნა მტერთ  
საცინელითა...“  
(მარიამ ბაგრატიონი)

ნარსულის იდეალურ ფერებში ნარმოსახვითა და სოფლის სამდურავით სავსე ბატონიშვილთა პოეტური აზროვნება (ამაზე შორს ისინი არ ნასულან) უტყუარი ფაქტია იმისა, რომ რომანტიზმის დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში საფუძვლად დაედო ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება. მაგრამ პოლიტიკური ამბიციების გარდა, ადამიანის ცნობიერებაში გაღვიძებულმა ღრმა ინტიმურმა ნაკადმა წინ ნამოსწია და უფრო თვალსაჩინო გახადა პიროვნული „მეს“ ფილოსოფიური სიღრმე და მისი ახალი მოთხოვნები პიროვნების თავისუფლების, მისი გამორჩეულობის შესახებ. ამიტომაც, „აპოლიტიკურს“ ვუწოდებთ რომანტიზმის ნაკადს, უკიდურესი მგრძნობელობითა და „მე“-ს ღრმად ინტიმური განცდებით გაჯერებულს.

ცნობილია, რომ გერმანული რომანტიზმის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ფილოსოფისმა ფიხტემ, რომლის ნაშრომშიც „მეცნიერების მცოდნება“, დასმული იყო პრობლემა — „აპოლიტიკის, უნივერსუმის წვდომის გზის“ ძიება. ფიხტეს სუბიექტური იდეალიზმი, მისი „მეს“ ფილოსოფია, საშუალებას აძლევდა რომანტიკოსებს „პარმონია ექცენტრი არა სინამდვილეში, არამედ უნივერსალურსა და ზებუნებრივში“ (ხავთასი, 1985, 91-92). სამყაროს აღქმის ამგვარ მეთოდს პირდაპირ ეხმაურება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური აზროვნების ფილოსოფია, იმის შესახებ, „რომე არის სხვა სოფელი“, რომელიც გზას უხსნის ადამიანს კოსმოსში მეტის შესაცნობად. პირების პირადი წერილები, რომლებიც „ალსავსეა სევდითა და დაღლილობით ცხოვრების ბობოქარი დინების გამო“, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ მის სულიერ შფოთვასა და მიღმიერ სამყაროსაკენ სწრაფვაზე. „ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომ-





ელობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული"-ო, ასე წერდა ბიძას, ზაქარია ორბელიანს. (ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ1, 2011, 152). მისი რომანტიკული აზროვნება ჭაბუკობიდანვე გასცდა ეროვნული თვითშემეცნების საზღვრებს და მსოფლიო გონის ერთ-ერთ ნიშანს ვეტად იქცა.

„ზენართ სამყოფს“ ელტვის ბარათაშვილის სული მის ლირიკულ ლექსებში:

„მე შენსა მჭვრეტელს მავინდების საწუთროება, გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძებს სადგურს, ზენართ სამყოფს, რომ დაშოთოს აქ ამაოება...“ („შემოლამება მთანმინდაზე“)

ევროპული რომანტიზმისათვის დამახასიათებელ განცდათა შორს მიმავალი დისკურსები თანდათანობით იყიდებდა ფეხს ახლადგაჩენილ ქართულ რომანტიზმშიც. თუ ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ერთი შეხედვით უბედინერესმა კაცმა, დაგმო ეს სოფელი, როგორც „ბოროტებისა და სიცრუის ჭური“, ბარათაშვილმა, რომანტიკული აზროვნების მაღალმა მეტრმა, მოუსმინარა „ხმა იდუმალს“, დაამკვიდრა პიროვნების მიერ ამსოფლად „ნილობის მოთხოვნა“, პირველი აუმხედრდა „ბედ-მდევარს“ და დაინწყო აღქმული ქვეყნის ძიება ხილული სამყაროს მიღმა. ასეთი განცდები ნაწილობრივ აკმაყოფილებდა ქართული არისტოკრატის ისეთი მაღალი ფეხის ნარმობადგენლების შინაგან მოთხოვნებს, როგორებიც ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი იყვნენ. თუმცა, მათი ცხოვრება-შემოქმედება მაინც პოლიტიკურ ჩარჩოებზე იყო მორგებული, რაც ერთგვარად აძნელებდა და ხშირად, ახლაც ართულებს მათი პიროვნების ერთიანი რაკურსით ნარმოსახვას. ჭავჭავაძე და ორბელიანი იმდენად იყვნენ ჩართული რუსთ ხელმიწის სამსახურში, რომ ნებსით თუ უნებლიერ, ოჯახურ გარემოს მოწყვეტილებმა, მშობელ დედებსაც კი ვერ მიაყარეს თითო პეშვი მინა. მოგვიანებით, მათი ცხოვრებისა და შემოქმედებითი აზროვნების პლატფორმა შემრიგებული გახდა რუსული პოლიტიკის მიმართ, რამაც, ერთგვარად, სამუალებაც კი მისცა ბარათაშვილის პოლიტიკურსა თუ აპოლიტიკურ თვალსაზრისებს, ყოფილიყო უფრო „სამშვიდობო“, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ სტრიქონებს:

„სადაც აქამდის ხმლით და ძალით ფლობდა ქართველი.“

მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს ან ხელი.“ ასევე – „უამ-ვითარებით გარდახვეწილ შენი შვილთ მი და მო.

მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო...“ („საფლავი მეფის ირაკლიისა“)

ასეთი იყო ბარათაშვილის პოლიტიკური შეფასებანი იმ დროისათვის, როდესაც წერდა ლექსს „საფლავი ივერიისა“ (ზემოხსენებული ლექსის ძველი სათაური). თუმცა, ისიც შესაძლებელია, ავტორი ამ „საფლავში“ საქართველოს თავისუფლების

მზესაც მოიაზრებდა.

ქართული პოლიტიკური რომანტიზმი, თავისი ეროვნული სარჩულით, საუკუნის დასაწყისშივე მწარედ დამარცხდა. თუმცა, კიტა აპაშიძე 1832 წლის ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულებას უწოდებს „შესანიშნავ მომენტს მე-19 საუკუნის ჩვენი ისტორიისას“ (ლიტერატურული ძიებანი, 1998, 391), მაინც თვლის, რომ ეს დამარცხება ქართული რომანტიკული პოეზიის აღმავლობის დასაწყისი იყო. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, „რომანტიკული პოლიტიკური ამბავი“ (იქვე, 413) ჩქარა იქნა მივიწყებული და ისტორიის კუთვნილებად ნაქცევ ტკივილიან სარეცელზე იშვა ნამდვილი რომანტიკული პოეზია. ამ დროიდან, ქართული რომანტიზმი თავისი ფილოსოფიურ-ესთეტიკური მრნამსითა და შინაარსით მსოფლიო ლიტერატურული განვითარების ერთიან მაგისტრალს შეუერთდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი ჭაბუკური გატაცებების შემდეგ თითქოს შეურიგდნენ რუსული მმართველობის მკაცრ მოთხოვნებს და უარი არ თქვეს პიროვნულ სამხედრო კარიერაზეც. მაღალი არისტოკრატიკული ფენის წარმომადგენელთა მხრიდან ამგვარ მიდგომას გარკვეული გავლენა ჰქონდა მომავალი თაობის მისწრაფებებზე. ვეულასხმობთ, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი მეგობრების დაუკოებელ სწრაფვას სამხედრო სამსახურისაკენ. საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძემ მაღალი შეფასება მისცა დიდუნებოვანი წინაპრის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურულ მექვიდრეობას, დაინახა რა მის პოეზიაში ქართული ხასიათი, ღრმა მგრძნობელობა და დიდი პატრიოტიზმი, მაშინ, როცა კიტა აპაშიძეს გაუჭირდა მისი მიგნება. უკვე მოგვიანებით კი, ვახტანგ კოტეტიშვილმა ცხადყო, თუ რაოდენი მამულიშვილური გრძნობა ჩაუქსოვია პოეტს თავის ლირიკაში. „ნაღვლიანი პოეტი, – წერდა ლიტერატურისმცოდნე, – აწმყოთ გულმოკლული, სოფლის არარაობით სასონარევეთილი და თითქოს ფილოსოფიურად შერიგებულიც, მაინც საჭიროებს ერთგვარ სასიცოცხლო ელექსირს და როგორც წამდვილი რომანტიკიოსი, წარსულისაკენ იცქირება და ოცნებას შეჰდლადებს“ (კოტეტიშვილი, 1959, 62.).

„ნუ მიტევებ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი, მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი“.

ციტატაც კოტეტიშვილს დავესესხეთ, რაკილა მასზე იყო მორგებული პოეტის სულიერი განწყობის საოცარი ანალიზი. ეს „ძველნი ხილვანი“, „ძველნი ცრემლნი“ და „ძველნი ოხვრანი“ მიგვითოთებენ პოეტის უცვალებელ განწყობაზე, მის ერთგულებაზე სამშობლოს გმირული წარსულის მიმართ. მის ლირიკაში ისმის ყველა ის თემატური პანგი, რომელიც ევროპული რომანტიზმისათვის ახლობელი იყო. უპირველესად დავასახელებთ მგრძნობელობას, რომელიც ჭავჭავაძის პოეზიის



მიუცილებელი საგანია. აი, რას ამ-ბობს პოეტი:

„მგრძნობელობა სჯობს ყოვლთ  
თვისებათ ცით მოვლენილთა,

შვენებასაც და გონებასაც ის  
ასულდებულება!“

ცნობილმა ლიტერატურისმ-  
ცოდნემ, უარყო რა აზრი ჭავჭავა-  
ძის პოეზიაზე აღმოსავლური, კერ-  
ძოდ სპარსული პოეზიის გავლენის  
შესახებ, უპირატესობა ილია ჭავ-  
ჭავაძისულ შეფასებას მიანიჭა და  
საკითხიც დასვა ამ შეფასების უფრო  
ფართო სპექტრით წარმოჩენის საჭ-  
იროებაზე.

გრიგოლ ორბელიანის რომანტი-  
კული აზროვნება, აწმყოს არმილებისას, წარსულის  
გაიდეალებასა და მასში ისტორიული გმირების  
ძიებით გამოიჩინა. ის იყო კაცი, რომელიც სისხ-  
ლიანი მახვილით ხელში ბრძოლის ველზეც რომან-  
ტიკას ეძებდა. მისი პირადი წერილები, რომლის  
ადრესატებიც მაღალი სამხედრო პირები იყვნენ,  
გამოიჩინა მგრძნობიარე განწყობებით ბუნების  
სურათების ხილვისას. „ისეთს მწვერვალებზედ ვი-  
ყავით, ენა რომ მცოდნოდა, გავიგებდი საუბარს  
ცის ბინადართა. დასანანია, რომ ირგვლივ ნისლი  
სუფევდა, თორემ მე აქედან თქვენც გიხილავდით...  
ნისლი, ვით ზღვა, ხან ღელავს ჩვენს ფერხთაქვეშ,  
ხანაც მყისიერ ქრება და ჩვენს ქვემოთ გვიხსნის  
ჯოჯონეთის უფსკრულსა. ხოლო მოპირდაპირე  
მხარეს – სამურ მწვრივად გადაჭიმულა რიგი  
მაღალ მთათა თუ მწვერვალთა. აი, ერთ-ერთი იმ  
ცვალებად დეკორაციათაგან, როს მთათა მწვერ-  
ვალნი და ეს საშინელი ხევი გაშიშვლდნენ.“ (ქართ-  
ველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2012, 123). ვლადიმერ შმიდტისათვის აღნერილი მსგავ-  
სი განცდებით საესეა პოეტის პირადი წერილები,  
რომელთა გამოძახილიც ასევე დიდებულად აისახა  
მისივე პოეზიაში. ქართულ პოეზიაში ძნელად თუ  
მოინახება მაგალითი განთიადისა („სადლეგრძე-  
ლო“) და შემოდამების („საღამო გამოსაღმებისა“)  
ისეთი მაღალმხატვრული განცდით აღნერისა,  
როგორც ეს შეძლო პოეტმა-გენერალმა. შესანიშ-  
ნავია, რომ ეს სურათები ბუნების ცვალებადობი-  
სა, მასში ინვევნ საოცარ პირადულ განცდებს, –  
მას არ სურს „სისხლი კაცისა“, ის ლოცავს მისგან  
მიმავალ სატრფოს, რაკი იმ წუთებში, აზროვნებს  
როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი, პოეტი-რომან-  
ტიკოსი და არა როგორც მეფის გენერალი.

ზემოთ ვახსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის  
ყრმობისდროინდელი პოეტური შედევრი „ხმა  
იდუმალი“. 18 წლის მოაზროვნე, მეოცნებე ყმაწვი-  
ლი, „ჩუმი ნაღველით“ შეპყრობილი, რომელმაც  
„სცნა წუთისოფელი“, მზად იყო მიეღო მისგან თა-



## ნინო გოგებაშვილი

ვისი წილხვედრი. ეს იყო თამამი  
გამოწვევა. ამგვარი პიროვნული  
მოთხოვნა უცხო იყო იმდროინდე-  
ლი საზოგადოებრივი აზროვნები-  
სათვის. პოეტისათვის, ნებისმიერი  
პოლიტიკური მდგომარეობა ვერ  
გამორიცხავდა პიროვნების თა-  
ვისუფლებას. ბარათაშვილისათ-  
ვის რომანტიკული აზროვნება  
სრულიად აპოლიტიკური და უმა-  
რთავია. სწორედ ამაშია მისი სი-  
ძლიერე, როგორც პოეტისა და  
მოაზროვნისა.

რაც შეეხება ბუნების განც-  
დას რომანტიკოსების აზროვნება-  
ში, ამ მხრივაც განსხვავდა ბარათ-  
ვილი. ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველას მოსვლამდე  
შენიშნა მან, რომ არსებობდა „ენა რამ საიდუმლო  
უასაკოთა და უსულთ შორის“. გარდა ამისა, ჭა-  
ბუკმა პოეტმა გამოთქვა სურვილი  
ყყ ბუნების ძალებსა და საგნებში, დედამიწაზე  
სიკეთისა და სილამაზის დასამკვიდრებლად. მას  
გულისხმობდა, როცა წერდა:  
„მინდა მზე ვიყო, რომ სხივი ჩემთ დღეთა გარსა  
მოვავლო,

საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო  
ვაცხოვლო.

მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა  
მორბედი,

რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ ტყეთა ფრინველი  
და ვარდი.“

ბუნება ბარათაშვილის შემოქმედებაში მაგიუ-  
რი ძალის მატარებელია, მაგრამ ადამიანის გარეშე  
არ არსებობს მისი კეთილი საწყისი. ადამიანი, მთე-  
ლი თავისი სიძლიერით, ეუფლება ბუნებას, რითაც  
იქმნება ჰარმონია კოსმიურ სივრცეში.

აპოლიტიკური რომანტიზმი ქართული ლიტ-  
ერატურის ისტორიაში შეიძლება მოვიაზროთ,  
როგორც წმინდა ლიტერატურული მიმდინარეო-  
ბა, თავისუფალი ყოველგვარი პოლიტიკური აზ-  
როვნებისაგან. მისი მთავარი გმირი არის ადა-  
მიანი, მთელი თავისი ფილოსოფიური სიღრმით,  
გრძნობათა ნებელობით, შინაგანი ინტიმით გა-  
ულენთილი. დამოკიდებულების ასეთი განსაზღვრა  
მოგვიანებით ვაჟა ფშაველამ გააჟღერა თავის  
ერთ-ერთ ლექს-შედევრში – „მთას ვიყავ“. ლექ-  
სი პიროვნების კოსმიური ძალის სადიდებელი და  
სამყაროს ფლობის მოტივაციის საუკეთესო აღი-  
არებაა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი ძალის  
პოეზიას სწორედ ქართული რომანტიზმის განვი-  
თარების მაღალმა ხარისხმა მისცა დასაბამი.

### ანანია პოველი

74



სამართლის „მოპარვა-ჩუქების“ თუთაშიასეული აპერატირი გარემონით უფრო დიდი ოპერატორია, ვიდრო ის თერიტორიული, რაფ თავდა ზარანდისმ დაგეგმია უკ დობუნდის, ხოლო შემტევე სახლოების წინააღმდეგ. ეს ოპერატორი იმ საზოგადოების წალკული წევ-რენის წინააღმდევე მიმდროული აპერატირი იყო და მიზნად იმ-პერიული სახელმწიფოს გაძლიერებას ისახავდა. დათა თუთაშიას მიერ დაგეგმილი აპერატირი კი პირიქით, აღზევებული უანდარმისა და მის უკან მდგომი იმპერიული სახელმწიფოს წინააღმდევე მიმდროული აპერატირი. მიღობ არაგის მიერ მოფიქრებული აპერატირი, თავისი მასშტაბებით და შეჯეგმით, საბოლოო ჭამში კი, მნიშვნელობით, გაწლებით უფრო დიდი ოპერატირი.

ა. ბოველი

### ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ოპერატირი

#### და იმპერიული ძალების მარცხი

ბალყარელ ძმადნაფიც აბრაგას, ბილალ ზანკში დათა თუთაშია ასეთ რამეს ეუბნება: „იმ კაცმა სამი წლის წინ იცოდა, მისთვის ძლვენი რომ უნდა მიმერთმია“ (გვ. 648. 2003 წლის გამოცემა). ცნობილია, რომ ეს კაცი მუშნი ზარანდისა.

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ დათა თუთაშია, როგორც დევნილი, ინყებს სტატუსის შეცვლას – იგი ინყებს აქტიურ მოქმედებებს იმ სახელმწიფოსა და მისი ერთი აღზევებული მოხელის წინააღმდევე, რომელი მოხელეც, ვარაუდის დონეზე, თავის უშუალო მდევნელად ჰყავს შეცნობილი.

მოკლედ შევეხოთ ამ ოპერაციასთან დაკავშირებულ თარიღებს.

შალვა თუხარელის მონათხრობის მიხედვით „დათა თუთაშია ცხრას შვიდი წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში გაიქცა“ (გვ. 607) ციხიდან. ციხეში მყოფი აბრაგი უანდარმს ძლვენის მირთმევის შესახებ შეტყობინებას არ გაუგზავნიდა. ეს ყოველგვარ ლოგიკასა და აზრსაა მოკლებული. სავარაუდოდ, მას ეს გაქცევის შემდეგ უნდა გაეკეთებინა.

გრაფი სეგედის ცნობით, „ათას ცხრას ცხრა წლის მაისი თავდებოდა“ (გვ. 621), როცა მას, აგარაკზე მყოფს, მოულოდნელად მუშნი ზარანდისა ესტუმრება. სეგედის თემით, ამ შეხვედრისას ზარანდის მინიშნებებით ამცნობს მას, .... რომ მან დათა თუთაშიას უკვე დაუგო რაღაც ჯოჯოხეთური ხაფანგები“ (გვ. 624). თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სეგედის ეს ვარაუდი, დროში სრულად ვერ ასახავს სინამდვილეს. იმავდროულად აბრაგმა არაფერი იცის ამ ხაფანგების, ან თუნდაც მათი რაღაც ნანილის დაგების შესახებ, ვიდრე ზარანდის სეგედის არ მიაწვდის ამის თაობაზე ზოგადი ხასიათის ინფორმაციას, ეს უკანასკნელი კი სანდრო კარიძეს. გრაფი სე-

გედი სასწრაფოდ, ზარანდისა სტუმრობის მეორე დღესვე იპარებს თავისთან სანდრო კარიძეს, რათა უანდარმისგან მოსმენილი ინფორმაცია გაუზიაროს მას, რომ მანვე გააფრთხილოს დათა თუთაშია მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

სეგედისვე მონათხრობის მიხედვით, დათა თუთაშიამ აგვისტოს დასაწყისში ენგური აიარა (წელს არ აფიქსირებს, შესაბამისად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისევ ცხრას ცხრა წელია) და ბალყარეთისკენ მიმავალ გზას დაადგა. ბილალ ზანკშმა მას მოკვარა მუჟამედ გუტეს თავლებიდან გამოყანილი ულამაზესი ცხენი, რის შემდეგაც „თუთაშია მულახში გადმოვიდა, ოქტომბრის ბოლომდე ისევ გუჯეჯიანებთან სტუმრობდა“ (გვ. 648). დათა თუთაშიას თავისი ოპერაციის ეს ნანილი დაზამთრებამდე უნდა მოესწრო, ვიდრე გზები ჩაიკეტებოდა, თანაც „ნაპარავი“ ცხენი დიდი ხნით არ ჰყოლოდა ბარად. სწორედ ამიტომ, იგი დროულად ბრუნდება სვანეთში და ოქტომბრის ბოლომდე რჩება იქ, – მისთვის და ძლვენისთვის უსაფრთხო ადგილას. იმავდროულად მას აინტერესებს სვიმონ გულიას ვაჟის ქორწილის დღე, რომელიც დეკემბრის დასაწყისშია ჩანიშნული და რომელ ღონისძიებაზეც მას, მის მიერვე შერჩეული პირის (მოსე ჯავალია) ხელით, მუშნი ზარანდიასთვის, როგორც ამ ქორწილის ერთი სტუმრისთვის, ულამაზესი „ნაპარავი“ ცხენი უნდა მიერთმია. სწორედ ამიტომ არ გაითვალისწინა აბრაგმა გუჯეჯიანების თხოვნა, მათთან დარჩენისა და გამოზამთრების შესახებ (გვ. 649).

როგორ მოქმედებს მუშნი ზარანდია ცხენის „ჩუქების“ შეტყობინების მიღების შემდეგ? იგი აბრაგს სასიკვდილო მახებს უგებს და ამ საქმისთვის ირჩევს სამ ძირითად ადგილს, რომელ ადგილებსაც თუთაშიას, აუცილებლობიდან გამომ-



დინარე, ყველაზე ხშირად სტუმრობდა: а) ბიკენტი იალქანიძე და მისი დუქანი სოფელ ხარნალში; ბ) ბეჩუნი პერტიას სახლთან ახლოს, ბექობზე მდგომი შარუხიას წისქვილი, რომელ ბექობსაც და წისქვილის გარშემო არსებულ მიდამოებს აბრაგი, ზარანდიას ვარაუდით, საყვარელ ქალთან მისვლამდე სიტუაციის დასაზვერად გამოიყენებდა. გ) თვით ბეჩუნი პერტიას სახლი.

ვინ შეარჩია, ანუ ვისი მეშვეობით დაგეგმა მუშინი ზარანდიამ აბრაგთან დაპირისპირება? რამ-დენად ძალუძღვის მათ აბრაგთან პირისპირ შეპმა? ნანარმოების მიხედვით, მხოლოდ ასთიონაა მიჩნეული მკვლელად. ბონია მენისქვილეს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არცთუ დიდი ხნის წინ შეასყიდვინა ზარანდიამ ზემოხსნებულ შარუხიასაგან წისქვილი და მხოლოდ ამის შემდეგ ასწავლა სროლა; მესამე დასაპირისპირებელი პირი გახლავთ აბრაგის უკანონო შვილი, თოთხმეტი წლის არასრულნლოვანი გუდუნა პერტია. გრაფი სეგედი ბონია მენისქვილეზე საუბრისას ასეთ დასკვნას აკეთებს – „ამის შემდეგ (წისქვილის შესყიდვა ა.ბ.) ყველაფერი ზარანდიას მიერ გადაბირებული მეწისქვილის ღირსებებსა და შესაძლებლობებზე იქნებოდა დამოკიდებული“ (გვ. 665-666). რეალურად კი, უანდარმის მიერ დაგეგმილი კონტროპერაცია უფრო მეტ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული – რომანში აღნერილი ხაფანგებისა და მათში მონაწილე ყველა დაპირისპირებული პირის ღირსებებსა და შესაძლებლობებზე და ახლადნარმოქმნილ (თუ ხელოვნურად შეცვლილ) სიტუაციურ გარემოებებზე.

რა შედეგები დადეს ზარანდიას მიერ შერჩეულმა პირებმა? ანუ, რა ღირსებებისა და შესაძლებლობების მქონე პირები დაუპირისპირა უანდარმმა აბრაგს? დუქანში მიმტანად მომუშავე ასთიონა მარტივად გააპრივა მედუქნე იალქანიძემ და თუთაშებისა ნაცვლად ბოდლო ყვალთავა და დათა ჩოჩია მოაწამლვინა; ბონია მეწისქვილე, როგორც აბრაგის წინააღმდეგ მოწყობილი ერთ-ერთი ხაფანგის აქტორი, დათა თუთაშებიამ თავად გააპა მახში (კატის გამოყენება) და მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებაში დაამარცხა იგი; ყველაზე რთული თუთაშებიასთვის საყვარელი ქალის სახლში მისივე უკანონო შვილის გამოყენებით დაგებული ხაფანგი აღმოჩნდა, რასაც პრინციპული ახსნა აქვს. ამ შემთხვევაში უკანონო შვილის რაღაც უნარებზე საუბარი უადგილოა. საქმე თვით აბრაგშია, რომელიც ერთხელ, საირმეში, მინის მთხოველ სეთურს სტუმრობდა აბრაგ მოსე ზამთარაძესთან ერთად. ეს ორი აბრაგი იქაური მაცხოვრებლების აგრესიულად განწყობილ შვილებს (40-50 სული) გადაეყარნენ ტყები, რომელი შეხვედრაც მათი მარცხით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ დათა თუთაშებიამ ციხეში ყოფნისას აითვისა ფართო მასების მართვის ცოდ-

ნა, არასრულნლოვნებთან ურთიერთობის ენა, როგორც ჩანს, მისთვის ბოლომდე უცხო ენად დარჩა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მას თავის შვილთან საუბარი არ გამოუვიდა (ცალკე საკითხია ის, რომ იგი არ ელოდა ხაფანგს საყვარლის ოჯახში), რასაც მისი სასიკვდილო დაჭრა მოჰყვა.

მუშინ ზარანდია ცხენის „ჩუქების“ შეტყობინების მიღების შემდეგ აბრაგს მახეებს ერთდღოულად არ უგებს. იგი მიმართავს თანმიმდევრობითობის პრინციპს. სავარაუდოდ, ხარჯებიდან და საჭიროებიდან (დრო, სივრცე) გამომდინარე. ხარჯებთან დაკავშირებით ზარანდიას მომჭირნე დამოკიდებულების საკითხი ნანარმოებში ბევრგანაა დაფიქსირებული და აქ დამატებით არაფერს ვიტყვი. გრაფი სეგედის მონათხრობის მიხედვით (გვ. 672), ბონია მეწისქვილე უდასტურებს მასთან ლამის სამ საათზე შევლილ თუთაშებიას, რომ ამ საქმეზე იგი მუშინი ზარანდიამ ივნისის თვეში დაითანხმა ქუთაისის უანდარმერიაში. ეს ნიშნავს იმას, რომ მაისის ბოლო რიცხვებში სეგედისთან სტუმრად მისული უანდარმის მიერ აბრაგის წინააღმდეგ გახმოვანებულ საფრთხეებში წისქვილთან დაკავშირებული ხაფანგი, როგორც ან უკვე დაგებული, არ იგულისხმება. ამ ხაფანგის დაგებას ზარანდია სეგედისთან სტუმრობის შემდეგ მიმართავს. გარდა ამისა, ბონია მეწისქვილე თუთაშებიას ასეთ რამესაც ეუბნება: „– ახლა მასწავლეს სროლა, ამ საქმისთვის... ქუთაისში“ (გვ. 667).

როდის შეაგზავნა-დაასაქმა ზარანდიამ მკვლელი ასთიონა იალქანიძის დუქანში? გუჯეჯიანებს გამომშვიდობებული და ბარისკენ „მოპარულ“ ცხენთან ერთად დაშვებული დათა თუთაშებია სოფელ ხარნალში მეგობარ ბიკენტი იალქანიძეს შეუვლის. დროის თვალსაზრისით, ნოემბრის დასასწყისია. მედუქნე მასთან სტუმრად მისულ აბრაგს საუბრის დასანყისშივე უხსნის, რომ ასთიონას კანდიდატურა ციხის ზედამხედველმა უდოდოვმა მისი წინა სტუმრობისას შესთავაზა, რაზეც იალქანიძემ, გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, უარი არ თქვა (გვ. 653). როდის შედგა ეს ბოლო სტუმრობა? გრაფი სეგედისავე მონათხრობის მიხედვით, მეგობრებს „...წელიწადზე მეტი იყო, ერთმანეთი არ ენახათ“ (გვ. 649). ეს ნიშნავს იმას, რომ ასთიონას მონაწილეობით ზარანდიამ თუთაშებიას გაცილებით უფრო ადრე დაუგო ხაფანგი (წელიწადზე მეტი ხნის წინ), ვიდრე ბონიას ჩართულობით (დაახლოებით ხუთი თვე). ამ მსჯელობისას ათვლის წერტილი, დროის თვალსაზრისით, გახლავთ ოქტომბრის ბოლო, ნოემბრის პირველი რიცხვები.

რაც შეეხება გუდუნა პერტიას თუთაშებიას მოსაკლავად მომზადებას, ამის შესახებ ისევ გრაფი სეგედის მონათხრობიდან (გვ. 624) ვიგებთ, რომ ბეჩუნი პერტიამ თავის შვილს რუსულის მასწავლებლად პატარაობაშივე დაუქირავა ვინმე ბიქტორ





სამუშია, რომელიც შემდგომში ლათინურსაც ას-  
წავლიდა ბავშვს. ეს მასწავლებელი პოლკოვნიკ  
კნიაზევს მუშნი ზარანდიას დავალებით გადაუბ-  
ირებია. გუდუ პერტია თორმეტ-ცამეტი წლის  
იყო, როცა მისმა ტოლმა ბიჭებმა რამდენჯერმე  
უთხრეს, – ნაბიჭვარი და დათა თუთაშიას ბუში  
ხარი! სწორედ ამ ფონზე იწყებს მასწავლებელი  
სამუშია ბიჭის მკვლელად ქცევა-მომზადებას,  
თუმცა თვით მომზადების შესახებ ნაწარმოებში  
კონკრეტული ცნობები არ გვხვდება. როდის უნდა  
დაეწყო ზარანდიას აბრაგის არასრულნლოვანი  
უკანონო შვილის მკვლელად მომზადება? გუ-  
დუნა პერტია მათთან სახლში შუალამით მისულ  
თუთაშიას ერთ-ერთ კითხვაზე პასუხობს, რომ  
იგი, იმ მომენტში არის თოთხმეტი წლის, მეთხ-  
უთმეტეში (გვ. 673). თუ გავითვალისწინებთ იმას,  
რომ მისმა ტოლებმა ნაბიჭვრობის ინფორმაცია  
მას თორმეტ-ცამეტი წლის ასაკში გააგონეს, გა-  
მოვა, რომ მუშნი ზარანდიამ გუდუნა პერტიას  
მკვლელად მომზადება, ცხენის „მოპარვა-ჩუქების“  
ცნობის მიწოდებიდან ახლო პერიოდში (დაახლოე-  
ბით ორი წლის წინ) დაიწყო, რაც ლოგიკურია,  
ვინაიდან ეს საქმე უფრო მეტ დროს საჭიროებდა,  
ვიდრე ასთიონასა და ბონიას შემთხვევაში.

მცირე დასკვნები: ა) მუშნი ზარანდიამ ცხე-  
ნის „ჩუქების“ ოპერაციის შეტყუბინების მიღე-  
ბიდან ახლო დროში აბრაგის წინააღმდეგ პირვე-  
ლი რაც მოიფიქრა და შემდეგში განახორციელა,  
არასრულნლოვანი უკანონო შვილის მომზადება  
იყო მამის მოკვლის მიზნით. ამ საქმისთვის მან  
პოლკოვნიკ კნიაზევს გუდუნა პერტიას მასწავ-  
ლებელი გადააბირებინა; ბ) ვინაიდან ზარანდიამ  
იცის თუთაშია-იალქანიძის ახლო მეგობრობისა  
და თანამოაზრობის ამბავი (ციხეში დაწყებული)  
და ისიც, რომ ამ უკანასკნელს ხარნალში იჯარით  
დუქანი აქვს აღებული, მედუქნეს უდოდოვის მეშ-  
ვეობით ასთიონა შესთავაზა მიმტანად; გ) სეგედის-  
თან სტუმრობის მომენტისთვის ზარანდია ამ ორი,  
– „ა“ და „ბ“ ხაფანგების იმედადაა, ხოლო სტუმ-  
რობის შემდეგ, იგი, რატომდაც, იღებს კიდევ ერთი  
ხაფანგის დაგების გადაწყვეტილებას – უკიდურეს  
სიღარიბეში მცხოვრები, მრავალშვილიანი, თუმ-  
ცა უკვე გადააბირებული ბონიასთვის ვინმე შა-  
რუხიასგან ყიდულობს ბერუნი პერტიას სახლთან  
ახლოს მდგომ წისქვილს და დაჩქარებული წესით  
იწყებს ამ ახალი მფლობელის სროლაში მომზადე-  
ბას. დ) ზარანდიამ თუთაშიას კიდევ ერთი ხაფან-  
გი დაუგო, რომელსაც თავისი დანიშნულება უან-  
დარმის საქართველოში ჩამოსვლისას (დეკემბრის  
დასაწყისი) უნდა შეესრულებინა (გვ. 680), თუმცა  
ამის შესახებ ნაწარმოებში დაწვრილებითი ხასი-  
ათის ცნობები არ გვხვდება.

რა შედეგებით დასრულდა ზარანდიას მიერ  
ორგანიზებული ოპერაცია, მოწყობილი აბრაგის  
წინააღმდეგ, მისი ფიზიკური მოსპობის მიზნით,

რომელიც, რეალურად ცხენის „ჩუქების“ შეტყუ-  
ბინების მიღების შემდეგ დაგეგმა, როგორც  
კონტროპერაცია? აი, ეს შედეგებიც: ა) ცხენის „ჩუქების“ თუთაშიასეული ოპერაციისთვის ხე-  
ლის ვერ შემლა („მოპარვისთვის“ ხელის შეშლის  
მცდელობები ნაწარმოებში არ ჩანს); ბ) ზარანდიას მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაბირებუ-  
ლი ასთიონას გაბრიყების გზით (იალქანიძის მხ-  
რიდან) ორი ბოროტმოქმედის მონამლვა; გ) ორი  
გადაბირებულის (მოსე ჯაგალია, ბონია მეწისქ-  
ვილე) დაკარგვა მათი გადასვლით აბრაგის სამ-  
სახურში (თუნდაც დროებით, ერთჯერადად); დ)  
გადაბირებული ასთიონას სიკვდილი; ე) გადაბი-  
რებული ბიქტორ სამუშიას სიკვდილი; ვ) გუდუნა  
პერტიას მკვლელად ვერ ქცევა, ვერ გაფორმება;  
ზ) დათა თუთაშიას „აორთქლება“ და მის სიკ-  
ვდილში ბოლომდე ვერდარწმუნება; თ) თვით „....  
მუშნი ზარანდიას ავადმყოფობა მელანქოლიის  
მძიმე ფორმებით...“ (საქართველოდან პეტერ-  
ბურგში დაბრუნებისთანავე) „...და სამიოდ წლის  
მერე რაღაც სხვა მძიმე სენით...“ გარდაცვალება  
(681).

აქ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან (ცხადია,  
ბოლო პუნქტის ჩაუთვლელად) უანდარმისთვის  
ყველაზე მძიმე, ალბათ, ბონია მეწისქვილის სახ-  
ეცვლილება უნდა ყოფილიყო, რომელიც, არა  
უბრალოდ მიემხრო დათა თუთაშიას წისქვილში  
გამართული საუბრის დასასრულს და პირადი სამ-  
სახურიც კი შესთავაზა მას („არ მინდა ფული, ისე  
გეტყვი იმ კაცებს, ვინც მოვა და მკითხავს...“ გვ.  
671), არამედ აბრაგს ზარანდიასთან შეხვედრის  
ყველა ნიუანსი მოუყვა და ისიც უთხრა, რომ  
„ძალიან ვერაგი კაცია მუშნი ზარანდია...“-ო (გვ.  
672). ამის შემდეგ მეწისქვილე აბრაგს დიდი სი-  
ფრთხილისკენ მოუწოდებს, ანუ იწყებს ვერბალურ  
ზრუნვას მის უსაფრთხოებაზე. ეს იყო აღზევებუ-  
ლი უანდარმის სრული ფიასკო. სავარაუდოდ, ამის  
შემდეგ, მას ძალიან უნდა გასჭირვებოდა იმ საქმის  
წარმოება-კეთება, რასაც გადაბირება ჰქვია.

მუშნი ზარანდიასთვის არანაკლებ მძიმე უნდა  
ყოფილიყო მოსე ჯაგალიას ქცევის გაცნობიერე-  
ბაც. ყოფილი მეჯინიბე ჯაგალია, თვეში სამ მან-  
ეთად ნოკო ბასილიასთან მისული კაცების დამ-  
მახსოვრებელი და პოლიციისთვის ამ ცნობების  
სისტემატურად მიმწოდებელი, ამავე პოლიციას  
არაფერს ატყობინებს იმის თაობაზე, რომ მას  
თუთაშიამ საიდუმლოდ, ოცდახუთი მანეთის  
სანაცვლოდ ულამაზესი, ორი ათას თუმნიანი (ცხ-  
ენის შენახვა-მოვლა დავალა, რომელი ცხენიც,  
თუთაშიასავე დავალებით პირადად უნდა მიერთ-  
მია მუშნი ზარანდიასთვის სვიმონ გულიას ვაჟის  
ქორნილში, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ. ეს  
ფაქტიც უანდარმის ფიასკოზე მეტყველებს, განსა-  
კუთრებით იმ ფონზე, რომ ცხენის ჯაგალიასთვის  
მიბარებიდან რამდენიმე საათში აბრაგი მარად-



ისობაში გადადის თავისივე უკანონო შვილის მიერ განასროლი ტყვიისგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუთაშხიას გარდაცვალების მიუხედავად, რომელი გარდაცვალების ვარიანტებს, ჭორის დონეზე არ-სებულს, ჯაგალიაც შეიტყობდა უცილობლად, იგი უარს არ ამბობს აბრაგისგან მიღებულ დავალებაზე და მას ბოლომდე პირნათლად ასრულებს, რაც უანდარმისა და მის უკან მდგომი იმპერიული სახელმწიფოს საფუძველთა საფუძვლების შერყევის ტოლფასია, ვინაიდან ასეთი სახელმწიფოს-თვის საყრდენის გამოცლას ნიშნავს. უფრო ცუდი ამ ტიპის სახელმწიფოსთვის აქ ის არის, რომ წინააღმდეგობის გამრჩევ ძალას უჩნდება გარკვეული ცოდნა-გამოცდილება მსგავსი საყრდენების გამოცლის შესახებ.

ახლა მივმართოთ დამატებით ანალიზს.

ვინაიდან დათა თუთაშხია ციხიდან ათას ცხრას შვიდი წლის სექტემბრის ბოლოს გაიქცა, ხოლო ძმადნაფიც ზანქშეს ათას ცხრას ცხრა წლის აგვისტოში შეხვდა, სამი წელი მხოლოდ რიგითობის მიხედვით გამოდის და არა აბსოლუტური გამოხატულებით. ეს ცნობისათვის. მუშნი ზარანდისათვის ძღვენის მირთმევის ცნობის წინდანინ შეტყობინების არსი, თუთაშხიასავე სიტყვებით იმაშია, რომ აბრაგი უანდარმს სამარა დროს აძლევს მოსამზადებლად და დარწმუნებულია, რომ მას მაინც არაფერი გამოუვა, რომ მდევნელი დევნილს ვერ აჯობებს.

მუშნი ზარანდია მხოლოდ მაშინ ესტუმრება უანდარმთა ყოფილ შეფს, ან უკვე სამსახურიდან გადამდგარ გენერალს – გრაფ სეგედის, – როცა რამდენიმე სასიკვდილო მახე უკვე აქვს დაგებული თუთაშხიასთვის და სასურველი შედეგის დადგომის მოლოდინშია. დათა თუთაშხია პირიქით – წინდანინ, ცხენის „მოპარვის“ ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე ატყობინებს უანდარმს თავისი ოპერაციის მთავარ დეტალებს – მხოლოდ ცხენის პატრონისა და მომპარავის ვინაობას, მის „მოპარვა-ჩუქებასთან“ და საქართველოში მისაყვან გზებთან დაკავშირებულს. ზარანდიას სეგედისთან სტუმრობის ერთი სავარაუდო მიზანი თავისი „საგმირო საქმისთვის“ მოწმის (ამბის გამხმოვანებლის) შეძენაა! გარდა ამისა, მას აინტერესებს ერთხელ უკვე დამარცხებული ყოფილი შეფის კიდევ ერთხელ „შენჯლრევა“, ვინაიდან იცის, რომ ეს უკანასკნელი, გადადგომის შემდეგ, საზოგადოებაში კარგად ცნობილი თავისუფალი ადამიანებით (კარიქე, თუთაშხია) ინტერესდება და გარკვეულ სიმბატიებს ავლენს თვით ამ საზოგადოების მიმართაც. ზემოთქმულის გარდა, მოცემულ შემთხვევაში, ზარანდია ცდილობს ის-არგებლოს სეგედის საინფორმაციო არხით, რათა ამცნოს თუთაშხიას ის, რომ იგი გენერალური დაპირისპირებისთვის მზად არის. ცხრას ცხრა წლის მაისის ბოლოს კარიბისგან ინფორმაცია-მიღებუ-

ლი თუთაშხია იღებს გადაწყვეტილებას აგვისტოს პირველ რიცხვებში გაემგზავროს შეპირებული ძლვენის – ულამაზესი ცხენის მისაღებად (ძმადნაფიცის მეშვეობით) და საქართველოში გადმოსაყვანად. ანუ, დათა თუთაშხია ოპერაციის უშუალო განხორციელებას მხოლოდ მას შემდეგ იწყებს, როცა იგებს, რომ ზარანდიამ გამოწვევა მიიღო და იგი მზადაა საპასუხო მოქმედებების განსახორციელებლად. იმავდროულად ვიცით ისიც, რომ თუთაშხიას ბალყარეთში ჩასვლის მომენტისთვის, ბილალ ზანქშეს მისთვის გადასაცემი ულაყი გუტეს თავლებიდან უკვე გამოყვანილი ჰყავს და სრულიად სხვაგან, – ლისკენის ტყვებში მაღავს.

მუშნი ზარანდიამ თითქმის ყველაფერი იცოდა დათა თუთაშხიას ცხოვრების, მისი შეხვედრებისა და საუბრების შესახებ, აფიქსირებდა რა აბრაგის აზრებსა და შეხედულებებს აგენტურული შეტყობინებებით. დათა თუთაშხია კი, იცის რა იმის შესახებ, რომ ზარანდია მას აჩრდილივით დასდევს და იცის ისიც, რომ ამ რეალობას ვერ გაექცევა, მიმართავს ღია თამაშს და სწორედ ამიტომ უთვლის რამდენიმე წლით ადრე უანდარმს – ულამაზესი ცხენი უნდა გაჩუქოო. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, აბრაგი პირდაპირი ფორმით იწვევს უანდარმს მანამდე არნახულ დაპირისპირებაში, რომელიც სცდება პიროვნული დაპირისპირების საზღვრებს და იძენს თავისუფალი აზრისა და თავისუფალი მოქმედებების მასშტაბურ პორიზონტებს. თუმცა, ზარანდიას დარად (სეგედისთვის მისანოდებელი ინფორმაციებიდან ერთი ნაწილის მინოდება და რაღაც ნანილის გამოტოვება), თუთაშხიაც მხოლოდ იმ დონის ცნობებს ანვდის უანდარმს, რაც მას აწყობს, მის მიერვე დაგეგმილი ოპერაციის ეფექტიანად განსახორციელებლად – მხოლოდ ცხენის პატრონისა და მომპარავის ვინაობას, ასევე საქართველოში მისი შემოყვანის გზებს. შესაბამისად, უანდარმმა წინდანინ არაფერი იცის იმის შესახებ, თუ სხვა რა ფაქტების წინაშე აღმოჩედება იგი ცხენის „ჩუქების“ შეტყობინებული ოპერაციის განხორციელების პროცესში.

მუშნი ზარანდია ვერავის გაუმჯღავნებდა აბრაგისგან მიღებული ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ შეტყობინებას – სახელმწიფო, მამის ოჯახი და ა.შ. სწორედ ამიტომ ესტუმრა იგი თავის ყოფილ შეფს, გადამდგარ გრაფ სეგედის. თუმცა იგი ვერც სეგედის უმსელს ღია და იმ ხათაბალის ამბავს, რომელ ხათაბალისაც თუთაშხიამ გადაჰყარა. სწორედ ამიტომ, ზარანდია მასპინძელ სეგედის ძალიან შორეული მინიშნებების დონეზე ამცნობს იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს ბოროტების სიკეთედ გარდაქმნას (ცხადია, იმპერიის სასარგებლოდ და აბრაგის ფიზიკური არსებობის საზარალოდ).

მუშნი ზარანდიამ კარგად იცის, რომ აბრაგი არ განკარგავს საძლვნე ულამაზესი ცხენის შესაყიდ თანხებს. ამიტომ, უანდარმი უნდა მიმხვდარი-





ყო, რომ „ნაპარავი“ ულამაზესი ცხენის „ჩუქებასთან“ ექნებოდა საქმე და რომ ამ ინფორმაციის მიწოდებით, აბრაგმა მას რეალურად ამცნო შემდეგი – ვიცი, ჩემ წინააღმდეგ დღემდე წარმოებული ყველა ოპერაციის თავი და თავი შენ ხარ; თუმცა დათა თუთაშებია, ზარანდიას პიროვნულ მეტოქეობაში სულ ბოლოს რწმუნდება – ჯერ გრაფი სეგედის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მეშვეობით (მაისის ბოლოს, რაც მისთვის ნაწილობრივი რწმუნებაა), შემდეგ კი ბონია მეწისქვილესთან საუბრისას (ნოებრის დასაწყისი – საბოლოო დარწმუნება). გულუნასგან დაჭრილი დათა თუთაშებია სწორედ ამიტომ ამბობს თავისთვის, – „რამ მოაფიქრებინა ეს!.. მაჯობა მაინც,...“ (გვ. 676). ეს არ გახლავთ ვარაუდის დონეზე ნათეამი, ან ნაგულისხმევი აზრი, არამედ უკვე დარწმუნებულის სიტყვებია, ვინაიდან დაჭრილმა თუთაშებიამ ეს მას შემდეგ წარმოსთქვა, რაც ბონია მეწისქვილისგან რამდენიმე წუთით ადრე მარწმუნებელი ხასიათის ინფორმაცია მიიღო წისქვილის შესყიდვის საქმეში უანდარმის უშუალო მონაწილეობის თაობაზე.

ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ თუთაშებიასეული ოპერაცია გაცილებით უფრო დიდი ოპერაციაა, ვიდრე ის ოპერაციები, რაც თავად ზარანდიამ დაგეგმა ჯერ დოცენტის, ხოლო შემდეგ სახნოვის წინააღმდეგ. ეს ოპერაციები იმ საზოგადოების ცალკეული წევრების წინააღმდეგ მიმართული ოპერაციები იყო და მიზნად იმპერიული სახელმწიფოს გაძლიერებას ისახავდა. დათა თუთაშებიას მიერ დაგეგმილი ოპერაცია კი პირიქით, აღზევებული ჟანდარმისა და მის უკან მდგომი იმპერიული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ოპერაციაა. ამიტომ აბრაგის მიერ მოფიქრებული ოპერაცია, თავისი მასშტაბებითა და შედეგებით, საბოლოო ჯამში კი, მნიშვნელობით, გაცილებით უფრო დიდი ოპერაციაა. მუჰპამედ გუტეს ულამაზესი ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაცია არ გახლავთ მხოლოდ საკუთრივ ცხენთან, მის „მოპარვა-ჩუქებასთან“ დაკავშირებული პროცესი. იგი მრავალმხრივი ოპერაციაა, რაც წინავს იმას, რომ მას ახლავს თანამდევი პროცესები – ზარანდიას მიერ მოსყიდული, იმპერიის სასარგებლოდ გადაბირებული პირების უკან გადმობირება-გამოსყიდვისა და მათი აბრაგის სამსახურში ჩაყენების წარმატებული მცდელობები – მოსე ჯაგალია, ბონია მეწისქვილე. ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს გადმობირებულების რაოდენობას, ვინაიდან უმთავრესი გახლავთ პრინციპის პოვნა და პრაქტიკაში მისი წარმატებით გამოცდა-გამოყენება. თუთაშებიას ეს ოპერაცია არსებული იმპერიული სისტემისა და მისი ერთი იდეური ავტორის – მუშნი ზარანდიას საპირნონე ოპერაციაა. ეს ოპერაცია გვიჩვენებს იმას, თუ როგორ შეიძლება ერთმა, თავისუფალი ნების მოფიქრალ-მოაზროვნე ადამიანმა დაშალოს უკვე

არსებული, ძლიერმოქმედი იმპერიული სისტემა, მშვიდობიანად გააუვნებელყოს მისი სტრუქტურული ნაწილები და ისინი ამავე სისტემის წინააღმდეგ გამოიყენოს.

მუშნი ზარანდიამ წინდანინ არაფერი იცის იმის შესახებ, რომ „ნაპარავი“ ცხენის „ჩუქებასთან“ ერთად, რომელსაც იგი ვერ დაიტოვებს და იძულებული იქნება გაზაფხულზე, გზების გახსნის შემდეგ დაუბრუნოს ნამდვილ პატრონს – მუჰპამედ გუტე, – დასუსტდება რამდენიმე გადაბირებულით, რომელთაგან ერთი (მოსე ჯაგალია) ნოკი ბასილაიასთან მისულ ადამიანებს იმახსოვრებს თვეში სამი მანეთის სანაცვლოდ და აწვდის შესაბამის ინფორმაციას პოლიციას, ხოლო მეორე – ბეჩუნი პერტისა სახლთან ახლოს მდგომი წისქვილის ახალი მეპატრონე (პოლიციის ფულით შექნილი), ბონია – გაცილებით უფრო დიდი ამოცანის წინაშეა: აბრაგის საყვარელ ქალთან მისულებს აფიქსირებს თხუთმეტ მანეთად და იარაღასხმული ელოდება თუთაშებიას იმ არემარეში გამოჩენას ან მის წისქვილში შევლა-სტუმრობას მისივე მოკვლის მიზნით.

ოპერაციის მსვლელობისას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა, უანდარმი მარცხდება დუქანში, დათა თუთაშებიას მეგობრისა და თანამოაზრისგან – ბიკენტი იალქანიძე. როგორც უკვე ითქვა, ამ დუქანში ზარანდიას შეგზავნილი (დასაქმებული) ჰყავდა მკვლელი – მიმტანი ასთონა, რომლის გასაგონადაც იალქანიძე სამზარეულოში ახმოვანებს ყალბ ინფორმაციას, რომელი ინფორმაციის გამგონეც, ამ ცნობის საფუძველზე წამლავს ყაჩაღ ბოდლო ყვალთავასა და მის ამხანაგს – დათა ჩოჩია. სიკვდილის პირას მყოფი ყვალთავა კი, ცეცხლსასროლი იარაღით კლავს ასთონას. ყოველივე ეს იმის პირდაპირი დადასტურებაა, რომ ნანარმოებში ალწერილ რეგიონში არსებობენ იმპერიული სახელმწიფოსთვის წინააღმდეგობის გამწევი ძალები და რომ დათა თუთაშებია „...გალოკილი თითოვით მარტოკაცი“ (ზარანდიას თეოდოსევასება. გვ. 99) კი არაა, არამედ ძალაა, ასეთი ძალის ცენტრია, მისი ერთი უპირველესი ამძრავი. გავისქნოთ, თუ რას უებნება იალქანიძე აბრაგს განშორებისას, დუქანში დატრიალებული მონამლვა-მკველობების შემდეგ: „შენთან რომ ვარ, ისეთი მინდა გავაკეთო რამე... შენს გვერდით რომ არის, ყველას ასე უნდა ეს... ვინც გიცნობს კარგად...“ (გვ. 663).

რა ძალებზეა საუბარი? თავისუფალი ადამიანების მიერ იმპერიული სახელმწიფოსადმი წინააღმდეგობის გამწევ ძალებზე. ნანარმოების მიხედვით, ამ ძალებს დათა თუთაშებია აერთიანებს ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაციამდეც, მისი განხორციელების დროსაც და ნაწილობრივ, გარდაცვალების მერეც. ამ ძალას თუთაშებიასთან ერთად განასახიერებს უანდარმთა ყოფილი შეფი – გრაფი სეგედი, სანდრო კარიძე, ბილალ ზანკში,





გუჯეჯიანები, ბიკენტი იალქანიძე, ნოკო ბასიალაია, მალაქია ნინუა (მან თუთაშხიას სახელით ჯაგალიას უნდა მიაკითხოს მოგვიანებით და უთხრას – ვის და როდის მიუყვანოს ცხენი გვ. 678.), ვინმე უცნობი (ვინც ბიქტორ სამუშაის შუალამით კარებზე მიუკაუნა და უთხრა – „თუთაშხია ვარ, ძალის შვილო!“ – რის შემდეგაც პირველს გული გაუსკდა). ეს და სხვა ადამიანები აბრაგს მხოლოდ სიტყვით კი არ თანაუგრძნობენ, არამედ საჭირო დროს მის გვერდით დასადგომად და სამოქმედოდ არიან მზად. სწორედ ამ ძალების იმედად დაგეგმა დათა თუთაშხიმ ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ბრწყინვალე ოპერაცია და მათივე უშუალო მონაწილეობით (მეტნაკლები ხარისხის), ბოლომდე განახორციელა იგი კიდეც, მიუხედავად გარდაცვალებისა.

ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაცია ჰუმანური ოპერაციაა, რომელიც აბრაგის გეგმის მიხედვით არ ითვალისწინებს ბოროტ ან რაიმე ტიპის უზნეო ქცევებსა და მოქმედებებს, ვინმესთვის მატერიალური ან სხვა სახის ზიან-ზარალის მიყენებას, გარდა ერთი პირის დარწმუნებისა და მისი სამსახურებრივი რეპუტაციის შეღახვა-შერყევისა – მუშინი ზარანდია. თუთაშხიას სიტყვებით, მისი მიზანი შემდეგია: „თვითონ თუ ვერ დარწმუნდა, რომ ვერ მჯობნის და თუ ვერ მიხვდა, რატომ ვერ მჯობნის – ხალხი დარწმუნდება და ერთხელ კიდევ დაინახავს, ავი საქმე კარგ საქმეს რომ ვერ აჯობებს საპოლოოდ“ (გვ. 648). შესაბამისად, დათა თუთაშხიას მიზანი ისაა, კარგმა საქმემ (არა კეთილმა!) აჯობოს ავ საქმეს.

ოპერაციის მსვლელობისას, როგორც ამის შესახებ ითქვა ზემოთ, ადგილი აქვს დამატებით მოვლენებს, რასაც „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაციასთან პირდაპირი და უშუალო კავშირი არ აქვს. იგულისხმება იალქანიძის დუქანში მომხდარი მონაძლვა-მკვლელობები, რომელთა ინფორმატიული სულისჩამდგმელი და „რეჟისორი“ თუთაშხიას მეგობარი მედუქნეა. ვინაიდან ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაცია არ ითვალისწინებდა მოვლენების ასეთ განვითარებას, ამიტომ ეუბნება დათა თუთაშხია პიკენტი იალქანიძეს: „მაგას თუ აპირებდი, მოვალე იყავი, გეთქვა!.. მე ხომ ვერ გეითხავდი?! ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე!..“ (გვ. 661).

ახლა შევხოთ ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ზოგიერთ დეტალს: ა) ბალყარეთში გადასული თუთაშხია ხვდება ძმანაფიც აბრაგს, ბილალ ზანკში, რომელმაც ამ შეხვედრიდან „...სამი დღის შემდეგ ჯერ კიდევ გაზაფხულზე მუჟამედ გუტეს თავლებიდან გამოყვანილი და ლისკენის ტყეებში საიმედოდ გადამალული ულაყი დათას მოჰვარა“ (გვ. 646). როგორც ვხედავთ, საძლვენ ცხენი ბილალ ზანკშმა ცხრაას ცხრა წლის გაზაფხულზე გამოიყვანა (ნანარმოების მიხედვით, ბალყარელს ეს ცხენი არ მოუპარავს, არამედ გამოიყვა-

ნა) გუტეს თავლებიდან, ანუ წინდანინ მოამზადა ძლვენი, რათა თუთაშხიას, დროის თვალსაზრისით, ჩუქების პროცესში ხელი არ შეშლოდა და მხოლოდ საქართველოში მისი გადაყვანის საკითხი ყოფილიყო აქტუალური. ვფიქრობ, საძლვენ ცხენის წინდანინ გამოყვანა გუტეს თავლებიდან და ზანკშის „ტერიტორიაზე“ გადამალვა თუთაშხიას გეგმის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ბ) როგორი იყო აბრაგის რეაქცია ამ ცხენის ხილვისას? „თუთაშხიას ამ ულაყის მშვენება და სახელი გაგონილი ჰქონდა, მაგრამ ასეთს მაინც არაფერს მოელოდა. ისე მოწონა, რომ ერთიანად აცახცახდა, მოახტა, იქამდე იჯირითა, სანამ თვითონაც გამოეცალა არაქათი და ცხენსაც“ (გვ. 646). როგორ შეაფასა ბილალ ზანკშმა ეს ჯირითი? მან „უკვე ჭარმაგი, სახელგანთქმული აბრაგისა და კეთილშობილი ცხოველის ერთმთლიანობა ნახა, აღტაცებამ თუ სიამაყემ ყელში ცრემლი მოაბჯინა. როცა თუთაშხია ჩამოხტა, ბილალმა აღზნებულსა და სახეგაბრწყინებულ ძმადნაფიცს სინანულით უთხრა:

– ამ ულაყზე ჯდომა ქვეყანაზე მხოლოდ შენ გეკუთვნის, ალლაჟსა ვფიცავ, დათა!“ (გვ. 646).

ეს ორი ციტატა, არა მარტო „სახელგანთქმული აბრაგისა და კეთილშობილი ცხოველის ერთმთლიანობას,“ არამედ ცხენის, როგორც თავისუფლების სიმბოლოსა და მისი მხედრის, როგორც თავისუფლი ადამიანის ერთმთლიანობას გამოხატავს. დათა თუთაშხია, როგორც ლიტერატურული ცერსონაჟი, გმირი აქ უკვე თავად გვევლინება თავისუფლების სიმბოლოდ. იმავდროულად, ეს ერთმთლიანობა ნიშნავს იმასაც, რომ თუთაშხია სრულად ეუფლება თავისუფლებას, მის აღქმა-გაგებას და სამოქმედო პრინციპებს, რომელთა გამოყენებითაც იწყებს ასეთ თავისუფლებაზე დაფუძნებული ოპერაციის განხორციელებას (მართვას) უანდარმისა და მის უკან მდგომი იმპერიული სახელმწიფოს წინააღმდეგ;

გ) აბრაგი ასაკოვან მოსე ჯაგალიას არამარტო ცხენს უტოვებს მოსავლელად, არამედ დაასწავლის ტექსტს, რომელიც ყოფილმა მეჯინიბემ ზარანდიას ცხენთან ერთად უნდა გადასცეს, როგორც თუთაშხიას დანაბარები;

დ) „ქორწილის მეორე დღეს ერთმა კაცმა გულიას ეზოში გასაოცარი სილამაზის ცხენი შეიყვანა, მუშინი ზარანდიას მიართვა და თუთაშხიას დანაბარები გადასცა. პოლკოვნიკმა სინანულით განაცხადა, – აბრაგი შეცდა, ძლვენი მე არ მეკუთვნისო. ცხენი პოლიციამ წაიყვანა.“ (გვ. 681). დავაზუსტებ: ამ ცხენის მუშინი ზარანდიასთვის გადაცემის მომენტისთვის აბრაგი ერთი თვის გარდაცვლილია; თუთაშხიას უანდარმისთვის წინასწარ არ შეუთვლია, თუ სად და როდის გადასცემდა (მით უფრო, პირადად გადასცემდა თუ სხვისი მეშვეობით) „ნაპარავ“ ულაყს. ამიტომ, დეკემბრის





დასაწყისში ქორნილში სტუმრად მისულ ზარანდიას, თუთაშეიას გარდაცვალების ცნობებიდან გამომდინარე, ცხენის ჩუქება-გადაცემის მოლოდინი, წესით, აღარ უნდა ჰქონოდა. თუმცა, ჯერ მოვუსმინოთ გრაფ სეგედის: „მუშნი ზარანდიასთვის თუთაშეიას ამბავი, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გახდა ცნობილი, მაგრამ არ აჩქარებულა, საქართველოში დეკემბრის დასაწყისში ჩამოვიდა, ანუ იმ დროს, როცა მისი ნინასნარი ვარაუდით, დათა თუთაშეიასთვის დაგებულ ერთ-ერთ მახეს თავისი დანიშნულება უნდა შეესრულებინა. ჩამოსვლის ოფიციალურ მიზეზად ზარანდიამ ახლო მეგობრის, სვიმონ გულიას ვაჟის ქორნილი დაასახელა“ (680-681). როგორც ვხედავთ, ზარანდიასთვის ზემოხსნებული ქორნილი მხოლოდ მიზეზია, რეალურად კი იმისთვისაა ჩამოსული, რომ პირადად შეესწროს თუთაშეიას ხაფანგში გაბმას. თუმცა, მოუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის აბრაგი ერთი თვის გარდაცვლილია და უანდარმს აქვს ცნობები ამის შესახებ, უჭირს დაჯერება და მორიგ ხაფანგზე უარს არ ამბობს.

რატომ არ თქვა ზარანდიამ უარი ბოლო ხაფანგზე? რა ვარაუდი შეიძლებოდა ჰქონოდა მას, ამ შემთხვევაში? პასუხი ორნანილიანია: ა) დათა თუთაშეიას უხილავობის უძლიერესი მომენტი, გამომდინარე აბრაგული ცხოვრების წესიდან, რაც ნაწარმოებს ერთ-ერთ მთავარ ხაზად გასდევს. სწორედ ეს მომენტი აიძულებს უანდარმს არ ენდოს თუთაშეიას გარდაცვალების შესახებ არსებულ ცნობებს, გაცემულს მისივე ყოფილი სამსახურის მიერ; ბ) ზარანდიას ვარაუდი, იმავდროულად, შეიძლება კავშირში იყოს საძლვენი ცხენის მაღალ ფასთან – ორი ათასი თუმანი (გვ. 647). მუშნი ზარანდიას ძალიან უნდა გასჭირვებოდა იმის დაჯერება, რომ აბრაგი ასე ძვირადირებულ ულაყს ვინმეს ანდობდა („...ამ პიროვნული და საყოველთაო სულმოკლეობის პირობებში“ – სანდრო კარიძე (გვ. 485), მოსავლელად მიაბარებდა, მით უფრო მის მიერვე გადაბირებულ მოსე ჯაგალიას, რომელი გადაბირებულის თვეური ანაზღაურება სამი მანეთი იყო. ამიტომ, ყველა ლოგიკით, ზარანდიას ვარაუდი ის უნდა ყოფილიყო, რომ, დათა თუთაშეია, ასე ძვირფას საჩუქარს თავად მიართმევდა მას. სწორედ ამაზე უნდა ჰქონოდა გათვლა ზარანდიას, რომ სვიმონ გულიას სახლთან მისასვლელ გზებზე ან თუნდაც სადღაც უფრო შორს დაეხვედრებინა აბრაგისთვის ვინმე მკვლელი და მკვლელობის ფაქტს ცხელ კვალზე თავადაც შესწრებოდა.

რა ხდება მას შემდეგ, რაც „ცხენი პოლიციამ წაიყვანა“? უანდარმი უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ აბრაგი ნამდვილად მკვდარია, ვინაიდან ძლვენის გადაცემის თუთაშეიასული განზრახვა, – უძვირფასესი (და ულაბაზესი) ცხენის სხვისი ხელით (არა პირადად) მირთმევა – სახეზეა. სწორედ

ამიტომ იყო, რომ ულაცის სხვისი ხელით „მირთმევიდან“ „ცოტა ხნის შემდეგ პოლკოვნიკმა ორი კაზაკისა და მეგზურის თანხლებით თუთაშეიას შესაძლო სიკვდილის ადგილისკენ გასწია“ (გვ. 681).

ამ წერილის სათაურში გამოყენებული სიტყვა „ოპერაცია“, მართალია, ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ პროცესებს ასახავს, თუმცა იგივე პროცესი სხვა რამესთან გვაახლოვებს, სხვა რამეს გვიხსნის – ესაა აბრაგის მინიშებითი ხასიათის საუბარი უანდარმთან. ამ ცხენთან დაკავშირებული თუთაშეიასული ოპერაცია თავისუფალი აზრის მქონე თავისუფალი ადამიანის საუბარია ასეთის არმქონესთან, გარკვეული, ჩაკეტილი სისტემის შიგნით აღზევებულთან, რომელი სისტემაც არამხოლოდ ადამიანების, არამედ ძალის გამოყენებით დაპყრობილი ხალხების თავისუფალი ნების წინაღმდეგ მიმართული სისტემაცაა.

მაინც რა უთხრა დათა თუთაშეიამ თავის მამიდაშვილ უანდარმს ამ ულამაზესი ცხენის ჩუქებით? რა იყო ამ საუბრის დედააზრი? აი, ისიც: ა) სიბრტყე, რომელზეც იმყოფები, თავისუფლება-შეზღუდული (და შემზღვეული) სიბრტყეა და რომ მაგ სიბრტყიდან კარგი საქმის მკეთებელ თავისუფალ ადამიანს პიროვნულად ვერ აჯობებ; ბ) სიბრტყე, რომელზეც იმყოფები, არამხოლოდ თავისუფლებაშეზღუდული, არამედ „შეზღუდული და სულიერად ხელმოკლე კაცები“-ს (სეგედი, გვ. 325) სიბრტყეა და შეუძლებელია მათი გამოყენებით აჯობო მოფიქრალ-მოაზროვნე და სულიერად შეძლებულ, სწორი ხედვა-ანალიზის მქონე კაცებს.

მუშნი ზარანდიასა და მის უკან მდგომი იმპერიული სახელმწიფოს მარცხი, ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა, განაპირობა ამ ორგანიზებული ძალის მხრიდან გამოვლენილმა ადამიანის, მისი ღირებულებითი სისტემის არცოდნა-უგულებელყოფამ. ზარანდია ადამიანში, როგორც ზემოთ გაანალიზებული შემთხვევებისას დავინახეთ, უპირატესად ბოროტსა და მოღალატეს, ფულზე დახარებულს ხედავდა, ასეთს აქეზებდა, ხოლო დათა თუთაშეიამ თავისი საუბრებით მოსე ჯაგალიასა და ბონია მენისქვილესთან გვაჩვენა და აჩვენა უანდარმს, რომ ადამიანი გაცილებით მდიდარი, მრავალფეროვანი ბუნებისაა და მისი დაყვანა მხოლოდ ბოროტების ჩამდენ სუბიექტამდე მხოლოდლა იმ ტიპის იმპერიულ სახელმწიფოშია შესაძლებელი, რომელშიაც იგი ასე აღზევდა. გარდა ამისა, ასეთი დაყვანა მაშინვე მარცხდება, როგორც კი ჩნდება აღტერნატივა. ზარანდიას კონტროპერაციის მთავარი მიზანი სწორედ ამ აღტერნატივის წინაღმდეგ მიმართული ოპერაციაა და ეს აღტერნატივა, უპირველეს ყოვლისა, დათა თუთაშეიაშია, მის გარშემო არსებულ ადამიანებშია, ხოლო გარეგნულად აბრაგის მიერ გარკვეული დროით გამოყებულ ცხენშია, როგორც მინიშნება-სა და თავისუფლების საყოველთაო სიმბოლოში.





ISSN 1512-3995

15123995